გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ქართველობის გადასარჩენად

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ილორი

E-mail: roland.jalagania@mail.ru
E-mail: r.jalagania@mail.ru

№380 (439) 27 სექტემბერი – 4 ოქტომბერი 2016 წ. სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო ფასი 50 თეთრი

სირცხვილი ის კი არ არის, რომ მეგრულად ლაპარაკობენ, არამედ ისაა, რომ დანარჩენმა ქართველებმა არ ვიცით მეგრული ენა – აკაკი შანიძე



## თენგიზ კუბლაშვილი: ახალი აზრთაწყობით გაჩხიბულნი

გვ.3-4



## ჰამლეტ ჭიპაშვილი: მამა-მარჩენალის საოცარი აზრები

გვ.2

## ბორის დავითაია: ვის ეკუთვნის ცოტნე დადიანის ძეგლის დადგმის იდეა?

გვ.5





## საქართველოში პრეზიდენტს უნდა ირჩევდეს პარლამენტი და არა – ხალხი

გვ.3

## ნუგზარ კვაშილავა: უცხო სიტყვათა კოლხური წარმომავლობა

გვ.7

## რუსი მეცნიერი, რომელმაც ჯვარი ფიზიკურად შეისწავლა, გაურკვეველ ვითარებაში მოკლეს

გვ.4



## 8 ოქტომბერს ყველანი არჩევნებზე! არცერთი ხმა ნაცავაზაკებს! კიდევ ერთხელ შევძახოთ ქართველებმა ერთხმად: ნაცებს რა?! დ-დის .....



## ზურაბ კვარაცხელია: 14 აგვისტო და ზვიად გამსახურდია

გვ.5

## ზაურ ნაჭყებია: ზუგდიდელებო, ჩასაფრებულ პროვოკატორებს ნუ ვათქმევინებთ, რომ მეგრელები ყველაფერს იკადრებენ!



გვ.6

## მურმან სანგულია: დასავლეთი თუ ჩრდილოეთი?

გვ.6

# მამა-მარჩენალის საოცარი აზრები



ტელევიზია **„იბერიაში“ „პარტიზანი მებაღის"** ლიდერის ნატა ფერაძის პასუხმა – **„ვტყნ...ი“** – ერთ-ერთი მონაწილის კითხვაზე – **„ხეები „ნაციონალების“ დროსაც იჭრებოდა, ხმას ვერ იღებდით, 2012 წლამდე გეძინათ?“** – დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. ზოგმა დაგმო ესოდენ თავხედური პასუხი. ზოგმა ჩათვალა, რომ პასუხი ადეკვატური იყო. ზოგმა პოლემიკა გამართა და იმის მტკიცება დაიწყო – უზნეობაა კითხვის დასმა – სად იყავი, ვისთან იდექი, ვინაიდან ადამიანისთვის, განსაკუთრებით პოლიტიკოსისთვის უჩვეულო არ არის პოზიციის ცვლა – ერთი პარტიიდან, მეორეში გადასვლა, მეორედან მესამეში, გუშინდელ მოწინააღმდეგესთან ჩახუტება და ა.შ.

დასამახსოვრებელი იყო ერთი ექსპერტისა და ერთი პოლიტიკოსის მიერ გამოთქმული აზრებიც. ორივენი მიიჩნევენ, რომ ასეთი შეკითხვის დასმაც კი უმსგავსობაა. ორივე მათგანს მძიმე ტვირთად უნდა აწვეს გუშინდელი, რამეთუ მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული **„ნაცმოძრაობასთან“** და მის ლიდერთან. მათი ნათქვამი **„ნაცებთან“** თანამშრომლობის გამო შეფარული თავის მართლებაა. ერთ-ერთი მათგანის მიერ უცხოელი პოლიტიკოსების პარტიიდან პარტიაში გადასვლის მაგალითებიც უადგილოა, რამეთუ პარტიის ცვლა გამოწვეული იყო არა მერკანტილური, არამედ იდეოლოგიური მოსაზრებით, რასაც საქართველოს პარტიულ ცხოვრებაში არასდროს ჰქონია ადგილი.

რასაც საქართველოში ჰქონდა, აქვს და მომავალშიც ექნება ადგილი – საკუთარი კეთილდღეობის შექმნისთვის ბრძოლაა და არა პარტიული იდეალებისთვის. პარტიული მიგრაცია განსაკუთრებით თვალშისაცემია პარლამენტის არჩევნების წინა პერიოდში. მას ისეთი აჟიოტაჟი ახლავს, როგორც ფეხბურთში, ეროვნული ჩემპიონატის დაწყებამდე ევროპაში. იქ კლუბები ყიდულობენ ფეხბურთელებს. აქ თვით ე.წ. პოლიტიკოსები, პარლამენტში გამსვლელ პარტიას სთავაზობენ თავს. ორივე შემთხვევაში – ფული ტრიალებს. პირველში ბევრი, მეორეში – ნაკლები, მომავალი პარლამენტარის **„პოლიტიკური წონიდან“** გამომდინარე. ვინ, სად იყო 2012 წლამდე უდავოდ უადგილო იქნებოდა, პოლიტიკურ არენაზე რომ არ ყოფილიყო **„ნაციონალური მოძრაობა“,** როგორც ქვეყნის მმართველი.

9-წლიანი ბატონობის დროს **„ნაციონალებმა“** უდიდესი ტკივილი მიაყენეს ქვეყანას, რითაც დაიმსახურეს ყველაზე ნეგატიური სიტყვები, რაც საერთოდ მოიპოვება ქართულ ლექსიკაში. თავიანთი აღვირახსნილობით, სისასტიკით, ჯალათური პოლიტიკით ეს პარტია იმსახურებს კანონგარეშედ გამოცხადებას და, აქედან გამომდინარე, მთელი რიგი ღონისძიებების გატარებას დამნაშავე პარტიის წინააღმდეგ. მაგრამ ამას არ ჰქონდა და არ აქვს ადგილი ფრენია **„პოლიტიკოსების“**, გაუმართლებლად შემნდობი ხელისუფლების და ხალხის გამო. დაუსჯელობა კი დასასჯელში სხვა შეგრძნებას იწვევს – მართალი ვიყავი და ვარო, რომ ჰქვია.

როდესაც მავანი ამბობს – რა მნიშვნელობა აქვს ვინ, სად იყოო, ის **„ყოფნა“** კრიმინალს არ უნდა უკავშირდებოდეს. ასეთ **„ყოფნას“** გამართლება არ აქვს. მაგრამ რა უნდა მოვთხოვოთ პარტიულ და ექსპერტულ წვრილფეხობას, როდესაც მსხვილფეხა მამა-მარჩენალიც იმავეს ამბობს.

**„ორწელიწადნახევარი ხელისუფლებას ვაფინანსებდი, რასაც ვმალავდით და კარგად ვფუთავდით. პირდაპირი მნიშვნელობით მე სააკაშვილს არ დავხმარებივარ არაფერში“,** – აცხადებს ბიძინა ივანიშვილი. ორწელიწადნახევარი საკმაო დროა ისეთი არაკაცის გამოსააშკარავებლად, როგორიც სააკაშვილი იყო.

**„არ დავხმარებივარო“** – ამბობს ივანიშვილი, მაგრამ ცნობილი ფაქტია სააკაშვილის დედისა და მეუღლისთვის ხელის გამართვა, ცხადია – მილიონებით. **„წინასწარმეტყველმა“** ბიძინამ ვერ დაინახა ის საშინელებები, რასაც სააკაშვილი სჩადიოდა პირველი სამი წლის განმავლობაში. ხალხი, რომელსაც პიროვნების ამოცნობის პრეტენზია არ გააჩნია, მითუმეტეს წინასწარმეტყველების, რასაც ივანიშვილი იჩემებს, უმალ მიხვდა სააკაშვილისა და **„ნაცების“** სახით ვისთან ჰქონდა საქმე.

მიხვდა, მაგრამ გვიანი იყო, თუმცა საპროტესტო გამოსვლებიც მოაწყო, მწვავე მიტინგებიც, კარვებიც დასცა, მაგრამ ისეთი გამყიდველების გამო, როგორებიც იყვნენ ძმები გაჩეჩილაძეები, სხვები და სხვები, ვერაფერს მიაღწია.

2007 წლის ბობოქარ შემოდგომაზე ბიძინა ივანიშვილი მხარში ედგა სააკაშვილს და ძალას არ იშურებდა, მასთან ერთად ფულსაც, ნაცისტური რეჟიმის გასამყარებლად. რომ არა ივანიშვილი და მისი ფულები, სააკაშვილის რეჟიმი მალე დალევდა სულს.

შეგნებულ საზოგადოებას ივანიშვილის მაშინდელი ქმედება, ერთი ანდაზის მსგავსად – **„მითხარი, ვინ არის შენი მეგობარი და გეტყვი, ვინ ხარ შენ“** – სხვაგვარად, ანუ ნეგატიურად აქვს აღქმული. ივანიშვილი ისეთივე გაკიცხვას იმსახურებს, როგორც **„ნაცი“** სააკაშვილი.

გაიხსენეთ ნიურნბერგის პროცესი - დამნაშავე **„ნაცებთან“** ერთად, საბრალდებულო სკამზე მსხდომი გერმანელი მეწარმეები. მათ **„ნაცთა“** დანაშაულში ედებოდათ ბრალი ანუ **„ნაცებისთვის“** ფინანსურ დახმარებაში. ივანიშვილს ვერავითარი თავის ქება ვერ გაამართლებს, ვინაიდან უდიდესი წვლილი მიუძღვის სააკაშვილისა და **„ნაცების“** დახმარებაში. რაც მთავარია, ხელისუფლების დათმობის შემდეგ, თუ ვინმე იყო კოჰაბიტაციის მოტრფიალე, სწორედ ივანიშვილი იყო, რომელმაც ძალა არ დაიშურა **„ნაცთა“** გადასარჩენად.

საზოგადოებას კარგად ახსოვს ივანიშვილის მიერ **„ნაცთა“** სასარგებლოდ გაკეთებული განცხადებები. მან აიძულა **„ოცნების“** მარიონეტი ხელისუფლება ისე ემოქმედა – თმის ღერი არ შერხეოდა **„ნაცთა“** თავებს.

ცხადია, დღეს არავის აწყობს **„გუშინ ვინ სად იყოს“** გახსენება, ვინაიდან ყველა იქ იყო, სადაც თვლიდნენ, რომ უნდა ყოფილიყვნენ. თავის გასამართლებლად იმასაც ამბობენ – სააკაშვილის პირველი წლები წარმატებული იყოო – იმ პრეზიდენტის, რომელიც მმართველობის პირველივე დღიდან სასტიკ რეპრესიებზე გადავიდა.

ივანიშვილი ებრძვის საკაშვილს, პირადი შეურაცხყოფის გამო, მაგრამ ნაკლებად – **„ნაცებს“**. მან გადაარჩინა **„ნაცები“** და ისეთი ვითარება შექმნა, უარესს რომ მტერიც ვერ ინატრებდა. მან ამომრჩეველი მძიმე არჩევანის წინაშე დააყენა ან **„ოცნება“**, ან **„ნაცები“**, დანარჩენი, მისივე სიტყვით – **„გაიკრიფა“**. ხალხს არ უნდა უსაქმური **„ოცნების“** არჩევა, მაგრამ რა ქნას – არ აირჩევს **„ოცნებას“** და **„ნაციონალები“** დაბრუნდებიან. ძალაუნებურად **„ოცნებას“** უნდა მისცეს ხმა – ეზიზღება, მაგრამ მაინც ის ურჩევნია ბოროტ **„ნაცებს“**.

ივანიშვილმა შექმნა სისტემა, რომელიც მძიმე უღელივით აწვება ხალხს. ამასთანავე, ამ სისტემას PR-იც შეუქმნა – გამუდმებული ლაპარაკით – რა კარგი და საამურია მის მიერ შექმნილი სისტემა, რაოდენ დიდ წარმატებებს მიაღწია **„ოცნებურმა“** მმართველობამ. რა კარგად ცხოვრობს ხალხი დღეს, ვიდრე 4 წლის წინათ ცხოვრობდა.

**„2012 წლამდე 137-ე პოზიცია ეჭირა საქართველოს და ბოლოდან მე-6-ე ადგილზე ვიყავით მაკროეკონომიკური გარემოს მიხედვით. დღეს, საოცარი გარდატეხა მოხდა. საქართველო უსწრებს ისეთ ქვეყნებსაც კი, როგორიცაა ბელგია, ირლანდია, აშშ-ი, საფრანგეთი, ბრიტანეთი, იაპონია“,** – ამბობს ივანიშვილი.

აი, რას ნიშნავს ეკონომიკურად **„უზომოდ“** განვითარებული ადამიანი. ჩვენ, ეკონომიკურად განუვითარებლებმა, ჩვენსავე ზურგზე გამოვცადეთ სააკაშვილის 9-წლიანი **„წინსვლა“** და **„ოცნების“** 4-წლიანი **„მიღწევები“**.

ივანიშვილის ნათქვამი მხოლოდ ხელისუფლების კეთილდღეობას ეხება და არა ქვეყნის. სწორედ ამაში გაუსწრო საქართველომ ზემოთჩამოთვლილ ქვეყნებს. საღად მოაზროვნე ნებისმიერი ადამიანისთვის უდავოდ შემაშფოთებელია იმ პირისგან ესოდენ დაუჯერებლის მოსმენა, ვისაც დღეს თუ არა, 4 წლის წინათ მხსნელად მიიჩნევდა.

პატივცემულო მკითხველო, ობიექტურად შეაფასეთ ივანიშვილის ნათქვამი და თუ ასე მოიქცევით, გაგიჩნდებათ აზრი, რომ საქართველომ, რაღაცაში მაინც გაუსწრო ზემოთჩამოთვლილ ქვეყნებს? იქნებ საქართველოს პრეზიდენტი, როგორც მოწინავე ქვეყნის წარმომადგენელი, ესწრებოდა ჩინეთში გამართულ **„დიდი ოცეულის“** შეხვედრას და ჩვენ ვერ დავინახეთ?

ივანიშვილის ნათქვამი ტყუილსაც აღარ ჰგავს. ეს ავადმყოფური აზრის ნაყოფია და მას მკურნალობა ესაჭიროება.

**„გადით ქუჩაში, ამერიკაში ჩაგიყვანთ და გაჭირვებულებს ყველგან გაჩვენებთ. გვაქვს რეალური შანსი იმისა, რომ 2030 წელს ასეთი ქვეყნების მსგავსი ეკონომიკა გვქონდეს“,** – აცხადებს ივანიშვილი.

სად არის ლოგიკა? თუ დღეს აღნიშნულ ქვეყნებს ვუსწრებთ, რაღა შუაშია 2030 წელი?

აშშ-ი არიან ღარიბ-ღატაკები, ისეთებიც, რომლებიც ნაგავში იქექებიან, უსახლკაროებიც, ნარკომანებიც და ა.შ., მაგრამ იქაური ღარიბ-ღატაკების ცხოვრებისეული პირობები და სოციალური მდგომარეობა, იმ ქვეყანაში მცხოვრებ სხვა ფენებთან არის შეფარდებული და არა სხვა ქვეყნების მსგავს ღარიბ-ღატაკებთან.

თუ ამ პარამეტრებით შევადარებთ აშშ-ს და სხვა ქვეყნების (არა საქართველოს) მოქალაქეებს, დავინახავთ აშშ-ს უპირატესობას. სახელმწიფოს მიერ უმუშევართა დახმარება მრავალ-საფეხურიანია და თვეში 1.500 დოლარს აჭარბებს, რაც გაცილებით ნაკლებია იქაური სხვა სოციალური ფენების თვიურ შემოსავალზე, მაგრამ მეტია, ვიდრე სხვა ქვეყანაში, მათ შორის საქართველოში, სადაც დღიური შემოსავალი 1,5 დოლარს არ აღემატება.

კანადაში არის ქალაქი ვანკუვერი, რომელიც ბოლო წლების განმავლობაში პირველობას არავის უთმობს საამური ცხოვრების თვალსაზრისით. ვანკუვერი პირველია მსოფლიოში ცხოვრების პირობებით, სოციალური მდგომარეობით, კომფორტულობით, მოქალაქეთა მაღალი შემოსავლებით და ა.შ.

მქონდა შესაძლებლობა გავცნობოდი ამ ქალაქს. ღამით სეირნობის დროს, თავი ამოვყავი ცენტრიდან არცთუ მოშორებით არსებულ უბანში – ჭუჭყიანში, **„ბომჟებითა“** და მათხოვრებით, ნარკომანებით სავსეში. შემზარავი იყო იქაურობა, რომელმაც უმალ დამავიწყა დანარჩენი გაქათქათებული ვანკუვერი.

ამ უბნის მნახველს უმალ თავში გაჰკრავს გაოცება და სიბრაზე ქალაქის მესვეურთა მიმართ. და როდესაც ჩემი ნეგატიური შთაბეჭდილების შესახებ ვუთხარი მასპინძლებს, ამიხსნეს, რომ იმ უბანში მცხოვრებ **„ლუმპენს“** სახელმწიფო უფასო ბინებიც აქვთ მიცემული, თვიური დახმარებაც – ფულის სახით, სხვა სოციალური პირობებიც აქვთ შექმნილი, მაგრამ მათ ისეთი ცხოვრება აწყობთ, როგორიც აქვთ. ხელისუფლებამ მისცა გამოსწორების საშუალება, მაგრამ ისინი ძველებურად აგრძელებენ ცხოვრებას.

ვანკუვერის ზერელე მნახველს უდავოდ შეექმნება მთაბეჭდილება, რომ კანადაში ღარიბ-ღატაკები ბევრია, ისე, როგორც ივანიშვილს აქვს შთაბეჭდილება ამერიკაზე. თუმცა იქაური ღარიბ-ღატაკის თვიურ შემოსავალს საქართველოს საშუალო ფენაც (რომელიც შესაქმნელია), 2030 წლისთვისაც ვერ ეღირსება.

**„ეკონომიკური ზრდის ტემპი, რაც საქართველოს ახალი ხელისუფლების პირობებში აქვს, არასდროს ჰქონია“,** – განაცხადა ივანიშვილმა გურიის ჟურნალისტებთან შეხვედრის დროს და დაამატა, რომ – **„ჩვენ ვართ ლიდერები ეკონომიკური ზრდის ტემპით, სხვა ქვეყნებთან შედარებით, როგორც რეგიონში, ისე ევროპაში“.**

ადამიანს, რომელსაც თავში აქვს ჩადებული მცდარი მოსაზრება, მითუმეტეს ისეთს, როგორიც ივანიშვილია, შეპასუხებაც არ ღირს, რამეთუ ვერც მას შეაგნებინებ და გუნება-განწყობილებასაც გაიფუჭებ.

ივანიშვილი ნარცისია, საკუთარ თავზე შეყვარებული, საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებული. ასეთთან კამათს აზრი არ აქვს და ეს საზოგადოებამ უნდა გაიგოს. მან სხვა თვალით – საღით უნდა შეხედოს არსებულ ვითარებას. იმ გაუსაძლის პირობებს, რომელიც **„ნაცთა“** და **„ოცნების“ „ძალისხმევამ“** გვარგუნა, შეაფასოს ვითარება და დასვას უმარტივესი კითხვა – რა უფლება აქვს ივანიშვილს

**აშშ-ი არიან ღარიბ-ღატაკები, ისეთებიც, რომლებიც ნაგავში იქექებიან, უსახლკაროებიც, ნარკომანებიც და ა.შ., მაგრამ იქაური ღარიბ-ღატაკების ცხოვრებისეული პირობები და სოციალური მდგომარეობა, იმ ქვეყანაში მცხოვრებ სხვა ფენებთან არის შეფარდებული და არა სხვა ქვეყნების მსგავს ღარიბ-ღატაკებთან.**

ხელი აფათუროს ქვეყნის პოლიტიკურ თუ არაპოლიტიკურ ცხოვრებაში ისე, თითქოს ქვეყნის პრეზიდენტი იყოს.

ივანიშვილი არ არის სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენელი. მას არავითარი თანამდებობა არ უკავია. არც პარტიის ლიდერია. მაშ ვინ არის ის, რომ ასე თავდაჯერებით ილაპარაკოს ქვეყანაზე?

საზოგადოებამ უნდა გაიგოს, რომ პოლიტიკური ცხოვრება, მითუმეტეს ქვეყნის ყოფნა-არყოფნა ვიღაც კერძო პირზე არ უნდა იყოს ჩამოკიდებული. წინააღმდეგ შემთხვევაში ქვეყანა ვერ აშენდება.

ივანიშვილის მიერ ნათქვამი ზღაპრები, მუდამ ზღაპრებად დარჩება და ასე დაილევა თითოეული ჩვენგანისა და ქვეყნის ცხოვრება. ივანიშვილმა რაც იცის – საკუთარი ბიზნესის მართვაა, რაც საკმარისი არ არის თუნდაც ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა.

ივანიშვილის მმართველობა ფეოდალური პერიოდის გამეორებაა – მოჯამაგირედ ქცეული ხელისუფლებით და ხალხით. ასეთი საქართველო ვერც ევროკავშირში შევა და ვერც ნატოში. და რაც მთავარია, ასეთი საქართველო ვერავითარ პროგრესს ვერ ეღირსება.

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
**პოლიტოლოგი**

# ახალი აზრთაწყობით გაჩხიბულნი საქართველოში

თენგიზ კუბლაშვილი



**„ვაი, იმას, ვინც ზვიადიზე ცუდს იტყვის“**
**წმ. ბერი გაბრიელი**

საქართველოში ნიჰილიზმის ქადაგება არახალია. განსაკუთრებით გაძლიერდა 90-იან წლებში და ეროვნული ხელისუფლების დამხობის შემდეგ კი იგი, როგორც იდეოლოგია, საქართველოს სულიერებას ანადგურებს, ქართველ ერს სხვათა კარზე მოხეტიალე ბოგანო მოსამსახურეთა კასტად ამზადებს.

ბატონი პაატა ჩხეიძე თავის წერილში **„ოიკოფობია“** (**„ჩვენი მწერლობა“** 2013 წ. №5, წერს: **“ოიკოფობია „პატრიოტული გრძნობების აღორძინებას... აადევნეს საქართველოს ნიღაბახდილმა თუ ფარულმა მტრებმა, რამაც სწრაფად გაიდგა ფესვი ჩვენს სნობებში და თავისი როლი შეასრულა დიდ ეროვნულ ტრაგიკომედიაში“.**

ოიკოფობია თანამედროვე ინგლისელი ფილოსოფოსის როჯერ სკრუტონის დამკვიდრებული ტერმინია და ნიშნავს ყოველივე მშობლიურის, ყოველივე ეროვნულის სიძულვილს, უარყოფას, გაკილვას, დამცირებას, აბუჩად აგდებას, ცილისწამებას.

აი, როგორ ახასიათებენ ქართველ ერს ოიკოფობიის სენით დაავადებული ქართველი სნობები-ლიბერალები: ქართველ ერს მონური ცნობიერება აქვს... ქართველი ერი დაუნდობელია, ფაშისტია, საქართველოში მცირე ეთნოსებს ფაშისტური მეთოდებით უსწორდებიან... ქართველებს ჭირთ ინფანტილიზმი... ქართველი ერი მითოსური შოკით გაწამებულია... ქართველი მამაკაცები ძლიერი სექსუალური ურთიერთლტოლვით გამოირჩევიან, ისინი არშემდგარი ქალის, ანუ ქალის ცუდ შემთხვევად განიხილებიან... ეროვნული მოძრაობა ანტიინტელექტუალური მოძრაობაა... და ა.შ. და ა.შ.

ჰეი, თქვე მწვანე დოლარებით გაუმაძღარნო პოლიტიკოსებო, ფილოსოფოს-სოციოლოგებო, ექსპერტ-არასამთავრობოებო! თქვენს აზრებს, გულისთქმას განაზოგადებს და ფორმულის სახით გადმოგვცემს საქართველოს პრეზიდენტად ხმობილი გ. მარგველაშვილი.

***აი, მისი დიაგნოზი: გონებრივად სუსტი, მსუბუქი დებილობის ფორმით, ფაქტიურად მდგომარეობა, როდესაც ადამიანის ფსიქიკური განვითარების მდგომარეობა ჩერდება გარკვეულ ადრეულ ეტაპზე და არ აღწევს ზრდასრულ ფორმამდე. ზრდასრული ადამიანის ტანი და სუსტი, ადრეული ასაკისათვის შესაფერისი აზროვნება... ის მოკლებულია სოციალურ აზროვნებას და პასუხისმგებლობის გრძნობას.***

საქართველოში ოიკოფობიის მამამთავრად ე. შევარდნაძეს ასახელებენ.

შევარდნაძეს, როგორც პოლიტიკოსს, სჭირდებოდა ფილოსოფოსთა მიერ ოიკოფობიის გამართლება. ასეთიც გამოჩნდა – მერაბ მამარდაშვილი. უსამშობლო, კოსმოპოლიტი კაცი. პუტჩისტთა მიერ **„უუდიდეს“** ფილოსოფოსად, **„დიიდ“** მოაზროვნედ, **„უფლისმიერ ფილოსოფოსად“** წოდებული.

ამ **„დიდმა“** ფილოსოფოსმა 1990 წლის 28 ოქტომბრის მრავალპარტიული არჩევნების ჩატარების შემდეგ, როცა ეროვნულმა მოძრაობამ დიდი უპირატესობით გაიმარჯვა აღშფოთებულმა განაცხადა: **„საქართველოში ბოლშევიზმმა გაიმარჯვა სულთა სახით“.**

რიგითი ქართველი იტყვის: გამოდის, რომ შევარდნაძე, მოქკავშირის წევრები და პუტჩისტები **“ფსიხუშკებში”**, ციხე-გადასახლებებში ნაწვალები ძველი დისიდენტები არიან, ხოლო არჩევნებში გამარჯვებული **„მრგვალი მაგიდის“** წევრები, მისი მრავალათასიანი მომხრეები, ეროვნული მოძრაობის ლიდერები კი ნეობოლშევიკები!

**„ახალი აზრთაწყობით“** და **„ახალი გონებით“** აღჭურვილებს ჩვენ რას გავუგებთ? თუ არ დავუჯერებთ, მაშინვე **„პროვინციულ ფაშისტებს“**, ან, უკეთეს შემთხვევაში, დებილებს დაგვიძახებენ.

**„დიდ“** ფილოსოფოსს თურმე ქართველთა აზროვნების განუვითარებლობა აწუხებდა, რომლის მიზეზი რუსული აზროვნება და მართლმადიდებლობა ყოფილა. **„რუსულმა აზროვნებამაც და მართლმადიდებელმა ქრისტიანობამაც ჩვენ უფსკრულში გადაგვჩეხა“,** – წერს მამარდაშვილი (**ცნობიერების ტრილოგია,** თბ. 2011 წ. გვ.190)

**„ის, უბრალოდ, სულელია“,** ამბობდა მ. მამარდაშვილი გენიალურ რუს მწერალზე თეოდორ დოსტოევსკიზე (მრ. მამარდაშვილი, თბ, 2007 წ. გვ 77).

***მართლმადიდებლობისგან უფსკრულში გადაჩეხილმა, მითოსური შოკით გაწამებულმა, ჩამორჩენილმა, ფეოდალისტური ფსიქიკისა და მონური ცნობიერების მქონე ქართველმა ერმა როგორ შვა და ქვეყანას აღუზარდა დიდი მეცნიერები? როგორ არსებობდა მსოფლიოში სახელგანთქმული ქართული სამეცნიერო სკოლები? დებილ საზოგადოებაში როგორ არსებობდა საქვეყნოდ ცნობილი ქართული თეატრი და კინემატოგრაფი?***

მამარდაშვილის შეხედულება ქართული ხასიათის შესახებ ასეთია: **„ქართული ხასიათი ეფუძნება კერპთაყვანისმცემლობის მოთხოვნილებას, ყურად გაგებულ პატრიოტიზმს, ჩამორჩენილობას, საკუთარ თავში შეყვარებულობას, ამპარტავნობას, რწმენას, რომ ყველაზე კარგები, ჭკვიანები ვართ“.**

აი, ამგვარად მოაზროვნე ქართველთმოძულე კერპად აქცია **„მსოფლიოს ახალი წესრიგის„ „ახალი გონის“ „ახალი აზრთაწყობის“** ადეპტმა ედუარდ შევარდნაძემ მისი ნასუფრალით ნაკვები მოინტელიგენტო სნობი, რომელთაც გლობალისტ-მასონების დოქტრინა საკუთარ ბიბლიად გაუხდიათ.

1995 წელს ოიკოფობიის მორალისა და ესთეტიკის მოთხოვნათა გათვალისწინებით დიდი ტირაჟით დაიბეჭდა წიგნი **„ედუარდ შევარდნაძე – შეგნების გარდაქმნა საქართველოში”.**

შევარდნაძის შესახებ ბევრი რამ წამიკითხავს და ბევრიცა მსმენია, მაგრამ თეთრი მელას ამგვარი განდიდება, ქებადიდება, ამგვარი მაამებბლობა-მლიქვნელობა არც წამიკითხავს და არცა მსმენია.

წიგნის ავტორები ფილოსოფოსები გ. ბარამიძე, ი. ბრაჭული, ი. ფიფია. ქართველ ერს **„მითოსური შოკით გაწამებულს“** უწოდებენ.

ეროვნული დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა მითოსი ყოფილა, წერენ ავტორები, და შევარდნაძის **„უპირველესი ამოცანა, მისი ქანცგამომცლელი მოღვაწეობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება იყო მითოსური შოკით გაწამებული ქართველის ცნობიერების დემითიზირება და გაწმენდა, ეროვნული დამოუკიდებლობისა და დეოკუპაციის იდეალის განხორციელება მის ყველაზე რეალურსა და უღრმეს ფენაში – აზრთაწყობაში“.**

ეროვნულმა მოძრაობამ თავის მთავარ მიზანს მიაღწია. საქართველოს დამოუკიდებლობა რეალურად გამოცხადდა და დეოკუპაციაც რეალურად მოხდა. მაშ, რომელ **„ყველაზე რეალურსა და უღრმეს ფენაში“** უნდა მოხდეს **„დამოუკიდებლობისა და დეოკუპაციის იდეალის განხორციელება?“**

აზრთაწყობაში?

ეს ის **„აზრთაწყობაა“** დალესის დოქტრინა კაცობრიობას თავს რომ ახვევს. **„ახალი აზრთაწყობა“, „ახალი გონი“, „მსოფლიოს ახალი წესრიგი“** გლობალისტ-მასონთა საყვარელი ტერმინებია. ეს მათი ტერმინებია, რომელთა მიზანია კაცობრიობაზე გაბატონება ეროვნულ სახელმწიფოთა დანგრევით, ზნეობის მოშლით, ტვინის გამორეცხვით, ადამიანის გენოტიპის შეცვლით.

**„ახალი გონის“** გამონათებამ შევარდნაძემ და **„უფლისმიერმა ფილოსოფოსმა“** მამარდაშვილმა მიზნად დაისახეს არა მხოლოდ ქართველი ერის, არამედ კაცობრიობის გადარჩენა **„ახალი აზრთაწყობის“** საშუალებით.

როგორც ავტორები გვაუწყებენ, ბუმბერაზ მოაზროვნეს სურდა **„ძველი აზრთაწყობის ურჩხულისგან ეხსნა, როგორც „დიდი“ ასევე მცირე ერები. „მომავლის წესრიგისთვის აუცილებელია, რომ არავინ დარჩეს „ძველ მენტალურ განზომილებაში“, „ძველი გონების ტყვეობაში“.**

მადლიერ მოკვდავთ შევარდნაძის ამგვარი თავგანწირვა, მოყვასისადმი ამგვარი ზრუნვა შეუმჩნეველი არ დარჩენიათ და ღრმა მადლიერების გრძნობით აღვსილნი აღნიშნავენ შევარდნაძის არამიწიერ თვისებებს, რომლებსაც ავტორები სიამოვნებით ჩამოთვლიან.

**„შევარდნაძის მომნუსხავი, ჰიპნოტიზირებული მზერა და სიცილი არამიწიერ ინკარნაციაზე მიუთითებდნენ“... „მისი სახის იერი თუ აურა ცეცხლოვან მოწითალო ფერს ატარებს, რადგან უცხოპლანეტელების გავლენის ქვეშ იმყოფება“... იგი ენცოფილია, არამიწიერი ეგზემპლარი, დედამიწის სტუმარი, რომელსაც სხვა სამყაროში არსებობისა და გამოცდილების ხსოვნა გააჩნია“... „ზეენერგიული ბიოველის მატარებელია“... „არასდროს უავადმყოფია“** და ა.შ. და ა.შ.

ნახევრადღმერთსა თუ უცხოპლანეტელს ერთი ადამიანური თვისება მაინც ჰქონდა: **„იგი საიდუმლო ორგანიზაციების ადეპტია, მალტის ორდენის რაინდი“,** რასაც ავტორები არ ეთანხმებიან, რადგან თავად შევარდნაძე უარყოფდა მასონებთან რაიმე კავშირს.

მარქსის მოძღვრებითა და მისი ნაშრომებიდან ამოკრეფილი ციტატებით ნასაზრდოები კომუნისტური ნომენკლატურისთვის და დისერტაციებდაცული ინტელიგენციისთვის ცნობილი უნდა იყოს მარქსის ნათქვამი, რომ მისთვის ადამიანური სისუსტეები უცხო არ არის.

შევარდნაძეს ერთი ადამიანური სისუსტე მაინც ნუთუ არ ჰქონდა?

ბატონი ელიზბარ ჯაველიძე ქართველ პუტჩისტებზე და შევარდნაძეზე წერს: **„ამ პუტჩის ღმერთგამწყრალ თავკაცებს სიბრიყვის გამო ეგონათ, რომ „მსოფლიო შეთქმულების“ ორგანიზატორები ღვაწლს დაუფასებდნენ და საქართველოს მათ სალაფავად აქცევდნენ. ერთხანს ასე იყო. მთავარი შეთქმული, რომელიც სცენაზე არ ჩანდა, ოღონდ კულისებიდან აქტიურად დირიჟორობდა ამ ტრაგედიას, მოსკოვში მშვიდად იჯდა და აღქმულ ჟამს ელოდებოდა. ეს დროც მალე დადგა და საყოველთაოდ ცნობილი მასონების: ბუშის, ელცინის და ბეიკერის ნებითა და ბრძანებით საქართველოს თავკაცად მოევლინა სსრკ-ში „მასონური მოძრაობის პატრიოტად ხმობილი. მასონთა კლუბ „მაგისტერიუმის“ ერთ-ერთი მთავარი ფიგურაა ე. შევარდნაძე“** (ე. ჯაველიძე, **"ავაჰმე ჩემო მამულო..."** თბ.2007 წ. გვ 27).

ბატონი ელიზბარი მიუთითებს ოლეგ პლატონოვის ნაშრომს (Терновый венец России, М 2000 ст.27 ) სადაც რუს მასონებთან ერთად მხილებულია შევარდნაძე, როგორც მასონთა კლუბ **„მაგისტერიუმის“** ერთ-ერთი მთავარი ფიგურა.

მაინც, რითი დაამახსოვრა თავი ავტორთა მიერ გაღმერთებულმა შევარდნაძემ ქართველ ხალხს?

ცეკას პირველმა მდივანმა შევარდნაძემ ქართველ მეღვინეებს შაქრით ფალსიფიცირებული ღვინო აკეთებინა, თვითონ სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიიღო, მეღვინეებს კი დევნა დაუწყო.

შევარდნაძე ებრძოდა ეროვნულ ტრადიციებს, ცხოვრების წესს, მართლმადიდებლობას, მორწმუნეებს ეკლესიაში შესვლას უკრძალავდა...

პოლიტბიუროს წევრობის მაძიებელმა შევარდნაძემ მოსკოვში პარტიის ყრილობაზე დეპუტატებს ზურგი შეაქცია, კომპარტიის გენსეკისკენ მობრუნებული მას ემლიქვნელებოდა, ეფიცებოდა საქართველოში მზე ჩრდილოეთიდან ამოდისო.

ამზადებდა, პირადად იღებდა ე.წ. **„ოპოზიციის“** წარმომადგენლებს, აქეზებდა, აფინანსებდა, ზოგიერთს საქართველოს პრეზიდენტობასაც კი ჰპირდებოდა.

საქართველოში დაბრუნებულმა ახალმა გონმა **„შევარდნაძემ ინტელიგენციას მადლობა გადაუხადა იარაღის ხელში აღებისთვის... დაიწყო გამსახურდიაზე ნადირობა... დაიწყო უზარმაზარი ქარხნების ჯართად გაყიდვა, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების საკუთრების დატაცება".**

**„ახალმა გონმა“** შევარდნაძემ აფხაზეთი რუსეთს ჩააბარა.

**„დიდმა“** პოლიტიკოსმა შევარდნაძემ მხედრიონსა და სხვა ბანდფორმირებებს უფლება მისცა სამეგრელო ხუთჯერ დაელაშქრათ იქ ცოდვისკალოს დასატრიალებლად.

**„ახლმა აზრთაწყობა“** შევარდნაძემ და მისმა მთავრობამ ქვაბავაზაკივით მოსახლეობა გაძარცვა, ანაბრები წაართვა და ის მილიარდები სახელწიფოს დღესაც ვალად ადევს...

საქართველოში შევარდნაძის დაბრუნების შემდეგ ხელისუფლებას ხალხი კი არ ირჩევს, არამედ არჩევნების გამყალბებელი ხმის დამთვლელი კომისიები...

შევარდნაძემ ე.წ. **"ვარდების რევოლუციის“** სცენა გაითამაშა, ხელისუფლება **„აზრთაწყობის“** ერთგულ მიმდევრებს გადააბარა, რომლებმაც შევარდნაძის დაწყებული საქმე დაასრულეს და საქართველო ხერხემალში გადატეხეს.

ავტორთა თავდაჯერება, რომ საქართველო **„ახალი აზრთაწყობით“** აყვავდებოდა, ფუჭი გამოდგა.

შედეგი აზრთაწყობისა სახეზეა: ტოტალური უმუშევრობა, მილიონობით ქართველის უცხოეთში გადახვეწა ლუკმა-პურის საშოვნელად, მართლაც კატასტროფული დემოგრაფიული მდგომარეობა, განათლებისა და ჯანდაცვის სისტემის მოშლა,

მეცნიერების ჩარეცხილებად გამოცხადება, რელიგიური სექტების მომრავლება, ზნეობრივად დაცემულთა აბობოქრება, სახელმწიფო მუზეუმების ძარცვა, ტერიტორიების დაკარგვა, სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტების უცხოელებზე გაყიდვა, უზარმაზარი საგარეო ვალი, საშინაო და საგარეო პოლიტიკის წარმოება უცხოელი ელჩის ჭკუაზე, ბიუჯეტიდან დიდი ოდენობის თანხების მითვისება ე.წ. ხელფასის დანამატის სახით, კორუფცია, კორუფცია, კორუფცია... და მრავალი სხვა.

ავტორები შევარდნაძის **„პლანეტარულ“** დონეზე განდიდებასთან ერთად, არაფრად აგდებენ, დასცინიან, ცილს სწამებენ ქართველ ერს, ეროვნულ მოძრაობას, ხალხის მიერ არჩეულ ეროვნულ ხელისუფლებას, რაც ოიკოფობიის ერთ-ერთ გამოვლენად მიმაჩნია.

ავტორები მომიტინგე და მოშიმშილეთა შესახებ ცინიკურად წერენ: **„ერთობ გროტესკული სურათი იხატება: რაღაც კერპთმსახური ტომი ბელადით, შამანით, ქურუმი ქალებით“.**

ეს ხალხი საპროტესტო აქციებითა და შიმშილობით იმპერიას აიძულებდა ეღიარებია საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. ამ პატრიოტთა შესახებ ავტორები შემდეგს წერენ: **„შეგაძრწუნებს იმის დანახვა, თუ რამდენად შურიანი, ბოროტი, ღვარძლიანი შეიძლება იყოს ადამიანი“.**

მწიგნობარნო, გახსოვდეთ სახარების სიტყვები: **„რად უყურებ ბეწვს შენი ძმის თვალში, როცა საკუთარ თვალში დირესაც კი არ ამჩნევ“** (მათე7,3).

ავტორთა აზრით, ტომის ბელადის, ანუ ზვიად გამსახურდიას პიროვნებაში **„შეთავსებულია“ უამრავი შრე, ფენა, პლასტი, დანალექი... ის ხომ შემზარავი კაცთმოძულეცაა და გულჩვილი ფილანტროპიც, რელიგიური ფანატიკოსი და მკრეხელი ათეისტი, სადისტიცაა და მაზოხისტიც“**... და ა.შ ა.შ.

ზვიად გამსახურდიას შესახებ ბევრი რამ წამიკითხავს და ბევრიც მსმენია, მაგრამ მისი ამგვარი ლანძღვა-გინება, ამგვარი ცილისწამება, არც წამიკითხავს და არც არავისგან მსმენია!

ახლებურად მოაზროვნე ფილოსოფოს ავტორთა აზრით ეროვნული მოძრაობის მთავარი მამოძრავებელი ძალა საქართველოს მოსახლეობა გაუთვითცნობიერებული ველური, წარმართი, კერპთმსახური ტომი ყოფილა, რომელსაც ბელადი და ქურუმი ქალები ხელმძღვანელობდნენ.

*(გაგრძელება მე-4 გვერდზე)*

# ახალი აზრთაწყობით გაჩხიბულნი საქართველოში

*(გაგრძელება მე-3 გვერდიდან)*

აშკარად შეიმჩნევა **„უფლისმიერი ფილოსოფოსის“** გავლენა ახალგაზრდა ფილოსოფოსებზე!

ავტორთა აზრით, არჩევნებში **„მრგვალი მაგიდის“** გამარჯვების მთავარი მიზეზი ის იყო, რომ ხალხს სოციალურ გარდაქმნებს დაპირდნენ. ამგვარად **„მრგვალმა მაგიდამ“** ეროვნული მოძრაობა სოციალურ მოძრაობად გადააქცია.

რეფერენდუმზეც და არჩევნებზეც საქართველოს მოსახლეობის უდიდესმა ნაწილმა ხმა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას მისცა! **„მრგვალ მაგიდას“** ეროვნული მოძრაობა სოციალურ მოძრაობად არ გადაუქცევია! ეს ავტორთა შემოგდებული ჭორია, რათა სამხედრო კრიმინალური გადატრიალება გაამართლონ. აი, **„მრგვალი მაგიდის“** ათთვიანი მმართველობით დამშეული გაღატაკებული, პურის გაიაფებით აღშფოთებული ხალხი ქუჩაში გამოვიდა და **„პროვინციული ფაშიზმი“** დაამხო.

რა საოცრად არ უნდა მოგეჩვენოს, გონსგადასული ზოგიერთი პუტჩისტი გაჰყვიროდა – პრეზიდენტის მიერ პურის გაიაფებამ გამოიწვია ხალხის საპროტესტო აქციები, ჩვენ რა შუაში ვართო! ავტორებიც ეთანხმებიან: ხალხმა თავის ზურგზე იწვნია პურის გაიაფებაო.

მოდით, ფსიქიატრების საქმეში ნუ ჩავერევით და ისევ ჩვენს ავტორებს მივხედოთ, რომლებიც სექტემბრის პროვოკაციულ მიტინგს **„ეროვნულ-დემოკრატიულ რევოლუციად“** ნათლავენ. **„ქუჩაში 60 ათასი კაცის გამოსვლა ნიშნავს ხელისუფლების სრულ გაკოტრებას“.** ასეთია მათი კატეგორიული დასკვნა.

მაგრამ წლების მანძილზე 100-ათასკაციანი მიტინგები რომ იმართებოდა კანონიერი ხელისუფლების აღდგენის მოთხოვნით და ხალხი დაუნდობლად იხვრიტებოდა, ეს არ ნიშნავდა შევარდნაძის ხელისუფლების გაკოტრებას?

ავტორების მიერ ერის საუკეთესო ნაწილად მიჩნეული 60 ათასი კაცი (სინამდვილეში ბევრად მცირე ) თავიანთ თავს **„კარენოი თბილისელებს“** უწოდებდნენ. ეს არამზადები დანარჩენ საქართველოს დაუპირისპირდნენ, კანონიერი ხელისუფლების, მათ მიერ არჩეული ხელისუფლების დასაცავად რაიონებიდან ჩამოსულ ჭეშმარიტ ქართველებს **„სუნიანებს“** ეძახდნენ.

ჩვენ ვიცით ტო, ვინც არიან **„კარენოები“**! მრავალი მათგანი დღესაც ხელისუფლებაშია და ანტიქართულ საქმიანობას ეწევა!

ოცდახუთი-ოცდაათი წლის ახალგაზრდებს არა, მაგრამ ჩვენი ასაკის ხალხს კარგად ახსოვს ის რომ, სწორედ ეროვნული მოძრაობის აღმავლობის დროს იყო ქართველი ერი ერთ მუშტად შეკრული, სულიერად აღზევებული, შეკავშირებული.

ბუშის და საბჭოთა მასონებისგან წაქეზებულმა და დაფინანსებულმა პუტჩისტებმა სისხლიანი გადატრიალება მოაწყვეს, ხალხის მიერ არჩეული კანონიერი, ეროვნული ხელისუფლება დაამხეს და კიდევ გამსახურდიას ბრალია დაპირისპირება? საოცარია ჩვენი ფილოსოფოს ავტორების ლოგიკა!

ვნახოთ, როგორ აფასებენ სასულიერო მოღვაწენი იმ ტრაგიკულ დროებას.

მხევალი ღმრთისა თამარი (ბოჭორაძე) წერს: **„როდესაც ხალხს თავისი რჩეული (ზვიად გამსახურდია) წაართვეს, ისე რომ არავის არაფერი არ ჰკითხეს, სულიერად ჩაკვდა ერი. იმ წელს საქართველოში რუსეთიდან შევარდნაძე ჩამობრძანდა. ერი ორად გაიყო“.**

მისივე მოგონებიდან: **„ძმათამკვლელი ომის დროს, სამთავროში შეიარაღებული ჯგუფი შევიდა – ორმოცამდე იქნებოდნენ. მამა გაბრიელმა ისინი სიყვარულით მიიღო, იარაღიააყრევინა, ტაძარში შეიყვანა, მუხლმოდრეკით „მამაო ჩვენო“ ათქმევინა, ჯვრები აჩუქა და ამბიონიდან ღვთისა და ერის სიყვარულზე აქადაგა, შემდეგ შეეკითხა:**

**– საით გაგიწევიათ რა საქმეზე მიდიხართ?**

**მათ ომახიანად უპასუხეს – ზუგდიდში მივდივართ საომრადო.**

**– მერედა ვის უნდა ესროლოთ, იქ ხომ ქართველები არიან?! – იკითხა ბერმა ხელები ასწია და დაიყვირა:**

**– მესროლეთ, მე ვარ საქართველო!!! – შემდეგ აიღო კვერთხი და შეუძახა: – ამით დაგიმტვრევთ თავებს, თქვენ ქუდები კი არა ლეჩაქები უნდა გეხუროთ! „რაინდები“ ისე გაცვივდნენ კინაღამ იარაღის წაღება დაავიწყდათ....**

**წმინდა გაბრიელ ბერს თურმე ცრემლები წამოსცვივდა თვალთაგან. დიდხანს ტიროდა მოთქმით და თან ამბობდა: "ქართველ ერს ეგ სისხლი ძალიან დიდხანს გაჰყვება – იქნება ძალიან დიდი გლოვის ხანა სრულიად საქართველოში“.**

სალოსის, ნათელმხილველი ბერის სიტყვებია **„ვაი, იმას, ვინც ზვიადიზე ცუდს იტყვის“** (მ. ჯინორია, **"თქვენი სიცოცხლე – ჩემი სიცოცხლეა. მოგონებები გაბრიელ ბერზე"**, თბ. 2009 წ. გვ. 163, 410 ).

მშვიდობისმყოფელ ახალ გონს შევარდნაძეს პუტჩისტებთან არავითარი კავშირი არ ჰქონია, საერთოდ, სახელმწიფო გადატრიალების წინააღმდეგი ყოფილა – გვიმტკიცებენ ავტორები.

თუ ეს ასეა, თბილისში ჩამოსულმა ახალმა გონმა რატომ გადაუხადა დიდი მადლობა აეროპორტში დახვედრილ ინტელიგენციას იარაღის ხელში აღებისთვის?

წიგნი მთავრდება ე. წ. **„პირობითი დიალოგით“**. ეს ის **„დიალოგია“** იუნესკოს გენდირექტორის და შევარდნაძის წიგნებიდან ამოკრეფილი ამონარიდებით ავტორებს საკუთარი გემოვნებითა და საკუთარი ჭკუაწყობით რომ შეუთხზავთ.

ედუარდი და ფედერიკო ერთად სხედან და სიბრძნეებს აფრქვევენ. ედუარდი ფედერიკოს ეუბნება: **„გონება ყოველთვის ზოგადობას უკავშირდება, ზოგადი კი ადამიანში უნიკალურისა და განუმეორებლის ნიველირებას ნიშნავს. ამგვარი რამ წმინდა თეორიული ასპექტით, შესაძლოა, უწყინარადაც კი გამოიყურებოდეს, მაგრამ პოლიტიკურ პლანში მას ადამიანისთვის დამღუპველი შედეგები მოსდევს“.**

როგორ? გონებას და მის განზოგადების უნარს ადამიანისთვის უბედურება მოაქვს? ღმერთმანი **„ძველ მენტალურ განზომილებაში“** მყოფმა ამ სიბრძნეს ვერაფრით გავუგე!

ფრიად საინტერესოა თუ როგორ ხსნიან და ამართლებენ ავტორები ედუარდ შევარდნაძის ნათლობას.

**„ახალი პოლიტიკური აზროვნება გულისხმობს გონების მიბრუნებას გულისადმი... ამაზე მიუთითებს პოლიტიკური აზროვნების სფეროში ისეთი მომენტების შემოტანა, როგორებიცაა „შეუძლებელი“, „ალღო“, „გულისხმიერება“**– წერენ ავტორები. **“პოლიტიკური აზროვნების თვალსაწიერში შემოდის ადამიანური გონის თეოლოგიური განზომილება. პოლიტიკოსი გვეუბნება, რომ პოლიტიკა დაფუძნებულია თეოლოგიურად. აქედან გამომდინარე ნათლობის ეკლესიური აქტი განხორციელდა არა როგორც პოლიტიკური ფანდი თუ ეშმაკობა, არამედ როგორც ამ ყაიდის პოლიტიკოსის „ბუნებრივი განვითარების გზა“!**

ავტორებს, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორებს ნუთუ სჯერათ ის, რომ **„ახალ პოლიტიკურ აზროვნებამდე“, „ახალ აზრთაწყობამდე“, „ახალ გონამდე“ „ადამიანის აზროვნების თვალსაწიერში“** არ შედიოდა **„ადამიანის გონის თეოლოგიური განზომილება“?** თუ პოლიტიკოსი დღეს გეუბნება **„პოლიტიკა დაფუძნებულია თეოლოგიურად“**, რატომ არ იტყოდა ამ სიტყვებს შუა საუკუნეების პოლიტიკოსი?

ცივილიზაციის გარიჟრაჟიდან დღემდე თეოლოგია დიდ ფილოსოფოსთა პოლიტიკოსთა, მეცნიერთა, მწერალთა შემოქმედებას კვებავდა, სწორ მიმართულებას აძლევდა. რა თქმა უნდა იყო გამონაკლისი – კომუნისტები!

მარტო შოთა რუსთაველის **„ვეფხისტყაოსანი“** აბათილებს **„დიდი პოლიტიკოსის"** ედუარდის სიტყვებს ფედერიკოს რომ უთხრა: **„აზროვნების ძველი წესრიგის ფარგლებში, რა თქმა უნდა, გრძნობა გონებისადმი მტრული ელემენტია“.**

გავიხსენოთ შოთას სიტყვები: **„გული, ცნობა და გონება ერთმანეთზედა ჰკიდიან: რა გული წავა იგიცა წავლენ და მისკე მიდიან“.**

სად არის აქ მათ შორის **„დაპირისპირება“, „მტრული დამოკიდებულება?**

ასე რომ ედუარდ შევარდნაძის ნათლობა მისი **„ბუნებრივი განვითარების გზა“** კი არაა, არამედ მამალი ათეისტის მიერ საჭირო დროს გადადგმული მორიგი პრაგმატული ნაბიჯია!

გამახსენდა ერთი ცნობილი მასონის რჩევა-დარიგება თანამოაზრეებისადმი: **"...ილაპარაკეთ და იმოქმედეთ – მტკიცედ აგრესიულად... გამოიყენეთ ლამაზ-ლამაზი სიტყვები. იხმარეთ, რაც შეიძლება უფრო გაუგებარი და ვითომ მეცნიერული ტერმინები. მნიშვნელობა არა აქვს რას იტყვით, მთავარია როგორ იტყვით...“.**

წიგნი **„შევარდნაძე – შეგნების გარდაქმნა საქართველოში“** სწორედ ამ პრინციპითაა დაწერილი.

**„ახალი აზრთაწყობით“** აწყობილი საქართველო კი, მალე ერთსქესიანთა ქორწინების თაფლობის თვეებით დატკბება!

გიხაროდენ, ოიკოფობებო!

**თენგიზ კუბლაშვილი**

# რუსი მეცნიერი, რომელმაც ჯვარი ფიზიკურად შეისწავლა, გაურკვეველ ვითარებაში მოკლეს

რუსმა მეცნიერებმა კვანტური ფიზიკის პოზიციებიდან შეისწავლეს ჯვარი და გამაოგნებელ დასკვნამდე მივიდნენ. მათმა ხელმძღვანელმა, აკადემიკოსმა შიპუნოვმა ამ შედეგების შესახებ საქვეყნოდ განაცხადა. მალე შიპუნოვი გაურკვეველ ვითარებაში მოკლეს.

აი, რა აღიარა მეცნიერმა: **„ჩვენი ცდებით დამტკიცდა, რომ ჯვარი ერთადერთი მექანიზმია მთელს პლანეტაზე, რომელიც დამუხტულ ნაწილაკებს წარმოქმნის, ანუ ჩვენი სიცოცხლისთვის უზრუნველყოფს ელექტრულ კვებას, რომლის გარეშეც არც ერთ ცოცხალ უჯრედს არ შეუძლია არსებობა. ყველაზე საინტერესო, აი, რა არის – ჯვრის იმ კუთხეში, სადაც ჰორიზონტალური და ვერტიკალური ხაზები გადაიკვეთებიან, ჩვენს ბიოსფეროში მთელი სამყაროდან შემოსული ენერგია ჰორიზონტალურ ნაკადად წარმოიქმნება და ჯვრის სწორედ ეს ადგილი მარჯვნივ და მარცხნივ უთვალავ, მილიარდობით დამუხტულ ნაწილაკს გადმოაფრქვევს. ნაწილაკები გამოიფრქვევა კონებად. ხოლო დიდ დღესასწაულებსა და ღვთისმსახურების დროს ჯვრიდან გვირგვინისებური გამოსხივება შეინიშნება. მერე ჯვრის ვერტიკალური შემადგენლიდან ეს ენერგია ტაძრის სივრცეში ხვდება და იქ ელექტრული ენერგიის უზარმაზარ პოტენციალს ქმნის. ამიტომაც ტაძარი, თანამედროვე კვანტური მექანიკის თვალსაზრისით, ენერგიის უზარმაზარ გამომსხივებელს წარმოადგენს. ეს გამოსხივება უზარმაზარ მანძილზე ვრცელდება და, ფაქტიურად, თავის გარშემო არსებული სივრცის მთელ ელექტრომაგნიტურ სტრუქტურას გარდაქმნის. ამას შემდეგ უზარმაზარი ძალის უფრო ფაქიზი ველების გარდაქმნაც მოსდევს, ანუ ტაძრის გარშემო სივრცე მთლიანად იცვლება. ჯვრები თვით მიტოვებულ ტაძრებშიც კი გამოასხივებენ ენერგიას. ყველა ჯვარი სხვადასხვა ხარისხისას გამოასხივებს. ყველაზე ძლიერად ოქროსი, ლითონის – შედარებით ნაკლებად. გამოასხივებს ხის ჯვარიც. ყველაზე საყურადღებო ის არის, რომ ჯვრის ვერტიკალური ნაწილი კოსმოსურ რადიაციას ღებულობს, ჰორიზონტალური ნაწილი კი მას დედამიწის ზედაპირზე გადაასხივებს. ჯვარი წარმოადგენს ელექტრული მუხტების ყველაზე ძლიერი გამომსხივებელს და, სხვათა შორის, მაცოცხლებელი მუხტებისას, რომელთა რაოდენობა დედამიწაზე არა კმარა. ეს წმინდა ფიზიკური მოვლენაა. ჯვარი – ესაა დედამიწაზე სასიცოცხლო ძალების კვების ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი გამოვლენა. მეორე ასეთი არ არსებობს ბუნებაში“,** – წერს ფეისბუქის საკუთარ გვერდზე თემურ ლომსაძე.



# საქართველოში პრეზიდენტს უნდა ირჩევდეს პარლამენტი და არა – ხალხი

პარლამენტის ვიცე-სპიკერი ზვიად ძიძიგური იზიარებს ბიძინა ივანიშვილის პოზიციას, რომ საქართველოში პრეზიდენტის არჩევა პირდაპირი წესით არ უნდა ხდებოდეს და მიიჩნევს, რომ ამ მიმართულებით კონსტიტუციაში ცლილებები განსახორციელებელია.

ძიძიგური იმასაც ადასტურებს, რომ არსებობდა კოალიციაში შეთანხმება, შესაბამისი საკონსტიტუციო ცვლილებების განხორციელების შესახებ, თუმცა იმის გამო, რომ საპარლამენტო უმრავლესობას კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის შესაძლებლობა არ ჰქონდა, ეს ვერ მოხერხდა. **”ამ წლების განმავლობაში არაერთხელ დაგვიფიქსირებია, რომ იმ ფუნქციის მქონე პრეზიდენტს, რა ფუნქციაც მოქმედი კონსტიტუციის მიხედვით, ჩვენს პრეზიდენტს აქვს, პრეზიდენტს უნდა ირჩევდეს პარლამენტი და არა ხალხი. პირდაპირი არჩევა საჭიროა ისეთი საპრეზიდენტო მმართველობის პირობებში, როდესაც პრეზიდენტის აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელია. როდესაც პრეზიდენტი აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელი არ არის და მას მაინც საყოველთაო არჩევნების გზით ირჩევ, ეს სწორი არ არის. მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში ასე არჩევა არ ხდება – ყველგან, სადაც პრეზიდენტი არ არის აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელი, მისი არჩევა წარმომადგენლობითი ორგანოების მიერ ხდება”**, – განუცხადა ჟურნალისტებს ზვიად ძიძიგურმა.

კოალიციაში შეთანხმებული ვიყავით და **„რესპუბლიკელებთანაც“** რამდენჯერმე გვქონდა საუბარი, რომ საჯაროდ არჩევა არ უნდა მოხდეს პრეზიდენტის, – ამის შესახებ საქართველოს ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა.

მისივე თქმით, აღნიშნული ცვლილება კონსტიტუციაში უნდა შესულიყო. **”გარდა იმისა, რომ დავით უსუფაშვილი პარლამენტის სპიკერია, ის არის საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარე. როცა მკითხა, რომ საკონსტიტუციო კომისია ყალიბდება და ჩემს თავმჯდომარეობაზე რას იტყვიო, – არც მიფიქრია, რომ სხვა კაცი იქნებოდა თავმჯდომარე, ასე რომ ის ოთხი წელია საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარეა. იქვე შედის ხმალაძეც, რომელსაც მე ვიცნობ, როგორც კარგ იურისტს. თითი თითზე არ დაუდვიათ იმ კომისიაში. ბევრი რამ იყო შესაცვლელი, მათ შორის პრეზიდენტის შესახებ. კოალიციაში შეთანხმებული ვიყავით და „რესპუბლიკელებთანაც“ რამდენჯერმე გვქონდა საუბარი, რომ საერთო, საჯაროდ არჩევა არ უნდა მოხდეს პრეზიდენტის, რომელსაც ასეთი შეკვეცილი უფლებები აქვს”**, – განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა და დასძინა, რომ ასეთი შეკვეცილი უფლებებით პრეზიდენტის არჩევა დაბნეულობას იწვევს და თავად გიორგი მარგველაშვილიც დაბნეულია. **”შეთანხმებული ვიყავით, რომ ეს უნდა შეცვლილიყო. ადრე ვუსაყვედურე „რესპუბლიკელებს“, თუ რატომ „გაუპრავეს“ მარგველაშვილს საააკაშვილის სასახლეში შესვლა. პირველი გადახტა უსუფაშვილი და „გაუპრავა“. სხვა კანონებიც, რომელიც კონსტიტუციაშია დასახვეწი, არ გააკეთეს, მათ იმიჯს არ მოუხდებოდა. საპარლამენტო რესპუბლიკების კონსტიტუციების მიხედვით, პრეზიდენტს ირჩევს პარლამენტი, ასე უნდა ყოფილიყო, რამეთუ ეს აბნევს ყველას, მათ შორის პრეზიდენტსაც. ნახეთ, როგორი დაბნეულია ეს კაცი. ეს არ მოუხდებოდა ”რესპუბლიკური პარტიის” იმიჯს, რადგან ისინი ეთამაშებოდნენ მარგველაშვილს”**, – განაცხადა ივანიშვილმა.

# ვის ეკუთვნის ცოტნე დადიანის ძეგლის დადგმის იდეა?



ცოტნე დადიანი გმირობისა და თავდადების მაგალითია. ის გახლავთ წინაპარი, რომელმაც გვიჩვენა, როგორი უნდა ცხოვრობდეს და იბრძოდეს ნამდვილი მამულიშვილი. ის წყაროებში მოხსენიებულია, როგორც **„კაცი პატიოსანი და სათნოებანი და ბრძოლისა შინა სახელოვანი"**. ამდენად, ცოტნე ქართველი კაცის ღირსებისა და ბრძოლის ეტალონია.

ამ ღირსეული წინამორბედის ძეგლის დადგმა ფოთში (1996 წ) მისასალმებელია. იგი გახლავთ ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ნიმუში, ცნობილია, რომ საბჭოთა ხელისუფლებას საკუთარი იდეოლოგია გააჩნდა, მეფეებისა და გვირგვინოსანი ფეოდალების ბიუსტების დადგმას თავს არიდებდნენ. თუნდაც იგი ღირსეულთა შორის ღირსეული ყოფილიყო. დაგვიანებით, მაგრამ მაინც მოხერხდა ღირსეულის ღირსეულად დაფასება.

ეს წერილი არ დაიწერებოდა, რომ არა ბოლო ორი შემთხვევა, სადაც ბატონი ნუგზარ ნადარაია (ფოთის ყოფილი მერი) საზოგადოებს წინაშე გამოვიდა და ხმამაღლა განაცხადა, რომ ცოტნე დადიანის ძეგლის დადგმა მისი ფანტაზიის ნაყოფია, მისი დიდი ღვაწლის შედეგი. ყველაფერს საკუთარ **„დიდკაცობაში"** აერთიანებს და წარმოაჩენს! რომ არა ის, ეს **"ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუში"** არ შეიქმნებოდა. ცდილობს ამით საზოგადოების მოწონება და გულმხურვალება დაიმსახუროს. არცერთ სიტყვა არ დასცდენია ამ შესანიშნავი ქმნილების ავტორზე, მოქანდაკე ელგუჯა ამაშუკელზე, რომლის ნახელავი ამშვენებს საქართველოს ბევრ ქალაქსა და მათ შორის თბილისს. მისი ნამუშევრები დაცულია კანადის ეროვნულ მუზეუმში, ტრეტიაკოვის გალერეაში, აღმოსავლეთის ქვეყნების მუზეუმებში. ასევე, უნიჭიერეს არქიტექტორ ვახტანგ დავითაიაზე, რომელიც სახელმწიფო პრემიის ლაურეატია, ათობით ძეგლის, ქანდაკების, სკულპტურისა და მონუმენტური ქმნილებების დამპროექტებელი.

ძეგლის დადგმის იდეა კი ჩემია. როცა ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტი გავხდი – 1968 წელს და ვნახე დედაქალაქში არაქართველების ძეგლები მომრავლებულიყო (მათ მიმართ პროტესტი არ გამჩენია) მაგრამ მათ შორის რომ არ იყო ცოტნე დადიანის ბიუსტი, ჩემში გაჩნდა სურვილი – გმირი წინაპრის ძეგლი აღმართულიყო. საკუთარი აზრი ჯერ სტუდენტებს, შემდეგ ისტორიის ფაკულტეტის დეკანს გავუზიარე. ცხადია, ჩემს იდეას საბჭოთა რეჟიმის პირობებში განხორციელება არ ეწერა.

როცა ღმერთმა მომასწრო სამშობლოს დამოუკიდებლობას, გულით დიდი ხნით ნატარები ოცნების ხორცშესხმის იმედი გამიჩნდა. როგორც ცნობილია, ქვეყანა მალე სამოქალაქო ომის ალში გაეხვია. ძირითადად სამეგრელო გახდა ხელისუფლების **„შეტევის"** ობიექტი, რადგან საქართველოს პრეზიდენტი ზ. გამსახურდია იქ იმყოფებოდა. სამეგრელოში მცხოვრებთა უპირველესი საზრუნავი გახდა როგორმე დაგვეცვა ეს კუთხე მხედრიონელთა და უკანონო სამხედრო ფორმირებების თარეშისაგან. 1992 წელს სრულიად კეთილი განზრახვით გადაწყდა შექმნილიყო საზოგადოება **„სამეგრელო"** (არ აგერიოთ სახალხო მოძრაობა **"სამეგრელოში"**, რომელიც 1999 წლის 2 მარტს ჩამოყალიბდა ქალაქ ფოთში და დღესაც წარმატებით ფუნქციონირებს – **"ილორი")**, რომელიც მხარდაჭერას მოიპოვებდა და უზრუნველყოფდა მხარის დაცვას. 1992 წლის 8 დეკემბერს მწერალთა კავშირის დარბაზში **„სამეგრელოს"** პირველი ყრილობა გაიმართა. შეიკრიბა საზოგადოება საქართველოს ყველა კუთხიდან, რომელთაც ჰქონდა გარკვეული პასუხისმგებლობა შეჩერებულიყო ის საშინელება რაც ხდებოდა დასავლეთ საქართველოში, შეკრებაზე მოწვეული იყვნენ სამეგრელოს რაიონის მაჟორიტარი დეპუტატები, როგორც მახსოვს: სენაკის, ფოთის, აბაშის, მარტვილის, წალენჯიხის წარმომადგენლები. აქ იყვნენ მაშინდელი კავშირგაბმულობის მინისტრი ფრიდონ ინჯია, მწერალი რევაზ მიშველაძე, პოეტი გენო კალანდია, სენაკის რწმუნებული შალვა კეკელია, ასევე, ლევან ღვინჯილია, მწერალი გური ფეტელავა და სხვა საპატიო ადამიანები. დარბაზი მოსულთ ვერ იტევდა.

საზოგადოება **"სამეგრელო"**-ს გამგეობის თავმჯდომარედ აირჩიეს შესანიშნავი პოეტი და მოქალაქე ვახტანგ ხარჩილავა, ხოლო ორგანიზაციის პასუხისმგებელ მდივნად – მე (სამწუხაროდ, ეს საზოგადოება, ხელისუფლების ზეწოლის შედეგად, დაარსებიდან ერთ წელიწადში გაუქმდა).

შეკრებაზე სიტყვით გამობრძანდნენ, როგორც საზოგადოების წარმომადგენლები, ასევე პარლამენტის წევრთა ნაწილი, მათ შორის ნუგზარ ნადარაია, რომელმაც თქვა, რომ იზრუნებდა, რათა პარლამენტში სამეგრელოს საკითხზე შექმნილიყო საგამოძიებო კომისია. მომეცა საშუალება გამომეთქვა საკუთარი მოსაზრებები: უპირველეს ყოვლისა, მოვითხოვე თბილისიდან ავტორიტეტული ჯგუფის ჩასვლა ადგილზე და მდგომარეობაში გარკვევა, რადგან ყრილობის მოწვევამდე ორი კვირით ადრე სამეგრელოში მცხოვრები პენსიონერებისათვის დასარიგებელი თანხა, რომელიც ქუთაისიდან უნდა ჩამოეტანათ, გზაში დააყაჩაღეს და გაწამებული მოსახლეობა კიდევ უფრო საშინელ დღეში აღმოჩნდა. ვითხოვე ამ საკითხის უსწრაფესად გამოძიება და მოხუცთათვის კუთვნილი პენსიის გაცემა. მეორე საკითხი, რომელიც მაწუხებდა იყო კოსტანტინე გამსახურდიას ბარბაროსულად გადამწვარი **"კოლხური კოშკის"** აღდგენის საკითხი. გამოვთქვი სურვილი ხელისუფლებას ამ ქმედების მონაწილენი სათანადოდ დაესაჯა და ეზრუნა სასახლის აღდგენისათვის. და, მესამე – განვაცხადე, რომ თბილისში მრავლადაა ძეგლები, მაგრამ, სამწუხაროდ, არ გვაქვს ღირსეული წინაპრის, ცოტნე დადიანის ქანდაკება. არა და ის იმსახურებს პატივმიგებას. სავალდებულო არ არის მაინცდამაინც დედაქალაქში აღიმართოს ის, არამედ კარგი იქნება სამეგრელოს ნებისმიერ რაიონში დაიდგას-მეთქი.

სხვაგან, უფრო წარმომადგენლობით საზოგადოებას სად გავაცნობდი წლობით გულით ნატარებ ოცნებასა და სურვილს. ჩემს გონებას განუშორებლად მიჯაჭვულ იდეას, რომელიც შინაგანად მაწუხებდა და მაფორიაქებდა? ბატონი ნ. ნადარაია ვერ იტყვის, რომ ამ ყრილობას არ ესწრებოდა და ჩემი გამოსვლა არ მოუსმენია, რადგან საზოგადოება **„სამეგრელოს"** დაარსების შესახებ ინფორმაცია დაიბეჭდა ბევრ გაზეთში, მათ შორის ვრცელი ანალიზი გამოაქვეყნა გაზეთმა **„დრონი"** (11 დეკემბერი №49), სათაურით: **„სამეგრელოს პირველი ყრილობა"**. ავტორია ჟურნალისტი თამარ კინწურაშვილი, სადაც დაფიქსირებულია სიტყვაში გამომსვლელთა წინადადებები, მათ შორის ჩემი და ბატონი ნ. ნადარაიასი.

ყრილობის მოწვევიდან გავიდა რამდენიმე წელი და ტელევიზიის საშუალებით გავიგე, რომ ფოთში იდგმებოდა უკვდავი გმირის ქანდაკება. სიხარულისაგან იმ ღამეს არ მიძინია, მესამე დღეს წავედი ფოთში, (3 ივნისი 1996 წ.) მსურდა პირადად მადლობა მეთქვა ბატონ ნუგზარ ნადარაიასათვის, რომელიც მაშინ ქალაქის მერი იყო. ადგილზე არ დამხვდა. ჩემი ბოლო წიგნი წარწერით და მადლობის წერილი სადაც აღნიშნული მქონდა, რომ ეს იყო ჩემი დიდი ხნის ოცნების ხორცშესხმა, მდივანს დაუტოვე და ვთხოვე, ძეგლის გახსნის დღეს მოვეწვიეთ (ამ წერილის ნაბეჭდი ასლი შენახული მაქვს).

ვის გავახსენდი?! ამაზე გული დიდად არ დამწყვეტია. ქანდაკების დადგმიდან 20 წელი სრულდება და ამაზე სიტყვა არასდროს, არავისთან დამცდენია. ან რა საჭირო იყო. რაც მთავარია ჩემმა იდეამ, ჩემმა ოცნებამ, ჩემი სულის ფორიაქის ნაწილმა ფრთები შეისხა, სწორედ სამეგრელოს კარიბჭეში დაიდგა შესანიშნავი ქანდაკება გმირი წინაპრისა. მთავარია, ძეგლთან მიდიან ადამიანები, მათ შორის უცხოელები და მას ათვალიერებენ როგორც შესანიშნავ სკულპტურულ ქმნილებას, ძეგლთან სურათს იღებენ... ეს სავსებით მაკმაყოფილებს.

მაგრამ თმენასაც აქვს საზღვარი!

ფაქტია, რომ იდეა ჩემია, მოქანდაკეა ე. ამაშუკელი. პროექტი ეკუთვნის ვ. დავითაიას, თავად ნ. ნადარაია გახლავთ პროექტის დამფინანსებელი. რასაკვირველია, დასახელებული ყველა ამ ადამიანების გარეშე შესანიშნავი ხუროთმოძღვრული ქმნილება არ შეიქმნებოდა. იგი გახლავთ კოლექტიური შემოქმედებითი ძალისხმევის შედეგი.

იქნებ, ბევრმა გაიფიქროს, რა მოხდა, იდეა გქონდა, მერე რაო ?!. მათ თავდახრით მოვახსენებ, რომ იდეა მნიშვნელოვანი რამ გახლავთ, ზოგჯერ მთავარიც. იდეა ნიშნავს ცნებას, წარმოდგენას, აზრს, სულს, სახებას... ის ფასეულობაა, ის ღირებულებაა. არცერთი დიდი და მნიშვნელოვანი საქმე არ განხორციელებულა იდეის გარეშე. ვთქვათ, ჯერ იყო წარმოდგენა, იდეა, სურვილი, რომ ადამიანი ჩიტივით აფრენილიყო ჰაერში და შემდეგ განხორციელდა იდეა – შეიქმნა თვითმფრინავი.

ბრძენი პლატონი განმარტავს, რომ **"იდეები უფრო მნიშვნელოვანია ვიდრე გრძნობადი საგანი, ჯერ არსებობს იდეა და შემდეგ კონკრეტული მნიშვნელობა"**.

წარმოსახვას **„გონების"** მაკრატელს უწოდებენ. ის გამუდმებით ჭრის და ალაგებს. მათ შორის გამოერევა მნიშვნელოვანი, რომელიც სამუდამოდ აღიბეჭდება გონებაში და მთელი ცხოვრება თან დაგყვება.

კიდევ ერთი იდეა, გნებავთ სურვილი დაარქვით მას, გნებავთ ოცნება! უკვე 30 წელია აქტიურად გამოვდივარ ინიციატივით შეიქმნას ფარნავაზის (ქართლის მეფისა) და ქუჯის (ეგრისის მეფის და არა – როგორც წერენ – ერისთავის) ერთობლივი ძეგლი, რომელთა ძალისხმევით (ლეგენდის თანახმად) ჩაეყარა საფუძველი ერთიან საქართველოს.

საკუთარი სურვილი თითქმის ყველა დონეზე გავაცანი (მივმართე წერილობით) ვისაც ჯერ არს, წინააღმდეგი თითქმის არავინაა, მართლაც რა იქნება იმაზე უფრო ძვირფასი ვიდრე საქართველოს ერთიანობის სიმბოლოს აღმართვა? იგი თითქმის ეროვნული დროშის, იგივე გერბის, გნებავთ ჰიმნის თანაფარდია. ათიოდე წლის წინათ შეიქმნა კიდეც პროექტი, მაგრამ თანხის უქონლობის გამო ვერ განხორციელდა (ყოველ შემთხვევაში ასე მითხრეს). მერე ითქვა, რომ ცალკე ქუჯის ძეგლს დავდგამთო, მიჩვენეს პროექტი, სულ არაფერს სჯობდა და ვთქვი, რომ კარგია, დავდგათ-თქო. გავიდა ოთხი წელი, ხელს არავინ ანძრევს. საქმე მკვდარი წერტილიდან ვერ დაიძრა.

გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც აცხადებენ, რომ ფარნავაზისა და ქუჯის ძეგლი ზუგდიდში უნდა დაიდგასო. ამის საწინააღმდეგოდ უკვე სამჯერ გამოვედი პრესაში და ვთქვი, რომ ქუჯისა და ფარნავაზის ძეგლი იქ უნდა დაიდგას, სადაც ისინი შეხვდნენ ერთურთს (სადაც მთელი ოჯახით ჩამოვიდა ფარნავაზი), მოილაპარაკეს შეექმნათ ერთიანი საქართველო. ეს ადგილი გახლავთ ყოფილი ეგრისის მთავარი ქალაქი, აწ წოდებული **„არქეოპოლისად"**, დღევანდელი ნოქალაქევი, სადაც მათი სული ტრიალებს, სადაც მათი აჩრდილებია განფენილი, სადაც ჩამოდიან უცხოელები და თავს ხრიან ამ უნიკალური ნაგებობისა და წარსული ნაშთის წინაშე, იმ წარსულისა, რომლის ნაწილი სწორედ ქუჯი და ფარნავაზია.

ვიმედოვნებ, მოვესწრები ოცნებად ქცეული მეორე ძეგლის შექმნასა და აღმართვას, რომელიც იქნება ერის ერთიანობის სიმბოლო და გამოხატულება.

**ბორის დავითაია,**
**აკ. წერეთლის სახელობის პრემიის ლაურეატი**

## პოეზიის კუთხე

*დაპირებებზე დაკვირვებები და წინასაარჩევნო მონიტორინგი*

### ნაგვობანა

ეშმაკეულის ნაგრამი,
ვერ შეელია ნაჩვევსა,
ხალხს თვალებს უხვევს, მაგრამ ის
კეთილს და ბოროტს არჩევსა
და არჩევნებში ნაგავის
ნაგვობას წარმოაჩენსა!

### პენსიონერის სატკივარი

ვახშში კერიის წართმევით
ბანკი რომ გვტაცებს ბინასა,
რა გვაქვს აფხაზთან სათქმელი,
ანდა რა ვუთხრათ ცხინვალსა?
ჩაწერეთ, გნებავთ ჩახაზეთ,
რითი მოვხიბლავთ აფხაზებს,
რას მოიწონებს ამ დროში
ოსი ძმა სამაჩაბლოში?
ნებით და არა ძალითა
რით გავაკვირვებთ მათ, რითა,
მასობრივ უმუშევრობით,
თუ 180 ლარითა?

### საჩხერეში ყურმოკრული

– "ოდესელს" რად სძულს დინჯი ყმა?
რად აგინებს და რა პირით?
– ეს იმიტომ, რომ მიჯირყვნა
ეგ სისხლისმსმელი ვამპირი!"

### საარჩევნო შავი კენჭი

თავს მოხვეული არჩივით
მოწმე ვარ ბევრი მძიმე დღის,
მაგრამ, ღმერთმანი, არ ვჩივი,
რადგან დღემდე მაქვს იმედი,
ვინც ჯოჯოხეთი გვანახა,
აწი კვანტს ვეღარ გამოგვდებს
და 8 ოქტომბერს ვაახლებთ
კენჭისყრის შავზე შავ ლოდებს!

### როდემდე?

უამრავ დახოცილებით,
წამების გამოცდილებით,
ზნეობრიობის დამცემი
კვლავ გათავხედდნენ "ნაცები",
მაგრამ ფანდები ვერ გავა,
იმისდა მიუხედავად,
ძალას ძენს დაუსჯელობა
მათ იდიოტურ მსჯელობას.
მიტომ ვკითხულობ ამასა,
რა ვუთხრა სანდროს მამასა,
რა ვუთხრა ბუტას დედ-მამას
და ოჯახს გურამ შარაძის?
როდემდე უნდა ითმინონ
ავაზაკები შარაგზის?

### ანკესობანა

ოჯახისათვის, შვილისთვის
ყველაფერი რომ გალია,
ქრონიკულ მოშიმშილისთვის
ქვეყანა გახდა გალია.
არადა მოაქვს ხაჩიშვილს
ამბავი საარაკონი:
"კრემლი კარგ სუფრას გაგვიშლის,
თუ მოგვწონს მისი "ზაკონი".
დასტურ, რომ ზუსტად ესეა,
400 ლარს მოგვცემს პენსიად!"

* * *

ვეღარც გაექცეს ეგება
მავანი პირის მოთხვრასა.
მაგრამ არ წამოეგება
იმ ხაჩიშვილის "ოთხასსა",
თეთრ დათვს რომ ფერხქვეშ ეგება
და თან ყასიდად ოხრავსა!

*ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა თამარ ჟვანიამ ამომრჩევლებს გამოგვიგზავნა ერთგვერდიანი მომართვა, რომელშიც სრული პუნქტუაციური ქაოსია.*

თავი რით მოაქვს, რა სიმძიმეთი,
თავმოწონებას რითი ინებებს,
ძახილის ნიშანს ვინც ცვლის
მძიმეთი
და უთავბოლოდ ფანტავს მძიმეებს?
არა, არა გვაქვს საქმე საცინლად,
ის რა ქალია, ის რა კაცია,
პუნქტუალობის ზღვარს ვინც ას-
ცილდა,
ისევე, როგორც პუნქტუაციას?

**ალექსანდრე შენგელია**

# დასავლეთი თუ ჩრდილოეთი?

ახლა, როცა სერთაშორისო ვითარება ძალიან დაძაბულია, როცა დღევანდელი შენი პარტნიორი, მეგობარი ქვეყანა ხვალ შენი მოწინააღმდეგე, დაპირისპირებული და მტერი ხდება, ასეთ დროს მთავარზე მთავარია ქვეყნის ხელისუფლებამ გაატაროს სწორი, წინდახედული, შორსმჭვრეტელური, ყოველმხრივ აწონილ-დაწონილი პოლიტიკა, რასაც, სამწუხაროდ, არ თუ ვერ ითვალისწინებენ დღევანდელი ხელისუფლების წარმომადგენლები და, ასე ვთქვათ, ბრმად, თვალდახუჭული, თავქუდმოგლეჯილი მიილტვიან დასავლეთისკენ, თითქოსდა იქ ოქრო-ვერცხლს, ფოჩიან კანფეტებს უფასოდ არიგებდნენ. პარლამენტის მოქმედი თავმჯდომარე უსუფაშვილი შემოდის ინიციატივით კონსტიტუციაში ჩაიწეროს, რომ საქართველოში მცხოვრები მოსახლეობის საბოლოო გადაწყვეტილებაა ნატოში, ევროკავშირში გაერთიანება, რომ სხვა ალტერნატივა არ არსებობს. რესპუბლიკური პარტიის ეს გადაწყვეტილება განპირობებულია იმით, რომ მათ სხვა გზა არ დარჩენიათ, მათი რეიტინგი ხომ ნულის ტოლია. ყველამ იცის, რომ ისინი პარლამენტში მოხვდნენ ამერიკელების მხარდაჭერითა და დახმარებით და ივანიშვილის მეშვეობით. ეხლაც მათ იმედი აქვთ ამერიკელების და ყოველ ღონეს ხმარობენ მათი გული მოიგონ, ემლიქვნელებიან და პირობას აძლევენ უსიტყვოდ, მონურად შეასრულონ ყველა მათი მოთხოვნა-რეკომენდაცია. მაგრამ მათ ვერაფერი უშველის, ხალხი ხვდება თუ ვინ არიან ისინი და ხმას ერთი-ორი პროცენტი თუ მისცემს.

სულ სხვა მდგომარეობაა ნაციონალებთან მიმართებაში. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მოსახლეობამ მშვენივრად იცის თუ რა უბედურება ჩაიდინეს ნაციონალებმა, როგორ აწამებდნენ, კლავდნენ, ცოცხებით აუპატიურებდნენ ადამიანებს, როგორ ჩამოშალეს, გაანადგურეს განათლების სისტემა, მეცნიერება, გარყვნეს, გაათახსირეს ქვეყანა, მიუხედავად ყოველივე ამისა, გარკვეული პროცენტი ადამიანებისა მაინც ბრმად ენდობიან ნაციონალების ლამაზად შეფუთულ ტყუილ დაპირებებს და, ალბათ მანამ, სანამ პირადად მათ ან მათი ოჯახის წევრებს არ შეეხებიან, არ გაამწარებენ, ბოლოს კი მიხვდებიან თუ ვინ არიან ნაციონალები, მაგრამ უკვე გვიან იქნება თითზე კბენანი.

თუ ზოგიერთებმა დღემდე არ იციან თუ რა დანაშაული მიუძღვით მათ საქართველოს წინაშე გულდასმით წაიკითხონ ბატონ როლანდ ჯალაღანიას სტატია **„რატომ არ უნდა მივცეთ ხმა ნაციონალებს“** და დარწმუნდებიან მათ მიერ ჩადენილ საზიზღრობებში.

ეხლა არენაზე, მიშას მაგივრად, გამოჩნდა მისი მეუღლე სანდრა რულოვსი, როგორც მას უწოდებენ – **"მიშა №2"** და ენერგიულად ეწევა პროპაგანდა-აგიტაციას ნაციონალების სასარგებლოდ.

ბევრი პარტია ითხოვს და ქართველმა საზოგადოებამ მხარი უნდა დაუჭიროს მოთხოვნას: აკრძალულ იქნეს ნაციონალური პარტია, როგორც დამნაშავე ორგანიზაცია.

სანამ ნაციონალებს უფლება ექნებათ ბრტყელ-ბრტყელი სიტყვებით ატყუონ საზოგადოება, სანამ ისინი იბოგინებენ ქვეყანაში, მანამ საქართველოში სიმშვიდე ვერ დამყარდება.

ქართველი საზოგადოება ხვდება, რომ ნაციონალების ამ უსირცხვილო პარპაშს, გარკვეულწილად, ხელი შეუწყო **„ქართულმა ოცნებამ“** ივანიშვილის მეთაურობით. სწორედ ამიტომ, **„ოცნებისადმი“** ნდობა და მხარდაჭერა მნიშვნელოვნად შემცირდა, შემცირდა იმიტომ რომ ბევრი მათი დაპირება არ იქნა შესრულებული და, რაც მთავარია, სამართლიანობა არ იქნა აღდგენილი.

ნაცები და ოცნებისტები ერთმანეთთან კარგ ურთიერთობაში არიან და ამ კოჰაბიტაციის მეშვეობით უნდათ გაიხანგრძლივონ ხელისუფლებაში ყოფნა, რაც, ვფიქრობ, არ გამოუვათ...

უთუოდ, გაკვირვებას იწვევს ის ფაქტი, რომ საქართველოს ხელისუფლება თავდავიწყებით მიისწრაფვის დასავლეთისკენ, ნატოში, ევროკავშირში გასაერთიანებლად, ამერიკასთან ჩასახუტებლად, მაშინ, როცა საქართველოს რაც დღეს სჭირს – ქვეყანა რომ ასე განადგურებულ-გაპარტახებულია და ხალხი დაბეჩავებული – შედეგია დასავლეთის, ძირითადად კი ამერიკის მიერ ჩვენს ქვეყანაში გატარებული პოლიტიკისა. ამერიკა ცდილობს და კიდეც ახერხებს, როგორც უნდა ისე ათამაშოს საქართველო და მისი ხელისუფლება, ჰპირდება ნატოში, ევროკავშირში მიღებას, ჩვენს დიდ ჩრდილოელ მეზობელ რუსეთთან არახელსაყრელი, მტრული დამოკიდებულების სანაცვლოდ. თუმცა, ისიც ცხადია, რომ საქართველოს არც ნატოში და არც ევროკავშირში არ მიიღებენ, ვიდრე მას ტერიტორიული პრობლემები გააჩნია,სანამ ეკონომიკა ასეთ ცუდ, სავალალო მდგომარეობაშია. ყველაფერი ეს დღესავით ნათელია და ხელისუფლებამ თავი უნდა დაანებოს დასავლეთისკენ ლტოლვას და მზერა ჩრდილოეთისკენ უნდა მიმართოს.

გამოცდილი პოლიტოლოგები ბატონები ალექსანდრე ჭაჭია, ჰამლეტ ჭიპაშვილი, აღმოსავლეთმცოდნე იზა თამაზაშვილი და ბევრი სხვა სამართლიანად აღნიშნავენ, რომ აუცილებელია ჩვენს დიდ ჩრდილოელ, ერთმორწმუნე რუსეთთან ურთიერთობის აღდგენა, დიალოგის წარმოება, მრავალწლიანი ურთიერთობის გახსენება-დაფასება.

საქართველოს ხელისუფლებამ, ქართველმა ხალხმა გონებას უნდა მოუხმოს და უარი არ უნდა თქვას ევრაზიულ კავშირში შესვლაზე, გათვალისწინებულ უნდა იქნეს, რომ ევრაზიულ კავშირთან ურთიერთობის დამყარებას ბევრი ქვეყანა ცდილობს.

რა გვინდა ნატოში, ევროკავშირში რომლებსაც მომავალი არა აქვთ. თვით ევროკავშირის მაღალჩინოსანი აღნიშნავს, რომ ევროკავშირი მალე ჩამოიშლებაო, ფაქტიც სახეზეა, დიდი ბრიტანეთის ხალხმა უარი თქვა ევროკავშირზე და ბევრი ევროკავშირის წევრი ქვეყანა ფიქრობს მიბაძოს ინგლისელი ხალხის მაგალითს.

საკვირველია ერთი რამ, ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებას ხელს ვინ უშლის, რომ რაც კარგია და სამაგალითო ამერიკის, ევროპის ქვეყნების ცხოვრების წესში გადმოიტანოს და დანერგოს ჩვენი ქვეყნის პრაქტიკულ ცხოვრებაში, ხოლო, რაც ცუდია, მიუღებელია ჩვენი წეს-ადათისა და ტრადიციებისთვის თამამად უარყოს, უკუაგდოს.

რუსეთი ცუდია, ოკუპანტია, საზღვრებს აქეთ სწევს და მავთულხლართებს ავლებსო! კი, მაგრამ, რატომ იმაზე არაფერს ამბობენ, არ აანალიზებენ, არ აინტერესებთ, რა არის ყოველივე იმის მიზეზი, რუსეთი ასე ცუდად, უხეშად რომ ექცევა საქართველოს? რა თქმა უნდა, ამის თავიდათავი, ამის მთავარი მიზეზი ისაა, რომ ხელისუფლება და ბევრი წინდაუხედავი პოლიტიკოსი, ამერიკის დაკვეთით, რუსეთის ლანძღვა-გინებით, დაკნინებითაა დაკავებული, რომ დაუფიქრებლად მიილტვიან დასავლეთისკენ. რუსეთის ხელისუფლება, რა თქმა უნდა, არ დაუშვებს, რომ ნატომ სამხედრო ბაზები რუსეთის საზღვრებთან ახლოს განალაგოს და სახელმწიფოს საფრთხე შეუქმნას.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჩვენი და, უამრავი საღად მოაზროვნე ადამიანების აზრით, უმჯობესია თავი დავანებოთ დასავლეთისკენ ლტოლვას და მზერა ჩრდილოეთისკენ მივმართოთ. ბოლოს და ბოლოს გავაცნობიეროთ, რომ მართლმადიდებელ რუსეთს ბევრჯერ გადაურჩენია ქართველი ხალხი ფიზიკური განადგურებისაგან და, მჯერა, მომავალშიც ასე იქნება, თუ აღვადგენთ მასთან ძველებურ ურთიერთობა-მეგობრობას.

კარზე მომდგარი საპარლამენტო არჩევნების წინ აუცილებელია ყოველმხრივ გავაანალიზოთ თუ ვის ვაძლევთ ხმას და ბევრი ფიქრისა და ბჭობის შემდეგ ხმა მივცეთ ისეთ ადამიანებს, რომლებიც, სავარაუდოდ, ჭეშმარიტად დაიცავენ საქართველოს და ქართველი ხალხის ინტერესებს.

**მურმან სანგულია,**
**ინჟინერ-ტექნოლოგი, აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული**

# ზაურ ნაჭყებია: ზუგდიდელებო, ჩასაფრებულ პროვოკატორებს ნუ ვათქმევინებთ, რომ მეგრელები ყველაფერს იკადრებენ!

**ღია ბარათი ზუგდიდელ ამომრჩევლებს!**

მოგესალმებით იმ იმედით, რომ უახლოეს მომავალში ზუგდიდზე **„გამოსათხოვარი ნეკროლოგის“** დაწერა არ დამჭირდება. არადა, როგორც ამბობენ, ამის რეალური საშიშროება არსებობს. ღმერთმა ნუ ქნას, მავანთა ავანტიურისტული ჩანაფიქრი აღსრულდეს, თორემ, სამეგრელო სამარცხვინო იარლიყს ვერ გადაურჩება!

ღირსიც ვიქნებით!

თბილისში უკვე **„სისინებენ“**, რომ **„მეგრელები ყველაფერს იკადრებენ“**. ეს სიტყვები არა მარტო პირად საუბრებში ისმის, არამედ, საჯარო სივრცეშიც გამოკრთა და სამწუხაროდ, პასუხი არავის გაუცია.

ვერც მე გავბედე პასუხის გაცემა, რადგან, დანამდვილებით არ ვიცი, ისეთი რა უბედურება სჭირს ჩემს კუთხეს და მართლა აიღებენ თუ არა ხელს ნამუსზე ვიღაცის და რაღაცის ჯინაზე!

საარჩევნო ფინიშს რაც მეტად ვუახლოვდებით, მით უფრო მიძლიერდება ეჭვი, რომ ზუგდიდში სანდრა რულოვსმა შეიძლება გაიმარჯვოს. იმასაც ამბობენ, რომ **„ქართულმა ოცნებამ“** სპეციალურად დაუყენა საპირწონედ მას სუსტი კანდიდატი!..

ბატონ ედიშერ თოლორაიას არაფერს ვერჩი, ზუგდიდელებზე მეტად არც მისი სუსტი და ძლიერი მხარეები ვიცი, მაგრამ, რადგან სანდრა რულოვსის გამარჯვების უტყუარ მიზეზად მის კანდიდატურას ასახელებენ, შემიძლია ვივარაუდო, რომ შორსგამიზნულ პროვოკაციასთან გვაქვს საქმე!

თუ ვისი მხრიდან, ამის დაკონკრეტება, ალბათ, საჭირო არ არის.

გვინდა, არ გვინდა, სანდრა რულოვსი მაინც შედის პარლამენტში, როგორც **„ნაცმოძრაობის“** რიგით მეორე ნომერი და ეს ჩემთვის ტრაგედია არ არის, მაგრამ, ტრაგედია გახდება მაშინ, თუ ამას ზუგდიდელები გააკეთებენ და ექს-პირველი ლედი, რომელზეც საზოგადოების მხრიდან სერიოზული ბრალდებები ისმის, სამეგრელოს ცენტრის – ზუგდიდის **„სახე“** გახდება.

ნუთუ არ გიფიქრიათ, რატომ მაინც და მაინც სამეგრელო აირჩია საჯილდაოდ ქალბატონმა სანდრამ?!

იმიტომ ხომ არა, რომ მეგრული ღომი და ელარჯი ძალიან უყვარს და მეგრულ მელოდიასაც **„გაუსინჯა“** გემო, თუ იმიტომ, რომ სამეგრელო ყველაზე **„ტოლერანტული“** აღმოჩნდა იმ დანაშაულებრივი რეჟიმის მიმართ, რომლის სათავეშიც სანდრას ქმრად წოდებული მიხეილ სააკაშვილი იდგა და თვით ექს-პირველი ლედის როლი დღემდე შეფასებულიც არ არის?!

თუ მისი მხრიდან კუთხის სიყვარულზე მიდგება საქმე, წესით და კანონით, საასპარეზოდ იმერეთი უნდა აერჩია, რადგან მისი ყმაწვილქალობა სწორედ იმერეთს უკავშირდება, მაგრამ ქუთაისს და ქუთათურებს ეს ვერ გაუბედა. ჩვენ კი **„დაბალ ღობედ“** დაგვიგულა და ახლა იმაზე მარჩიელობაში უნდა დაგვაწყდეს ნერვები, შავად ხომ არ გაგვითენდება 9 ოქტომბერი და გაგიჟდება თუ არა საბოლოოდ ჩემი სამეგრელო!!!

მე პირადად სანდრა რულოვსის დანაშაულებრივ წარსულზე ვერაფერს ვიტყვი, ამის დამტკიცება სამართალდამცავი სტრუქტურების პრეროგატივაა, მაგრამ დანაშაულებრივი რეჟიმის ექს-პირველი ლედობაც საკმარისია იმისთვის, რომ სამეგრელოში მისი მხარდაჭერა კუთხის ისტორიული ღირსების შელახვად შევაფასო.

მე არ ვყოფ ქვეყანას ჩემიანებად და სხვისიანებად, არც ჩემი კუთხის განსაკუთრებულობას ვიჩემებ, მაგრამ მეამაყება, რომ იმ კუთხის შვილი ვარ, რომლის ფუნდამენტზეცაა დაშენებული დანარჩენი საქართველო!

ხმას არ ამოვიღებდი, საქმე მარტო სანდრა რულოვსის არჩევა-არარჩევას რომ ეხებოდეს (როგორც ვთქვი, მას ისედაც გარანტირებული აქვს დეპუტატობა), აქ უფრო ღრმა ინტრიგაა ჩადებული, რასაც არ, ან ვერ ვაცნობიერებთ – ვიღაც ძალიან დაინტერესებულია სამეგრელოს (ზუგდიდი მთლიან სამეგრელოსთან ასოცირდება) მოსახლეობას ნახირის, ხოლო კუთხეს მოღალატის იარლიყი მიაკეროს!

ნუ დამიწყებთ ახლა კოჰაბიტაციით თუ დღევანდელი ხელისუფლების უსუსურობის შეხსენებით მანიპულირებას, – ეს ზოგადი პრობლემაა და ამაზე საზოგადოების ჯანსაღმა ნაწილმა უნდა იფიქროს!

ნუთუ არაფერს გეუბნებათ არჩევნების წინ გოგა ხანდრავას მრავალსერიანი ფილმის **„heroკრატია“**-ს საჯარო ჩვენებაც? თუ ფილმის შემკვეთ-ორგანიზატორების კომენტარებს ვერწმუნებით, ამით მათ საზოგადოებას შეახსენეს 9-წლიანი **„ნაციონალური“** რეჟიმის სისასტიკე და ხალხი კიდევ ერთხელ დააფიქრეს, თუ რა ჯოჯოხეთი ელოდებათ **„ნაციონალების“** ხელისუფლებაში დაბრუნების შემთხვევაში! (ფილმი რად გინდათ, სამეგრელოს ტყეებში აღმოჩენილი უკიდურესი სისასტიკის ამსახველი ფირები უკვე დაგავიწყდათ?!)

**„heroკრატია“**-ზე საკუთარი ნეგატიური პოზიცია საჯაროდ დავაფიქსირე, მაგრამ, ამ შემთხვევაში, ეს თქვენი განწყობის გამამართლებელ არგუმენტად არ გამოდგება – პირიქით, თქვენს წინააღმდეგ მუშაობს...

ნათქვამია, კაცმა ჭირი მალა, მაგრამ ჭირმა თავი არ დამალაო. მე არ დავმალავ, რომ სამეგრელოს და მეგრელებისადმი ცინიკური განწყობა სანდრა რულოვსისადმი ზუგდიდელების დამოკიდებულების გამო აქა-იქ უკვე იგრძნობა!

ეს განწყობა ჯერ კიდევ **„ლაითია“**, მაგრამ ღმერთმა ნუ ქნას, ზუგდიდი შეცდეს, ცინიზმი აშკარა შეურაცხყოფაში გადაიზრდება და არ გამოვრიცხავ, სერიოზული დაპირისპირების საფუძველიც გახდეს!

ძვირფასო ზუგდიდელებო, მოგიწოდებთ, სერიოზულად დაფიქრდით და ჩასაფრებულ მავანთ ნუ ვათქმევინებთ, რომ **„მეგრელები ყველაფერს იკადრებენ“!**

***P.S. ზუგდიდს ძალიან ბევრი გამორჩეული (სახელმწიფოებრივი რანგის) ადამიანი გაუზრდია. მადლობა ღმერთს, დღესაც არ აკლია ავტორიტეტები, მაგრამ, სამწუხაროდ, მათი ხმა ჯერჯერობით არ ისმის.***

***რატომ?***

***P.S.P.S დაახლოებით ერთი წლის წინ ჩემი ხელდასხმით ფრიად საინტერესო წიგნი გამოვიდა: „ზუგდიდი – ისტორია და თანამედროვეობა“. წიგნი ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით ღრმა პროფესიონალიზმით და რუდუნებითაა დაწერილი. ჩემდა საბედნიეროდ, იქ არ შემხვედრია ცოტნეს წინაპრებისა თუ მისი შთამომავლების დაცემის ისტორია. პირიქით, მოზომილად და ობიექტურადაა ასახული დიდი კოლხეთის (რომლის ცენტრადაც დღეს ზუგდიდი ითვლება) ღვაწლი საქართველოს მრავალტანჯული ისტორიის ფუნდამენტის შექმნასა და მის გაძლიერებაში.***

**უმორჩილესად გთხოვთ, სულს ნუ წაიწყმიდავთ!!!**

**ზაურ ნაჭყებია**

# უცხო სიტყვათა კოლხური წარმომავლობა

აქ ყველაფერი დღესავით ნათელია და მას ჩვენ თითქმის მთლიანად ვიზიარებთ, გარდა რამოდენიმე აზრისა, რომელთაგანაც ზოგი დავაფიქსირეთ კიდეც.

ზემოთ ჩვენ ბიბლიის ტექსტებზე ვსაუბრობდით. აქ გვინდა კიდევ ერთ გარემოებას გავუსვათ ხაზი. კოლხეთში (იბერიაში) არსებობდა (შეიძლება ახლაც არსებობდეს) წმინდა წიგნი **"ეფუთი"**. ჩვენ დარწმუნებულები ვართ, რომ ეფუთსა და ბიბლიას შორის უახლოესი **"გენეტიკური"** კავშირი არსებობდა. პირველი დროთა განმავლობაში მიიკარგა, ხოლო მეორემ თავისი წმინდა სახე დაკარგა, როგორც ქრისტიანები იტყვიან: **"სხვის უბედურებაზე შენი ბედნიერება არ უნდა ააგო"**-ო, მითუმეტეს თუ ის სხვა მორალურად შენზე გაცილებით მაღლა დგას.

ასეთი ლირიული გადახვევის შემდეგ მივუბრუნდეთ ისევ ნოსირს. მისი ალომორფი არის **"ნოსკირი"** საიდანაც ასობგერა **"კ"**-ს ამოვარდნით მივიღეთ **"ნოსირი"**. ნოსკირი-მეგრულად ნიშნავს **"დამშრალს"**. მთელი კოლხეთის დაბლობი დამშრალი ადგილია მთის მდინარეების მიერ ჩამოტანილი შლამის შედეგად. მართლაც, ნოსირის შემდგომ იწყება მთაგორიანი ადგილები, რომელიც ბოლოს მთავრდება კავკასიონით. როგორც ცნობილია თვით კავკასიონის ადგილას ზღვა იყო და შემდეგ გაჩნდა მთები. ასე, რომ თვით კავკასიონიც ნოსირია (ბიბლიური ნიცირი – ესეც კიდევ ერთი ალომორფი ნოსირისა), რასაც მიადგა ნოეს კიდობანი.

ამის შესახებ წერს ვალერიან შენგელია თავის წიგნში **"რინა ჭყაფილ მარგალიში, ანუ პირველი შემოქმედნი"**, რუსულიდან თარგმნა მანანა მატახერიამ. ამ წიგნის 32-ე გვერდზე ვკითხულობთ: **"მთავარია ხაზი გავუსვათ იმას, რომ გემი მიცურდა ნიცირის მთასთან განსხვავებით ბიბლიური არარატისგან. ნიცირი ძალიან გვაგონებს დასახლებული პუნქტის ნოსირის სახელს და ნოსირის მთებს დასავლეთ საქართველოში"**.

თავიდან, როცა ეს ადგილი წავიკითხე ცოტათი მეუცნაურა ტერმინი **"ნოსირის მთები"**, მაგრამ შემდგომ, დავაკავშირე რა ის **"ნოსკირთან"**, სრულიად რეალურად მომეჩვენა **"ნოსკირის მთები"**, რომელიც გადავიდა ბიბლიურ **"ნიცირში"**.

მთელი კოლხეთის დაბლობი კავკასიის მთებიდან დაშვებული მდინარეთა ნოსკირიონია, რომელთაგანაც მთვარს ეწოდა რიონი. ნოსკირი-ონ-ში ონ-ი ტოპოსუფიქსი გამოხატავს კრებულს; ფუნქციით ქართული ნარი-ის შესატყვისია. აღნიშნავს ადგილს, სადაც ბევრი ქვა-ქვიშაა: ქუალ-ონ-ი ქვიანი ადგილი; ქვიშ-ონ-ი ქვიშიანი და ა.შ. (ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. II, გვ.436). ასე, რომ **ნოსკირიონი** ნიშნავს ადგილს, სადაც ბევრი დამშრალი მიწაა. ამას კი წარმოადგენს კოლხეთის დაბლობი.

საბოლოოდ ტოპონიმი **"ნოსირი"** შეიძლება გავიგოთ, როგორც მთელი დაბლობის აღმნიშვნელად და კიდევ მეტი, კავკასიის მთების აღმნიშვნელად.

აქვე ვიტყვით, რომ, რაც შეეხება ტოპონიმ **"კავკასიას"** მისი ძველი სახელწოდება იყო **"კოლხეთი"**. წიგნში "Легенды Крыма" (Издательство "Крым"; Симферополь, 1968г) 262 გვერდზე ვკითხულობთ:"Колхида-древнее название Кавказа". ხოლო თვით **"კოლხეთის"** ერთ-ერთი ეტიმოლოგიაა: **"გოლა-ხე-თექ"** – მთა არის იქ.

ყველაფერი ეს, რაც შეეხებოდ **"ნოსკირს"**, როგორც დამშრალის ეტიმოლოგიას. მაგრამ სიტყვა **"ნოსკირს"** გააჩნია მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი ახსნა. ნოსკირი (ნო-სკირი) ნიშნავს ადგილს სადაც იყო სკირი, ადგილს სადაც დაიბადა და ცხოვრობდა სკირი (შდრ. ნოქალაქი-ნიშნავს ნაქალაქარს). სკი, სკირი (სქირი) მეგრულად ნიშნავს ძეს, შვილს, ნაგრამს, შობილს. მაგრამ საინტერესოა ვინ ძე, ვინ შვილი, ვინ შობილია აქ ნაგულისხმევი. ჩვენი აზრით ეს არის ძე ღვთისა ანუ ძე კაცისა და თანმიმდევრობით შევეცდებით ამაში მკითხველიც დავარწმუნოთ.

თუ ეს მართლაც ასეა, მაშინ გასაგებია, თუ რატომ ჩამოვიდა კოლხეთში ექვსი მოციქული უფლისა ჩვენისა. რატომ განისვენებს ჩვენს ქვეყანაში კვართი უფლისა და კვართი ღვთისმშობლისა. შემთხვევითი არაა ისიც, რომ ელიას ხალენის, უფლის კვართის, ღვთისმშობლის კვართის და მრავალ სხვა უმნიშვნელოვანეს სიწმინდეებთან ერთად საქართველოშია დავანებული ქრისტეს აკვანი: **"ქრისტიანული ლეგენდის მიხედვით, სწორედ აქაა** (საქართველოში-ნ.კ.) **დამალული აბრაამის კარავი და ქრისტეს აკვანი"** (იხ. ჭანტურია 2010, 34).

ჭანტურია აკ. 2010 **"საქართველო, მისი გეოლოგიური ისტორია"**, გამომცემლობა **"არტანუჯი"**, თბილისი, 2010.

მაშინ გასაგებია, თუ რატომ მოიხსენიებდნენ ღვთისმშობელს **"სძალო"**-თი: ... სინას მთის ერთ მინჩხურ საგალობელში საცნაურად ჟღერს: **"მიზეზსა მას მიზეზთასა მიზეზ ექმენ შენ ხსნისათვის ჩუენისა სძალო, ღირსად სანატრელო მარიამ... ყრმაი რა იშვა შენგან და ძე მოგუეცა დაუსაბამო"**.

ბრალთაგან დანთქმული დიუფალთ-დიუფალი ხუაშაკი და ბედან დადიანი ხობის ხატზე გამოსახულ **"ხორცშესხმულს"** კაცის ქმნილ ღვთისმშობელს უწოდებენ **"სძალს"** და დედოფლად მოიხსენიებენ; ლევან II დადიანიც კი მარტვილის ღვთისმშობლის ხატს **"სძალო"-თი მიმართავს..."** (ამირან ცამციშვილი-ფიცხელაური, **"უახლოესი ცნობები შ. რუსთაველზე"**,ჟურნალი **"აია"**, 1997წ, 2, გვ.91).

მაშინ გასაგებია,თუ რატომ მიიღეს ქრისტიანობა მეგრელებმა პირველსავე საუკუნეში. **"მეგრელებმა პირველ საუკუნეშივე მიიღეს ქრისტიანობა"**. მ. ჯანაშვილი 1906, საქართველოს ისტორია, ტომი 1, ტფილისი, 1906.

მაშინ გასაგებია, თუ რატომაა, რომ თითქმის არაფერი არ სჩანს ბიბლიაში იესოს ბავშვობის შესახებ.

მაშინ გასაგებია, თუ რატომ ჰყავდა კოლხეთს (იბერიას) ამდენი წმინდანი და მოწამე, დაწყებული პირველივე საუკუნიდან.

აქ მოვიყვანთ ამონარიდებს ბროშურიდან **"საქართველოს ეკლესიის ლაზი პირველმოწამენი", პონტოელი მოწამენი: მაქსიმე, თეოდოტე, ისიქიოსი და ასკლიპიოდოტე;** ბერძნულიდან თარგმნა თორნიკე კიკალიშვილმა, გამომცემლობა **"ოქროს გზა"** 2006.

წინასიტყვაობაში სწერია, რომ **"ნაშრომი – "პონტოელი წმინდანები"** წარმოადგენს მცდელობას, აღადგინოს და მკითხველს გააცნოს ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით **"სვინაქსარი"**, ანუ **"წმინდანთა ცხოვრება"** – პირველიდან მეოცე საუკუნემდე. როგორც აღნიშნული ნაშრომიდან ჩანს, ბერძნებად მიჩნეული პონტოელი წმინდანები – მაქსიმე, თეოდოტე, ისიქიოსი და ასკლეპიოდოტე ქართველები არიან. გთავაზობთ მნიშვნელოვან ეპიზოდებს მათ მიერ განვლილ წამებული ცხოვრებიდან. მე-3 გვერდზე კი ვკითხულობთ: **"სამეგრელო არის პონტოს ქვეყანა, რომელიც პონტოსა და კავკასიონს შორის მდებარეობს და კოლხეთი, ანუ ლაზიკა ჰქვია...**

**ქრისტეშობიდან 34-ე წელს ანდრია პირველწოდებული თავის მოწაფეებთან ერთად სამეგრელოში ჩავიდა, რათა კერპთაყვანისმცემელი ლაზებისთვის ქრისტიანობა ექადაგა და შეცდომილნი ქრისტეს ნათელს ეზიარებინა.**

**იგი დიდი სიხარულით ქადაგებდა და ნათლავდა პონტოელ ლაზებს. სამეგრელოში ანდრია პირველწოდებულმა ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი დააფუძნა. ეპისკოპოსი და მღვდლები ხელდასხმით აკურთხა და პონტოს სხვა მხარეს გაემგზავრა. ეკლესია კი ნელ-ნელა გაძლიერდა და როგორც იტყვიან, მარვალნაყოფიერ ხესავით მიაწვდინა თავისი რტოები სამეგრელოს მაცხოვრებელთა კეთილი სულებისაკენ.**

**ქრისტეშობიდან 41-ე წლის, ანუ შვიდი წლის შემდეგ ანდრია მოციქული ისევ ბრუნდება სამეგრელოში, რათა სულიერად ააღორძინოს და სიხარული და მშვიდობა მოუტანოს პირველი ქრისტიანული ეკლესიის მორწმუნეებს."**

ამის შემდეგ ბროშურაში აღწერილია მეგრული პირველმოწამე და-ძმების წამება და მოკვდინება, და ბოლოში ნათქვამია: **"სამეგრელოს მკვიდრი მოწამენი-მაქსიმე, ისიქიოსი, თეოდოტე და ასკლიპიოდოტე ქრისტეს სახელით იყვნენ შეწირულნი, რომელთა სისხლმა კურთხეული პონტოს ქვეყანა განწმინდა, მათი წმინდა ნაწილები სასწაულებს აღასრულებენ და მათი წმინდა სულები იქნა წინდი ჩვენი უკვდავებისა."**

ამ წმინდანთა გაკვლეული გზას აგრძელებდნენ და კოლხ-იბერები იყვნენ ბაკურ იბერიელი, პეტრე იბერი, იოანე ლაზი, წმინდა ნინო და წმინდა გიორგი და ასევე იბერიელები იყვნენ ასურელი მამებიც. აი, რას ამბობდა ნ. მარრი პეტრე იბერის შესახებ. მოგვყავს ნაწყვეტი ი.ჯავახიშვილის წიგნიდან **"ქართველი ერის ისტორია"** (წიგნი პირველი, თბილისი, 1951, გვ. 191): ნ. მარრი ამტკიცებდა, რომ **"იბერიად უნდა აღმოსავლეთ საქართველო კი არ ვიგულისხმოთ, როგორც ჩვეულებრივ მიღებული იყო, არამედ დასავლეთ საქართველო, სახელდობრ სამეგრელო და მეგრელები. გამოდის, რომ წმინდა ნინოს აღმოსავლეთ საქართველო კი არა, არამედ მეგრელები და დასავლეთ საქართველო მოუქცევია. განთქმული საეკლესიო მოღვაწე იბერიის უფლისწული პეტრე ქართველიც, იბერად წოდებულიც, ალბათ, სამეგრელოდან უნდა ყოფილიყო და იერუსალიმში არსებული იბერთა და ლაზთა მონასტრებიც, ალბათ, ამავე მეგრელებისა და ლაზების სავანეები უნდა ყოფილიყოო. ამ მეგრელთა ტომის სახელი ბერძნებმა და სომხებმა აღმოსავლეთ საქართველოს ქართველებსაც უწოდესო"**.

საინტერესოა, რომ, როგორც ზემოთმოყვანილი ბროშურიდან ირკვევა, ანდრია ჩამოსულია კოლხეთში პირდაპირ ჯვარცმის შემდეგ. საინტერესოა ისიც, რომ სამეგრელოს ეწოდება პონტოს ქვეყანა. აქ გვახსენდება პილატე პონტოელი, რომლის სახელი პილა-ტე (სუფიქსი **"ტე"** ბერძნულია, როგორც სახელებში ჰეროდოტე, ქსენოფონტე და ა.შ.) პილა დღესაც გავრცელებული სახელია სამეგრელოში, ხოლო თუ მაკრიონ პონტოელი (II ს), ევაგრე პონტოელი (პალესტინელი) (IVს) და მრავალი სხვა გამოჩენილი მოღვაწეები სამეგრელოდან იყვნენ (იხ. მიხეილ თამარაშვილი, ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, გამომცემლობა კანდელი, თბილისი, 1995, გვ. 190-191), საფიქრებელია, რომ ისიც (პილატე) აქედან უნდა ყოფილიყო.

მოვიყვანოთ ამონარიდები ჩვენი სტატიიდან **"უცხო სიტყვათა კოლხური წარმომავლობა"** (ჟურნალი **"ცოტნეიდელი"**, ტომი V, თბილისი-ფაზისი, 2011-2012წ., გვ.150-160):

**"...რაც შეეხება მეორე ბიბლიურ პერსონაჟს – იუდას. ინგლისურად ის იწერება და იკითხება Judah (ჯუდა). მეგრულად ჯუდა ნიშნავს კოცნას, ამბორს. ასე, რომ როცა ამბობენ "იუდას ამბორი", ეს არის ტავტოლოგია ანუ "ამბორის ამბორი"; როგორც ცნობილია იუდამ თავისი ამბორით გაჰყიდა ქრისტე ოცდაათ ვერცხლად, ამიტომ, სახელი იუდა ყველასათვის ასოცირდება გამყიდველურ ამბორთან (ჯუდასთან). ცნობილია ასევე, რომ იუდა იყო ერთადერთი იუდეველი თორმეტ მოციქულთა შორის, ხოლო დანარჩენები იყვნენ გალილეველები. ამიტომ მას არ შერქმევია ეს სახელი იუდა (ჯუდა), ისევე, როგორც პილატეს, როგორც კოლხური სამყაროს წარმომადგენელს. საქმე იმაშია, რომ ეტყობა, იმ დროისათვის პალესტინაში ისე მძლავრობდა, რა გასაკვირიც არ უნდა იყოს, კოლხური ატმოსფერო, რომ მის მიერ მაცხოვრის ამბორით გაცემას კოლხმა ქურუმებმა უწოდეს თავისი სახელი (ჯუდა), რაც შემდეგ საფუძვლად დაედო მის საკუთარ სახელს"**.

ხოლო, რაც შეეხება ანთროპონიმ იოანეს, აი, რას ვკითხულობთ მის შესახებ: **"იოანე ნათლისმცემელი, წინასწარმეტყველი, რომელიც იმისთვის იყო მოვლინებული, რომ ხალხი იესო ქრისტეს მოსვლისთვის შეემზადებინა. თუმცა იესოს არავითარი ცოდვა არ ჩაუდენია, მან სთხოვა იოანეს მდინარე იორდანეში მონათვლა, რითაც ღვთის ნებისადმი თავისი მორჩილება გამოავლინა.**

**მოგვიანებით იოანეს მხილებით აღშფოთებულმა ჰეროდე მეფემ** (სხვათაშორის საყოველთაოდ ცნობილია, რომ არც ჰეროდე მეფე იყო წარმოშობით ებრაელი-ნ.კ.) **მისი შეპყრობა ბრძანა. საპატიმროდან იოანემ იესოსთან მიაგზავნა რამოდენიმე თავისი მოწაფე, რათა მისთვის ეკითხათ: "შენ ხარ მომავალი, თუ სხვა ვინმეს ველოდეთ?" იესომ უპასუხა: "უთხარით იოანეს რაც ნახეთ და მოისმინეთ: ბრმებს მხედველობა უბრუნდებათ, ხეიბრები დადიან, კეთროვნები იწმინდებიან, ყრუებს ესმით, მკვდრები დგებიან და ღატაკებს ეხარებათ". შემდეგ იესო მოუბრუნდა გარსმოხვეულ ხალხს და უთხრა, რომ იოანე ნათლისმცემელი წინასწარმეტყველზე დიდია... ვინაიდან... დედაკაცის ნაშობთა შორის არავინ არის იოანეზე დიდი. ამის შემდეგ სულ მალე ჰეროდეს ცოლმა მზაკვრობით მიაღწია იოანეს სიკვდილით დასჯას"**. (ბიბლიური ენციკლოპედია, ერთტომეული, 1998, გვ.203).

იოანე ნათლისმცემელმა იესო ქრისტეს მოვლინებაში მამლის ყივილის (ყიონი) როლი შეასრულა. თუ რატომ მამლის ყივილის როლი, ამაში ახლავე, დავრწმუნდებით.

როდესაც მამალი იყივლებს (ყიონი), აუცილებლად გათენდება (თანაფა-გათენება), მაგრამ **"თანაფა"** მეგრულად აღდგომასაც ნიშნავს. მამალმა იყივლა (ყიონი), ანუ იოანე (ყიონი-იონა) ნათლისმცემელმა იწინასწარმეტყველა იესოს მოვლინება; იესო ქრისტე მოევლინა ქვეყანას, რასაც მოჰყვა მისი მოწამებრივი სიცოცხლე და ჯვარცმა, ბოლოს კი მოხდა მისი აღდგომა (თანაფა, გათენება).

ყიონი (ყივილი) განხორციელდა პიროვნების სახით იონაში (იოანეში).

ამ შუალედში, გათენებამდე დროში შემოდის იესოში ქრისტე და ყალიბდება ის, როგორც ღმერთი. მამაღმერთის ნებით ის ჯვარს ეცმევა, მისი წვეთი სისხლისა ეცემა დედამიწაზე, რომელზეც ის აღტაცებით ამბობს: **"აჰა, აღსრულდა"**. ე.ი. მიწიერი, ანუ ადამიანი დაუკავშირდა ციურს, ანუ ღმერთს და ქრისტეს აღდგომასთან ერთად შეწყდა სულის გაფანტვა, ანუ ქვესკნელში დამარხვა, ე.ი. მოხდა კაცობრიობისათვის სულიერი გათენება ანუ თანაფა.

როგორც ცნობილია, კოლხური ტომები განფენილნი იყვნენ, როგორც შავი, ასევე ხმელთაშუა ზღვის აუზებში. მათ შორის პალესტინაში და არაფერი გასაკვირი იმაში არ უნდა იყოს, რომ ეს უპირველესი ქრისტიანული მისტერია და **"ამ მისტერიის ერთ-ერთი მთავარი მონაწილის იოანეს სახელი პირდაპირ კავშირში იყოს კოლხეთთან"**.

ამიტომ, ზემოთ მოხსენიებული ბიბლიური პერსონაჟების სახელების ინტერპრეტაციებიდან გამომდინარე, არ იქნება სიმართლეს მოკლებული თუ ვიტყვით, რომ ის, რაც მოხდა პალესტინაში ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისში, იყო ერთ-ერთი უდიდესი კოლხური მისტერია.

ყველაფერი ამის შემდეგ მივუბრუნდეთ ისევ ტოპონიმ **ნოსირს**, რომელიც ასე ახლოსაა, თუ იდენტური არა, ტოპონიმ ნაზარეთთან. ნაზარი მეგრულად ნიშნავს აოხრებულ, განადგურებულ, მიწასთან გასწორებულ ადგილს (აქედანაა ქართული სიტყვა ზარალი). ეს კიდევ ერთი ეტიმოლოგიაა ნოსირისა. მახსენდება ზვიად გამსახურდიას ერთხელ ნათქვამი, რომ ზოგჯერ ერთ სიტყვას შეიძლება თორმეტი სხვადასხვა ხარისხის განმარტება ჰქონდესო. ჩვენი აზრით ნოსირი ერთ-ერთი მათგანია. სხვათა შორის, შეიძლება ამ სიტყვებს: ნოსილი (მოსილული), ნოსირი, ნოზირი (დაგროვილი), ნოსკირი, ნოცირი, ნოცილი, ნოცრი, ნაზარი, ნოისირი (ნაისლევი, ისირი-ისლი) ჩვენ ტოპოომონიმებიც ვუწოდოთ.

ნაზარეთი შეიძლება წავიკითხოთ, როგორც ნაზარი-თექ, ანუ რაც ნიშნავს ნაზარალებ, აოხრებულ, განადგურებულ ადგილს; ხოლო ნაზარი, რაც იდენტურია ნოსირისა (სირუა-სრვა, წყვეტა) მიგვანიშნებს იმის შესახებ, რომ ეს ადგილი ყოველთვის, ქრისტემდე და ქრისტეს შემდეგაც იყო დიდი ბრძოლების ეპიცენტრი. სხვათა შორის, რაოდენ საოცარიც არ უნდა იყოს, მეოცე საუკუნის 90-იან წლების დასაწყისშიც, სწორედ ამ ადგილას (ნოსირში, ანუ ნაზარში), მოხდა ყველაზე ფართომაშტაბიანი საომარი მოქმედებები ეროვნული ხელისუფლების მომხრეებსა და მოწინააღმდეგებს შორის.

მაგრამ თუ არის ნაზარეთი (ნაზარი), მაშინ უნდა იყოს ბეთლემიც, სადაც ქრისტიანული გადმოცემით დაიბადა იესო ქრისტე. და მართლაც, ნოსირიდან რამოდენიმე კილომეტრში არის სოფელი ბეთლემი, რომელსაც მეგრულად ბერთემი ეწოდება. ბერე, ისევე როგორც სკი (სქირი) ნიშნავს ვაჟიშვილს, ძეს, პირმშოს, ხოლო ბერთემი ნიშნავს ძის თემს (ო.ხუხუა). თვითონ სიტყვა თემი მომდინარეობს სიტყვიდან **"თი"**, რაც ნიშნავს – ოჯახი, სახლი, გვარის განაყარი, ხოლო თემი ნიშნავს ერთი გვარის მოსახლეობას, რომელსაც ჰყავდა თავისი უფროსი, თავი (მეგრულად **"თი"**- ნიშნავს თავსაც) ჰქონდა თავისი წეს-ჩვეულებები.

საფიქრებელია, რომ სწორედ აქ იშვა იესო ქრისტე, ხოლო შემდგომ ოჯახი საცხოვრებლად გადავიდა ნოსირში (ნოსკირში), რომელიც ჩვენის აზრით იმ დროისათვის ქალაქური ტიპის დასახლებას წარმოადგენდა. მითუმეტეს, რომ ნოსირის ცენტრს დღესაც ჰქვია **"კარიეთი"**, რომლის ეტიმოლოგია ჩვენი აზრით დაკავშირებულია **"ქართ"**-თან რაც მეგრულად ქალაქს ნიშნავს.

**ნუგზარ კვაშილავა,**

*(გაგრძელება იქნება)*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 14 აგვისტო და ზვიად გამსახურდია...



სამეგრელოს რეგიონის მრავალგზის დალაშქვრა-აწიოკების შემდეგ, 1992 წლის 14 აგვისტოს, მამათელი **„დიდი პოლიტიკოსის“**, ე. შევარდნაძის პუტჩისტურმა ხელისუფლებამ ენგურს გაღმა წესრიგის დამყარების საბაბით, სინამდვილეში კი სამხედრო-კრიმინალური გადატრიალების შედეგად, სამშობლოდან დევნილი კანონიერი პრეზიდენტის, ბატონ ზვიად გამსახურდიას მომხრეთა მძლავრი მშვიდობიანი წინააღმდეგობის მოსპობის მიზნით აფხაზეთის რეგიონშიც შეიყვანა შეიარაღებული ბანდ-ფომირებები და საბედისწერო ომიც დაიწყო... თუ როგორი ტრაგედიითაც დასრულდა ეს ყოველივე – საღად მოაზროვნე ადამიანებისათვის ისედაც ცნობილია, ასე რომ, მე ახლა ამის ანალიზს აქ აღარ შევუდგები...

თითქოს წინასწარ ჭვრეტდა დიდი ზვიად გამსახურდია მოსალოდნელ ყველა უბედურებას... წაიკითხეთ ეს ფრაგმენტებიც მისი განცხადებებიდან თუ მიმართვებიდან... რაოდენ სავალალოა და ტრაგიკული, რომ ამ სწორუპოვარი ერისკაცის მოწოდებანი აღმოჩნდა ოდენ **„ხმა მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“...**

მაშ ასე: 1992 წლის 14 მაისის მიმართვაში აფხაზეთის მოსახლეობისადმი იგი აღნიშნავდა:

**„მოგმართავთ, როგორც ქართველებს, ასევე აფხაზებს, ვინაიდან საფრთხეშია ჩვენი საუკუნოვანი ძმობა. იმპერიულმა ნეოკომუნისტურმა კრიმინალურმა ხუნტამ ყველაფერი იღონა იმისათვის, რომ აფხაზეთში კვლავ გაღვივდეს ეთნოკონფლიქტი, მან მოსკოვის დავალებით „გააუქმა” საქართველოს მოქმედი კონსტიტუცია, რომელშიც ჩაწერილია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა, როგორც საქართველოს შემადგენელი ნაწილი, რამაც საბაბი მისცა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს გაეძლიერებინა სეპარატისტული კურსი და ქართული ეროვნების კადრების დისკრიმინაცია, ვინაიდან, მისი აზრით, საქართველოს ახალი კონსტიტუცია აღარ არსებობს, ძველში კი საერთოდ არ არის ნახსენები აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა.**

**პროვოკატორებს სურთ იარაღის ძალით გადაჭრა ამ პრობლემებისა, რაც ყოვლად დაუშვებელია. მოგიწოდებთ მშვიდობისაკენ, გაერთიანებისაკენ, ყველა სადავო პრობლემის მოლაპარაკების გზით გადაწყვეტისაკენ. მე მოვუწოდებ აფხაზ მოსახლეობას იმოქმედოს პარლამენტზე, რათა მან შეწყვიტოს ანტიქართული პოლიტიკა, წინააღმდეგ შემთხვევაში აფხაზეთში გარდაუვალი იქნება სისხლისღვრა”.**

მიუხედავად ამისა, როგორც ხუნტა, ისე აფხაზი სეპარატისტები აგრძელებდნენ პროვოკაციულ ქმედებებს. ამასთან დაკავშირებით ბატონი ზვიად გამსახურდია 1992 წლის 24 ივლისს აკეთებს ასეთ განცხადებას:

**„ა.წ. 23 ივლისს აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს სესიამ მიიღო რიგი ანტიკონსტიტუციური აქტები, გამოცხადდა აფხაზეთის ასსრ 1978 წლის კონსტიტუციის მოქმედების შეწყვეტა, აღდგენილ იქნა აფხაზეთის სსრ 1925 წლის კონსტიტუცია, რაც საქართველოს შემადგენლობიდან აფხაზეთის გასვლას ნიშნავს.**

**სესია უფლებამოსილი არ იყო ასეთი აქტების მიღებისა, რადგან დარბაზში არ იყო კვორუმი, ანუ კვალიფიცირებული უმრავლესობა-დეპუტატების ორი მესამედი, რომელიც აუცილებელია კონსტიტუციური შესწორებებისათვის, ან კონსტიტუციის მოქმედების შეჩერებისას.**

**ამგვარი მოქმედება გამართლებულ იქნა იმით, რომ თითქოს საქართველოს კონსტიტუცია შეჩერებულია, ხოლო ძველ კონსტიტუციაში აფხაზეთი, როგორც სახელმწიფო, საერთოდ არ მოიხსენიება. აუცილებელია გვახსოვდეს, რომ საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია მოქმედებს და საქართველოს არაკანონიერი ხელისუფლების გადაწყვეტილება მისი შეჩერების შესახებ უფლებამოსილი არ არის.**

**აღდგენა 1925 წლის კონსტიტუციისა, სადაც ლაპარაკია პროლეტარიატის დიქტატურაზე, კომუნიზმის იდეალებზე, ნიშნავს საბჭოთა კომუნისტური წყობის აღდგენას აფხაზეთში, რაც, მარტივად რომ ვთქვათ, წარმოადგენს ანაქრონიზმს და ეწინააღმდეგება მსოფლიო ისტორიის განვითარებას, რასაც შეიძლება მოჰყვეს უაღრესად უარყოფითი შედეგები, დაპირისპირება და კონფლიქტი ქართველ და აფხაზ ხალხებს შორის.**

**აღნიშნულიდან გამომდინარე, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული ყველა ზემოთნახსენები აქტი მოკლებულია კონსტიტუციურ საფუძველს და არა აქვს იურიდიული ძალა.**

**საკითხი აფხაზეთის სტატუსის შესახებ უნდა გადაწყდეს საერთაშორისო სამართლის საფუძველზე, საქართველოს კანონიერ ხელისუფლებასთან შეთანხმებით.”**

მიუხედავად პრეზიდენტის ამ მცდელობისა, ვერ მოხერხდა აფხაზეთში ომის თავიდან აცილება. ზვიად გამსახურდია იმავე დღეს, 14 აგვისტოს ასე გამოეხმაურა სისხლიანი კონფლიქტის დაწყებას:

**„მე მოვუწოდებ ქართველ ხალხს, კავკასიის ხალხებს, მთელ მსოფლიო საზოგადოებრიობას, ყველა კეთილი ნების ადამიანს დაიცვან გენოციდისაგან მცირერიცხოვანი, მრავალტანჯული აფხაზი ხალხი, აფხაზეთის ქართული მოსახლეობა, საკადრისი პასუხი გასცენ შევარდნაძის დამსჯელ ბანდებს და ამხილონ მისი მტაცებლური პოლიტიკა გენოციდისა და ძარცვა-გლეჯისა.”**

21 აგვისტოს ზვიად გამსახურდიამ მიმართა აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს, ვლადისლავ არძინბასაც:

**„აფხაზეთში მშვიდობისა და სტაბილურობის აღდგენისათვის, აფხაზი ხალხის გენოციდისაგან გადასარჩენად გთავაზობთ სასწრაფოდ მოიწვიოთ პარლამენტის სესია და გააუქმოთ გადაწყვეტილება კონსტიტუციის აღდგენის შესახებ, აღადგინოთ ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი და 1978 წლის კონსტიტუცია.”**

ბატონ ზვიადს არც მოსკოვში 3 სექტემბერს გამართული სამმხრივი შეხვედრა დარჩენია ყურადღების გარეშე:

**„3 სექტემბერს მოსკოვში გაიმართა შეხვედრა ბ. ელცინს, ე. შევარდნაძესა და ვ. არძინბას შორის, რომელმაც, როგორც მოსალოდნელი იყო, არავითარი შედეგი არ მოუტანა არც საქართველოს და არც აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკას.”**

თავის განცხადებას დევნილი პრეზიდენტი ასე ამთავრებს:

**„მე დარწმუნებული ვარ, რომ სანამ არსებობს შევარდნაძის სისხლიანი, ფაშისტური რეჟიმი, აფხაზეთში კონფლიქტი უფრო გამწვავდება და მიიღებს უმძაფრეს ფორმებს”.**

განსაკუთრებით მწვავე იყო ზვიად გამსახურდიას რეაქცია ე.წ. სამმხრივი ხელშეკრულების მიმართ, რომლის საფუძველზე სოხუმიდან გაყვანილ იქნა ქართული ჯარი და ფაქტობრივად დაუცველი დატოვეს ქართული მოსახლეობა. 1993 წლის 20 ივლისის მიმართვაში ქართველი ერისადმი, აფხაზეთში დისლოცირებული ყველა ქართველი მეომრისადმი, პრეზიდენტი აღნიშნავს:

**„უკანასკნელ ხანებში სულ უფრო და უფრო ცხადი ხდება, რომ ე. შევარდნაძის დიპლომატიური თამაში აფხაზეთის პრობლემის გარშემო მიზნად ისახავს კაპიტულაციას აფხაზი სეპარატისტებისა და რუსეთის იმპერიალისტური ძალების წინაშე.**

**მზადდება ე.წ. „ცხინვალის ვარიანტი”, სამშვიდობო ძალების შემოყვანა კონფლიქტის ზონაში და სოხუმის ჩაბარება, რასაც დაჟინებით მოითხოვს შევარდნაძისაგან რუსული და აფხაზური მხარე.**

**ე. შევარდნაძე ბუნდოვნად საუბრობს აფხაზეთის რაღაც „დემილიტარიზაციაზე”, კონფლიქტის ზონიდან ყველა ჯარების გაყვანაზე, რაც არარეალურია და შესაძლოა გამოყენებულ იქნეს მტრის მიერ გადამწყვეტი სტრატეგიული უპირატესობის მოპოვებისათვის. ჯერ კიდევ ელცინ-შევარდნაძის შეხვედრისას დაიგეგმა სოხუმიდან მძიმე ტექნიკისა და არტილერიის გაყვანა, რაც ნიშნავს სოხუმის ჩაბარებას. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის ბ. პასტუხოვის მიერ შემოთავაზებული ე.წ. „სამმხრივი ხელშეკრულების” გეგმაც სწორედ ამას ითვალისწინებს.**

**სოხუმიდან ქართული ჯარის გაყვანა ნიშნავს ქართველი მოსახლეობის გაყვანას, ვინაიდან შეიარაღებული ძალების 90 პროცენტს ადგილობრივი მოსახლეობა შეადგენს. სოხუმის ჩაბარებას მთელი აფხაზეთის ჩაბარება მოჰყვება, ხოლო ყოველივე ამას-ქართული მოსახლეობის არნახული გენოციდი და დეპორტაცია.**

**მე მოვუწოდებ აფხაზეთის ტერიტორიაზე დისლოცირებულ ყველა ქართველ მებრძოლსა და მეთაურს, სრულიად საქართველოს მოსახლეობას: არ დაემორჩილოთ ე. შევარდნაძისა და მისი კომუნისტური ხუნტის ბრძანებებს, არ დათმოთ აფხაზეთის ძირძველი ქართული მიწის არც ერთი გოჯი, არ ჩააბაროთ მტერს უკვე მოპოვებული პოზიციები. აღადგინეთ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, გახსოვდეთ, რომ საქართველოს რესპუბლიკის საზღვარი მდინარე ფსოუზე გადის!**

**ღმერთი და სამართალი ჩვენთან არის, ჩვენ გავიმარჯვებთ!”**

**სამეგრელოში დევნილი პრეზიდენტის ჩამოსვლას კანონზომიერად მოჰყვა ლეგიტიმური სტრუქტურების აღდგენის პროცესი... ამ სტრუქტურების კონტროლს დაქვემდებარებული არეალიც სწრაფად ფართოვდებოდა... აშკარა გახდა, რომ ზვიად გამსახურდიას კანონიერი ხელისუფლების აღდგენა ქვეყნის მასშტაბით უკვე რეალური ხდებოდა... როგორც ჩანს ამგვარმა პერსპექტივამ მეტისმეტად შეაშფოთა ეროვნულ სახელმწიფოთა უპირველესი მტერი ამერიკის შეერთებული შტატები**

მოვლენათა ასეთმა განვითარებამ განაპირობა ის, რომ, მიუხედავად მის წინაშე მდგარი წინააღმდეგობისა და საშიშროებისა, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ჩამოვიდა სამშობლოში, რათა არ დაეშვა აფხაზეთის წინასწარ დაგეგმილი ჩაბარება. ჩამოსვლის მეორე დღეს, 25 სექტემბერს, მან ასე მიმართა ქართველ ერს:

**„ძვირფასო თანამემამულენო!**

**ძმანო და დანო!**

**მე, საქართველოს კანონიერი პრეზიდენტი, დავუბრუნდი სამშობლოს და განვაგრძობ ერის წინაშე ჩემი მოვალეობის შესრულებას. მე ვხედავ საქართველოს უმძიმეს მდგომარეობას, მე არ შემეძლო ასეთ დროს ვყოფილიყავი საქართველოს გარეთ, მე ჩამოვედი არა მხოლოდ იმიტომ, რომ შევასრულო ჩემი თანამდებობრივი მოვალეობა, არამედ იმისათვის, რომ სათავეში ჩავუდგე ეროვნული ხსნის მოძრაობას.**

**ძმანო და დანო! ჩვენი ერის ყოფნა-არყოფნის საკითხი დგას და ასეთ დროს დიდი დაფიქრება და პასუხისმგებლობა გვმართებს. მე ჩამოვედი არა იმისათვის, რომ გავაჩაღო სამოქალაქო ომი ან დავსაჯო ვინმე, არამედ ჩემი მიზანია ერის გამთლიანება და ეროვნული შერიგება, და თუ მოწინააღმდეგე მხარე შეიგნებს თავის შეცდომებს, შეინანებს თავის დანაშაულს ერის წინაშე, მე მზად ვარ მათაც გავუწოდო ხელი.**

**თუ უკანონო ხელისუფლება გამოიჩენს კეთილგონიერებას და გადადგება, მე მზად ვარ უზენაეს საბჭოსთან შეთანხმებით დავნიშნო ახალი არჩევნები, ყველას მიეცემა ხელშეუხებლობის გარანტია სათანადო პირობების გათვალისწინებით.**

**ალბათ, მრავალ თქვენგანს სურს შეიტყოს, თუ რად დაგვიანდა ჩემი ჩამოსვლა; იმის გამო, მეგობრებო, რომ მქონდა უამრავი დაბრკოლება, რომელთა დაძლევაც ვერ ხერხდებოდა, მაგრამ აი, დადგა ჟამი და ბოლოს მივაღწიე იმას, რომ დღეს თქვენთან ვარ.**

**დღეს საქართველო უნდა დაირაზმოს ერის ხსნისათვის, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დაცვისათვის, ჩვენი ეკონომიკის აღდგენისათვის, ქართული სულის აღორძინებისათვის.**

**გაუმარჯოს ჩვენს ბრძოლას საქართველოს გადასარჩენად!“**

როგორც ხედავთ, ბატონ ზვიად გამსახურდიას ძალ-ღონე არ დაუშურებია მამულის გადასარჩენად...

და ბოლოს, არ შემიძლია ერთი რამეც არ აღვნიშნო: სამეგრელოში დევნილი პრეზიდენტის ჩამოსვლას კანონზომიერად მოჰყვა ლეგიტიმური სტრუქტურების აღდგენის პროცესი... ამ სტრუქტურების კონტროლს დაქვემდებარებული არეალიც სწრაფად ფართოვდებოდა... აშკარა გახდა, რომ ზვიად გამსახურდიას კანონიერი ხელისუფლების აღდგენა ქვეყნის მასშტაბით უკვე რეალური ხდებოდა... როგორც ჩანს ამგვარმა პერსპექტივამ მეტისმეტად შეაშფოთა ეროვნულ სახელმწიფოთა უპირველესი მტერი ამერიკის შეერთებული შტატები და აი, ვაშინგტონიდან მოსკოვში სასწრაფოდ ჩადის სახელმწიფო მდივანი უორენ ქრისტოფერი.... რუსეთის და უკრაინის მარიონეტ მმართველებს (ელცინი, კრავჩუკი) ის აძლევს მითითებას ნებისმიერი საშუალებით, თუნდაც სამხედრო ძალის გამოყენებით უზრუნველჰყონ ევროამერიკული იმპერიალიზმის აგენტ ე. შევარდნაძისათვის საქართველოში ძალაუფლების შენარჩუნება... ცხადია ამით გლობალისტურმა ძალებმა ანუ ახალი მსოფლიო წესრიგის მესვეურებმა სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს ზვიად გამსახურდიას და ჩვენი სამშობლოს რეალურ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობასაც...

რუსეთ-უკრაინის ერთობლივ დაქვემდებარებაში მყოფმა ე. წ. ბალტინის შენაერთმა კი, ის განაჩენი აღასრულა...

**ზურაბ კვარაცხელია**

# ზურაბ კვარაცხელიას ბლოგი

ალბათ გული რომ მომიკლან – ამ ბოლო დროს ხშირად ბჟუტურობენ ვიღაც-ვიღაცეები ჩემს ვითომდაც მოჭარბებულ ამბიციურობაზე და ცინიკოსობაზე, მაგრამ რა ვქნა, მე მაინც ვიტყვი იმას, რასაც ვფიქრობ... კერძოდ კი, აი, რას: ბუნებრივია, ყურადღებით ვაკვირდები მიმდინარე პროცესებს და შესაძლებლობის ფარგლებში ვცდილობ საკუთარი აქტივობაც გამოვავლინო. თუმცა, ეს აქტივობა არანაირად არ არის დაკავშირებული ე. წ. საარჩევნო პროცესებთან... და, თუ რატომაა ეს ასე – აი, ამას ძალიან ხშირად მეკითხებიან ზოგიერთები, და, მართალი გითხრათ, დამღალა უკვე წლების განმავლობაში ერთი და იმავე ტიპის შეკითხვებზე პასუხის გაცემამ... წლების განმავლობაში – იმიტომ რომ, იმ ავადმოსაგონარი პუტჩის შემდგომ დღემდე უკეთესობისკენ ამ კუთხით არც არაფერი შეცვლილა... რა თქმა უნდა, დრო როდია გაჩერებული, დრო დინამიურია, მაგრამ ჩვენს სამშობლოში მუდმივად ტარდება არჩევნებად წოდებული რაღაც ფარსი, რომლის სცენარისტებიც და რეჟისორებიც ასევე მუდმივად უცხო ტომისანი არიან, ხოლო, მთავარი პერსონაჟები, ეპიზოდური როლების შემსრულებლები და უბრალოდ სტატისტები კი – ადგილობრივი ბობოლები და გაღლეტილები.... ქვეყანა, უფრო სწორედ, ტერიტორიებშეკვეცილი, ფაქტიურად არშემდგარი კვაზისახელმწიფო კარგა ხანია გადაიქცა უნიჭო, უზნეო და გრძელი სპექტაკლის გასამართ სცენად, სადაც უკვე თამაშდება მრავალათასწლეულთა ქარტეხილებს ასე თუ ისე გამოღწეული კოლხ-იბერის დრამატიზმით თუ ტრაგიზმით გაჯერებული შემაძრწუნებელი ისტორიის ეპილოგი... ახლა, ვინმეს **„სონი ჩიქახე სო მიშახეს“** ასოციაცია რომ არ გაუჩნდეს – მოჭრით ვიტყვი: ამ სავალალო რეალობაში არ უნდა გვქონდეს არანაირი ილუზია თუნდაც ელემენტარული და კონკურენტუნარიანი პოლიტიკურ-საარჩევნო გარემოს შესაქმნელად! აქ ამინდს ჰქმნიან კორდონებს იქედან სტიმულირებული პერსონალიები და ე. წ. პარტიები! ეროვნულ-ტრადიციულ-მართლმადიდებლურ ფასეულობებზე ორიენტირებულთათვის ამ მოცემულობაში სასუნთქი ჟანგბადის მისაღებად ჭუჭრუტანაც კი არაა დატოვებული! კი, არიან... ნამდვილად არიან თითქოსდა პატრიოტულ პლატფორმაზე მდგარი ძალებიც, მაგრამ ვაი, რომ მართლაც თითქოსდა არიან!.. ვცდები ვითომ?! ნეტავ ასე იყოს, მაგრამ ამ ჩემი რიტორიკის სამწუხარო სისწორეში ძალიან ბევრი მომავალში დარწმუნდება... დასრულდება ყველაფერი! ძალიან სავალალოდ დასრულდება! თუ, რაღაც სასწაულით სიტუაცია არ შეიცვალა – ჩვენც შევწყვეტთ არსებობას! ჩვენც გავქრებით! ჩვენც შევუერთდებით გამქრალ ერებს! მაშ, რაშიაო გამოსავალი – იკითხავს ვიღაცა და უკვე ზემოთაღნიშნულ ჩემს ვითომდა ამბიციურობაზე მავანთა ბჟუტურის მიუხედავად დაბეჯითებით და ჯიუტად ვამბობ, რომ შექმნილ სიტუაციაში ქართველი ერის საუკეთესო შვილებმა, პატრიოტმა შვილებმა, ნამდვილმა ელიტამ, ღირსეულმა ელიტამ უნდა გამოავლინოს ჯერ არნახული, გასაოცარი ძალისხმევა საზოგადო მოღვაწეთა ინსტიტუციების ჩამოსაყალიბლებად... საჯაროდ აქამდეც გამოვთქვი ამაზე მოსაზრება და დარწმუნებული ვარ, რომ ეს აუცილებლად უნდა განხორციელდეს სამოციქულო ეკლესიასთან ურთიერთშეთანხმებით და კოორდინირებით... საქართველოში დაუყონებლივ უნდა მოეღოს ბოლო ჩვენი სამშობლოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი არსებობისათვის მტრულად განწყობილი უცხო ძალების მხრიდან მართული ადგილობრივი პოლიტიკური კლასის პარპაშს! ჩვენ არ უნდა შეგვეშინდეს იმის, თუ რას იტყვიან ბრიუსელში, ვაშინგტონში თუ მოსკოვში და ჩვენი სპეციფიური და არსებობა-არარსებობის დილემის წინაშე მყოფი ერის მდგომარეობიდან გამომდინარე უნდა გავისარჯოთ! აუცილებელია საგანგებო რეჟიმზე გადასვლა! თუ რამდენ ხანს უნდა გაგრძელდეს ეს საგანგებო მდგომარეობა – ამას პოზიტიურად განვითარებული პროცესების დინამიურობა გვიკარნახებს! ამავდროულად აუცილებელია ქართველი ერის წიაღში წარმოჩინდეს ეროვნულ-ტრადიციულ-მართლმადიდებლურ ფასეულობებზე ორიენტირებული ახალი პოლიტიკური კლასი და მას უნდა მიეცეს შესაძლებლობა სრულფასოვანი, კონკურენტუნარიანი ფუნქციონირებისა!.. თუ ვინმეს ეჭვი შეეპარება ამის განხორციელების რეალობაში – იმას ვპასუხობ: არ არის ადვილი, მაგრამ ჩვენ სხვა გამოსავალი ახლა უკვე აღარც გვაქვს, ვინაიდან არსებობს ეს ოხერი წრე, მოჯადოებული წრე და ამას უნდა გარღვევა! ჩვენ უნდა გავაღწიოთ აქედან ნებისმიერ ფასად! წინააღმდეგ შემთხვევაში სულ მალე ეს წრე მარყუჟივით წაგვიჭერს, საბოლოოდ წაგვიჭერს და ჩვენი ბოლო ამოსუნთქვაც აღარ დააყოვნებს! ასე რომ, უნდა ვიბრძოლოთ თვითგადარჩენისათვის და მუდამ გვახსოვდეს: ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი!!!

## კვარაციხიდან თუ კვარანცხუადან?..

***უწინარესად მივესალმები თითოეულ მოგვარეს...***

ახლა კი, მსურს ერთ რამეზე გავამახვილო ჩემი ძვირფასი კვარაცხელიების ყურადღება: რატომღაც, გავრცელებულია აზრი, რომ გვარის წარმომავლობა მომდინარეობს კვარაციხიდან... ლეგენდის თანახმად გვარის წინაპარი თითქოს რაღაც მიზეზთა გამო ჩამოსულა სამეგრელოში და მის შთამომავალთ კვარაციხული წარმოშობის გამო მიუღიათ ეს გვარი, რისი მართებულებაც აშკარად მოკლებულია დამაჯერებლობას... აბა, როგორ გინდა დაიჯერო, რომ ჩვენს კუთხეში ჩამოსული ხიზანის თუ დევნილის ნაგრამი ისე გამრავლდა – რამოდენიმე საუკუნეში სამეგრელოში რაოდენობრიობით გახდა უპირველესი... უფრო მეტიც: სრულიად საქართველოს გვარებში მეექვსე ადგილზეც აღმოჩნდა... პოპულაციის თვალსაზრისით ყველაზე ოპტიმისტურ წარმოსახვითობაშიც არ ჩანს ეს რეალური... ზღაპარია ეს...

ბოლოსდაბოლოს, რა გინდა, შენ თვითონ რა ვერსიას გვთავაზობო, იკითხავს მავანი და ნამდვილად მართალიც იქნება... ჰოდა, აი რას ვფიქრობ: მეგრულ ენობრივ ფენომენს ეკუთვნის ასეთი სიტყვები – **„კვარანცხელი“** და **„კვარანცხუა“**... შესაძლოა ვინმემ არ დამიჯეროს, ამიტომ მივუთითებ შესაბამის წყაროსაც, კერძოდ კი, სულკურთხეული დიდი ლექსიკოგრაფის ალიო ქობალიას **„მეგრულ ლექსიკონს“**... ამ ლექსიკონის 359-ე გვერდზე წერია: **„კვარანცხელი – დაგრეხილი, გრეხილი ნაკეთობა ძვირფასი ლითონისა, გაქნილი..."** (იგივეა, რაც წკუმონტილი...).

**"კვარანცხუა – გრეხა, ხლართვა, ოქრომჭედლობა, ოქრომგრეხელობა.“**

ხედავთ?.. როგორც ჩანს პირველი კვარაცხელიები ძვირფას ლითონზე მომუშავე ხელმარჯვე ოსტატები, ხელოსნები იყვნენ. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ დღევანდელი მარგალონა უძველესი, მითაჟამინდელი კოლხონას უშუალო მემკვიდრეა – მაშინ ამის რეალურობის ალბათობაც საკმაოდ დიდია... აბა, გავიხსენოთ ისტორიულ წყაროებში მითითებული **„ოქრომრავალი კოლხეთი“ („ორქოპალური კოლხონა“)**...

რაც შეეხება კვარაცხელიების მესაქონლეობას: ეტყობა ამ ფრიად საპატიო და საამაყო საქმიანობას მაკვარანცხი კვარანცხელიები მოგვიანებით ოქრომრავალი კოლხეთის დაკნინების, ისტორიული ბედუკუღმართობის შემდეგ შეუდგნენ...

და, ბოლოს: თავის დროზე ვიცოდი რა აწ გარდაცვლილი მეცნიერი აბესალომ ტუღუში მეგრული გვარების წარმოშობაზე მუშაობდა – მოვუყევი მას ამის თაობაზე და ვთხოვე ეს გაეთვალისწინებინა... მახსოვს თუ როგორ აღფრთოვანდა აბესალომი... უბის ბლოკნოტში ჩაიწერა ყველაფერი და შუბლზეც მაკოცა...

**ზურაბ კვარაცხელია,**
**ზუგდიდი**

# გათვლა, რომ სააკაშვილი დაბრუნდეს და ხალხი გვერდში დაუდგება, სისულელეა

ცნობილი ქართველი ფილოსოფოსის, ექსპერტ ზაზა შათირიშვილის განცხადებით, საქართველოში ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის დაბრუნების შანსი იმდენად მცირეა, რომ შეიძლება, გამოვრიცხოთ კიდეც.

ამ თემაზე ექსპერტი ჟურნალისტთან ინტერვიუში საუბრობს.

მისი აზრით, **„გამორიცხულია, ქართველმა ერმა საქართველოში სააკაშვილის დაბრუნება დაუშვას“.**

**„პირველ რიგში იმას ვიტყვი, რომ ამას ხალხი უბრალოდ არ შეეგუება, გამორიცხულია, ქართველმა ერმა საქართველოში სააკაშვილის დაბრუნება დაუშვას. ყველაზე ცუდი სცენარი ამ შემთხვევაში არის სამოქალაქო ომი. მაგრამ კიდევ ვიმეორებ, რომ ეს წარმოუდგენლად მიმაჩნია. ამის რესურსი არ არსებობს, არ აქვს პარტიას ამის რესურსი და არც ამის მოლოდინი არსებობს საზოგადოებაში.**

**საზოგადოებას მიშა არ სჭირდება და ამიტომ, იმაზე გათვლა, რომ დაბრუნდეს და ხალხი გვერდში დაუდგება, სისულელეა“,** – აცხადებს ზაზა შათირიშვილი.

როგორც ცნობილია, მასზე ძებნაა გამოცხადებული და დიდი შანსია, საქართველოში ჩამოსვლის შემთხვევაში, ის დააპატიმრონ – მიმართა ჟურნალისტმა ექსპერტს.

**„ესეც მშვენიერი არგუმენტია. ჩვენ გვახსოვს ჰალსტუხის ჭამა, ვერტმფრენის დანახვაზე გაქცევა და ა.შ. ჩვენ ვნახეთ მისი სიჩაუქე როგორც მხედართმთვრისა და როგორც ვაჟკაცის.**

**ვერ ვიტყვით, რომ ის არის უშიში ვითარცა უხორცო. ის მოშიში და ხორციანია. სხვათაშორის, მისი წინამორბედი ედუარდ შევარდნაძე ამ მიმართულებით იყო მამაცი ადამიანი, რაც პოლიტიკოსისთვის აუცილებელი თვისებაა. სააკაშვილი დარჩება როგორც სხვა ფიგურები, მაგალითად, ისეთი როგორიც არის იგორ გიორგაძე. რაც წავიდა, იმის შემდეგ ჩამოდის და ვერ ჩამოვიდა. მიშაც ასე იქნება, გიორგაძესავით“,** – განაცხადა ზაზა შათირიშვილმა.

**„სამეგრელოში მაჟორიტარობის „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატი სანდრა რულოვსი იქნება.“** – ამის შესახებ ინფორმაცია რამდენიმე კვირის წინ გაავრცელა სააგენტო **„მარშალპრესმა“.**

ეს იმ კაცის საქციელს მაგონებს, ტყეში გამავალ ბილიკზე ბანდიტების დახვედრისა და გაუპატიურების რომ ეშინია და წინ ცოლს აგზავნის – თუ გაუპატიურება იქნება, პირველად ეგ გააუპატიურონო!

ფაქტია, რომ მიშა სააკიანისათვის ხელისუფლება არა მარტო მისი ნებისა და ხუშტურების უსიტყვო აღსრულებას ნიშნავდა, არამედ დიდი ფინანსური შემოსავლების წყაროც იყო, რითაც იგი ქრთამავდა ევროამერიკელ ჩინოვნიკებს, რომლების ახლა ყველაფერს კადრულობენ ამ ჩიტირეკიას საქართველოს ხელისუფლების სათავეში დასაბრუნებლად.

ფაქტია, რომ მიხეილად წოდებული დაშნაკი არაკაც-სააკიანცის პრეზიდენტად დაბრუნებას არა მარტო საქართველოს მოსახლეობა, არამედ მისი ყოფილი თანაპარტიელებიც არ დაუშვებენ, რადგან მათ მიაჩნიათ, რომ ამ ჩიტირეკია ნარკომან-სიფილიტიკის ყველა პროვოკაციული გეგმა ჩავარდა და პოლიტიკურ სიბინძურეებში გაწაფული დაშნაკი ახლა ვერავითარ დახმარებას ვეღარ უწევს **“ობლად”** დარჩენილ ნაციონალებს, და ამიტომ, პატარა თუ **“დიდი”** გამარჯვება მხოლოდ ქართველი ნაცების დამსახურება იქნება და არა ოდესის გუბერნატორის კაბინეტში მონებივრე ნარკოტიკებისაგან გასიებული სოდომაზოხისტი მშიშარა **“ბელადისა”.** ამიტომ, ახლა სააკიანცს ვერც მისი ევროამერიკელი მფარველები უშველიან და ვერც მისი ხელიდან პოლიტიკური (არა მხოლოდ!!!) გაუპატიურებისათვის საბოლოოდ განწირული ცოლადწოდებული – ელისაბედ სანდრა რულოვსი, რომლის სახელსაც მყარად უკავშირდება **“სანდრაბუსებად”** წოდებული ჰოლანდიური ჯართის საქართველოსათვის შემოსაღება და საქართველოს ციხეებში პატიმრების უმოწყალოდ განადგურება და მათგან ამოჭრილი ორგანოებით ვაჭრობა.

ასე რომ, საქართველოში სიმსივნედ ჩაბუდებულო ნაცავაზაკებო, **“ცავატანემ”,** თქვენი, მიშას და სანდრას მატარებელმა კარგა ხანია ჩაიარა და ახლა საკუთარი ფეხით მოგიწევთ პოლიტიკურ სასაფლაომდე მისვლა. ქართველი ერი კი ნამდვილად არ დაგამადლით, რომ 2016 წლის 8 ოქტომბერს თითო პეშვი მიწა მიაყაროს თქვენს საფლავებს!

მოკლედ, ქართველო და საქართველოში მცხოვრებო არაქართველო ამომრჩევლებო: მიეცით ხმა ვისაც გნებავთ, ოღონდ არა **“ნაციონალურ მოძრაობას”, “რესპუბლიკელებს”, “გირჩს”** და **ირაკლი ალასანიას გუნდს!**

**გაზეთ “ილორის” რიტუალური მომსახურეობის სექტორი**

# ჩხოროწყუელი ბიჭი, რომელმაც ერთ-ერთმა პირველმა შემოუფრინა ეიფელის კოშკს

პირველი ქართველი ავიატორი, ამიერკავკასიის ავიაციის ფუძემდებელი ბესარიონ ქებურია დაიბადა ჩხოროწყუში, 1870 წელს.

წლების წინ მისმა მეგობარმა ვალერიან ახალაიამ ინტერვიუში განაცხადა, რომ ბესარიონი 14 წლის ასაკში ჩხოროწყუდან გაჰყვა მწყემსებს ფოთში. იქ ჩასულმა პირველად დაინახა მატარებელი, რამაც იმდენად ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ბავშვზე, რომ რკინიგზის მშენებლობაზე დარჩენა გადაწყვიტა. ინჟინერ სლივიცკის დახმარებით, რომელიც ელდარ და გიორგი შენგელაიების ბიძა იყო, ახალი პროფესიის დაუფლებას შეუდგა. 1898 წელს პეტერბურგში ექსტერნად ჩააბარა გამოცდები და მიიღო რკინიგზის უფროსი ტექნიკოსის წოდება, მან თვითონ ააშენა პლანერი და საცდელი ფრენებიც ჩაატარა თბილისში.

მისივე თქმით, გასული საუკუნის გაზეთები წერდნენ, **„აეროპლანისტი ბესარიონ ქებურია თავის მანქანით ჰაერში აფრინდება, როგორც „ფრინველი”.**

**„როდესაც გაიგო, რომ სახელგანთქმული ფრანგი მფრინავი ლუი ბლერიო, საკუთარი კონსტრუქციის მონოპლანით გადაფრინდა საფრანგეთიდან ინგლისს, ბესარიონმა გაყიდა ყველაფერი და შეგროვილი თანხით პარიზს გაემგზავრა. მან ისწავლა საავიაციო სკოლაში. ბლერიომ კი ნიჭიერ და მონდომებულ მოსწავლეს სწავლის საფასურიც გადაუხადა“,** – გვიამბო ვალერიან ახალაიამ.

არსებობს ვარაუდი, რომ სასწავლო ფრენების დროს, ბესარიონ ქებურიამ ერთ-ერთმა პირველმა შემოუფრინა 20 მეტრის რადიუსში ეიფელის კოშკს.

მას მიიჩნევენ ამიერკავკასიის ავიაციის ფუძემდებლად. პირველი აეროდრომები, პირველი ავიოტრასები კავკასიონზე, ქართველ მფრინავთა თაობების აღზრდაც მის სახელს უკავშირდება.

ბესარიონ ქებურია გარდაიცვალა 88 წლის ასაკში. ის დაკრძალულია ჩხოროწყუს ცენტრში მდებარე სკვერში. აქვე დგას მისი ბიუსტიც. მისი მონუმენტი ინახება ჩხოროწყუს მუზეუმშიც.

მფრინავის სახლს ჩხოროწყუში მისი შვილიშვილი ლიანა აბაშიძე უვლის და ამბობს, რომ უახლოეს მომავალში, ამ სახლში ბესარიონ ქებურიას სახლ-მუზეუმი გაიხსნება. მფრინავის მიერ აშენებული კონსტრუქციები და სხვა ნივთები, მის შვილიშვილთან, გუგული ქებურიასთან თბილისში ინახება. მან ბაბუას წიგნიც მიუძღვნა – **„ცის დაპყრობის ისტორია – ოცნებიდან რეალობამდე“.**

მანამდე კი მფრინავი ნიკო ფიროსმანმა ერთ-ერთ დუქანში დახატა და იქვე მიაწერა: **„ბესარიონ ქებურია ვაჟკაცობით ქებულია, მტკვარზე გადის უხიდოდ, მაღლა ადის უკიბოდ“.**

**ნანა ხუბუტია**

# heroკრატია – ნაწარმოები ნაციონალ მონათა მიერ შეთხზულ ანტიგმირზე

ძველბერძნულ ენაზე hero გმირს ნიშნავს, kratia კი კანონს, ძალას. მთლიანობაში კი ეს სიტყვა ნიშნავს ხალხისაგან გამოგონილ მითიურ გმირს, რომელსაც შემდეგ მისი შემქმნელი ხალხი ემორჩილება როგორც კერპს და მორჩილად იტანს მის ყოველ კაპრიზს.

მადლობის მეტი არა ეთქმის რა ფილმის შემოქმედებით ჯგუფს, რადგან ამ ერთ სიტყვაში მაქსიმალური სიზუსტითაა ასახული მანიაკი დაშნაკის, ეთნიკური სომხის მიხეილ (გარეგინ) სააკიანცის ავადმყოფური ლტოლვა გმირის კვარცხლბეკისაკენ და მის მიერ ცხრა წლის განმავლობაში დატრიალებული სოდომი და გომორა, რომელსაც მორჩილად იტანდა ამ არარაობისაგან პრეზიდენტის შემქმნელი და შემდეგ ცხვრად ქცეული ქართული საზოგადოება!

მე ოდესღაც კინომცოდნე ვიყავი და, ამდენად, მიმოვიხილავ არა ფილმის პოლიტიკურ პლასტებს, არამედ მის მხატვრულ ღირებულებას, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ ფილმი შექმნილია კონკრეტულ ფაქტებზე დაყრდნობით, იგი მაინც მხატვრული ტილოა და სწორედ ამ კუთხით იმსახურებს საზოგადოების ყურადღებას.

ვიდრე ფილმის მხატვრულ ღირსებებზე ვისაუბრებ, მინდა აღვნიშნო ერთი მთავარი ფაქტორი, რომელიც კიდევ ერთხელ მიუთითებს ფილმის შემქმნელების მაღალ პროფესიონალიზმსა და შეუმცდარ შემოქმედებით ინტუიციაზე – ფილმის მთავარ და მეორეხარისხოვან გმირებად რეჟისორმა მიიწვია აქამდე უცნობი მსახიობები, რადგან ცნობილი მსახიობის ხილვისას მაყურებელი მისი წინა როლების გახსენების ხიბლში ვარდება, რამაც შეიძლება მას ხელი შეუშალოს ფილმის შემქმნელების მიერ ნაწარმოებში ჩადებული დედაარსის აღქმაში.

სწორედ აქედან იწყება ფილმის გამარჯვება!

ფილმი „heroკრატია“ ასახავს ქართველი საზოგადოების ყველაზე სამარცხვინო ეპიზოდს, ყველაზე სამარცხვინო ეპოქას. ეპოქას, როდესაც პენიტენციარულ სისტემაში და არა მარტო, აბსოლუტურად დაკარგული იყო ადამიანური სახე. სჩადიოდნენ ისეთ საქციელს, რომლის აღწერა შეუძლებელია.

რა თქმა უნდა, ის სისასტიკე ბოლომდე არ არის აღწერილი და ვერც იქნებოდა, იმიტომ, რომ გააზრება იმისა, რომ შეიძლება, ახალგაზრდა, უდანაშაულო ადამიანი ჩაიყვანო მორგში და მიაჯაჭვო ცხედარს რამდენიმე საათის და ხანდახან მთელი დღის განმავლობაში, ამის გადაღებაც ძნელია და წარმოდგენაც ძნელია. ვფიქრობ, რომ ეს არც იყო ფილმის შემქმნელთა ამოცანა.

რეჟისორ გიორგი ხაინდრავას ამოცანა იყო ის, რომ დაეფიქრებინა საზოგადოება იმაზე, რომ ის, რაც ქართველმა ხალხმა გაიარა, ყველამ უნდა გაიაზროს, უნდა შეიგრძნოს ის სირცხვილი, ის დაცემა, რომელიც დაემართა ქართულ საზოგადოებას. ამ წლებში ჩვენ ყველამ კარგად ვიცოდით, რომ მსგავსი რამე ხდებოდა ქართულ საპატიმროებში, იმიტომ, რომ იქიდან გამოდიოდა ხმები, გამოდიოდა ხალხი, გამოდიოდა ტკივილი და მიუხედავად ამისა, ხალხი ამაზე თვალს ხუჭავდა. ამაზე არ ლაპარაკობდნენ, მხოლოდ გარკვეული ჯგუფები, გარკვეული ადამიანები ცდილობდნენ, რომ გაეღვიძებინათ საზოგადოება. მაგრამ ეკზალტირებული ბრბოსაგან შეგულიანებული და ადეიშვილი-ბოკერია-თარგამაძე-მერაბიშვილის მიერ უზომოდ დაშინებული ხალხი **„დემოკრატიის შუქურის“** შობას ზეიმობდა ამ დროს, ხალხი ზეიმობდა სამარცხვინო დამარცხებას ომში, 12 აგვისტოს, რუსთაველზე. ხალხი ზეიმობდა ევროპულ გზას და ევროპულ ფსევდოწარმატებებს. ხალხი ტაშს უკრავდა ადამიანებს, რომლებმაც აბსოლუტური ავადმყოფური ბოდვები განახორციელეს საკუთარ მოსახლეობასა და საკუთარ ხალხზე.

კარგად უნდა გავიაზროთ, რომ ისეთ პატარა საზოგადოებაში, როგორიც არის საქართველო და ქართველი საზოგადოება, ძნელი წარმოსადგენია, რომ რაიმე კავშირი არ ჰქონდეს ერთ პიროვნებას მეორე პიროვნებასთან, ან ნათესაური, ან ახლობლური. ამიტომ იცოდა ყველამ, თუ როგორი სისასტიკით უსწორდებოდნენ ნაცები ხალხს, მხოლოდ იმიტომ, რომ ერთი ავადმყოფის თავში იბადებოდა **"რეფორმისტული"** იდეები ან რამდენიმე ავადმყოფს სურდა, რომ გადაეკეთებინა ეს საზოგადოება და შეექმნა ადამიანის ახალი ტიპი. ეს არის ძალიან დამაფიქრებელი და, როგორც ფილმის შემქმნელები გვეუბნებიან – საზოგადოება არ დაფიქრებულა ამაზე. წარმოუდგენელია ის, რომ წლიდან წლამდე არჩევნებში **„ნაციონალურ მოძრაობას“**, რომელიც არის საერთაშორისო დონის სამხედრო დამნაშავე ორგანიზაცია – და ეს ფილმი დაადასტურებს ამას, – სახელისუფლებო სტრუქტურებში ადგილი ეთმობა, ხალხი დადის სურათებით და აპირებს, რომ კიდევ ერთხელ მისცეს შესაძლებლობა, რომ ის ადამიანები, ვინც შექმნა ეს სისტემა, იყვნენ წარმოდგენილი საქართველოს ხელისუფლებაში, – სტრიქონებს შორის მიგვანიშნებენ ფილმის ავტორები.

მართლაც საოცარი ხალხი ვართ ქართველები, იმდენად საოცარი, რომ მხოლოდ ჩვენ შეგვიძლია ადამიანის ორგანოების გამყიდველი სადისტი მკვლელის, **“პირველ ლედიდ”** წოდებული არაქალის ელისაბედ სანდრა რულოვსის პოლიტიკაში ხელმეორედ დაბრუნებას ხელი არ შევუშალოთ და პასუხი არ ვაგებინოთ ამ გათახსირებულ დედაკაცს იმ უბედურებებისათვის, რაც მისმა წყეულმა ოჯახმა მიაყენა საქართველოს და ქართველ ერს!

იქნებ მართლა ჩვენი ბრალია ყველაფერი და წყეულები სანდრა, მიშა და ნაცბანდა გვიკეთებდნენ იმას, რასაც უსიტყვოდ ვითმენდით?

ნაციონალებისაგან უსამართლოდ დაპატიმრებული თემურ გვალია ციხეში ყოფნის პერიოდს იხსენებს: **„ერთ-ერთი „დახურული ციხის“ კარანტინში, პატარა ბეტონის ოთახში 40-ამდე პატიმარი ვყავდით ჩაკეტილი... პირადად მე 18 დღე გავატარე მაშინ იქ. სამი ცარიელი საწოლი (შკონკა) იდგა 40 კაცისთვის განკუთვნილი... მოკლედ ერთ დღეს როცა ბეტონის იატაკზე ოთხად მოკეცილი ვიწექი და შიგადაშიგ ვთვლემდი, კარებზე მოკრძალებული კაკუნის ხმა გაისმა. ხმა აშკარად კარანტინის ოთახის შიგნიდან მოდიოდა. გავხედე და ვხედავ, კარებთან ასე 24-25 წლის ახალგაზრდა დგას და თან აკაკუნებს, თან მორიგეს ეძახის.**

**გამოვფხიზლდი.. ვკითხე: რა ხდება, რამე ხომ არ გიჭირს მეთქი... ეტყობოდა პირველი ხოდკა ანუ პირველად იყო მოხვედრილი ციხეში... მპასუხობს: ცუდად ვარ, თავი და თვალები მტკივა მთელი დღეა და ველარ ვუძლებ ტკივილსო. ექიმს მინდა დაუძახონ და რამე წამალი მაინც დამალევინონო... მე უთხარი, რომ ტყუილად ნუ ეძახი ძამიკო, არანაირ ექიმზე და არანაირ წამალზე არ იფიქრო მეთქი... აქ ჩვენ ვართ ერთმანეთის ექიმებიც და წამალიც. ასე აჯობებს, დამიჯერე მეთქი და შევთავაზე ჩემი ერთი კვადრატული ადგილი ბეტონის იატაკზე. არა, დავუძახებ, ველარ უძლებო. გააგრძელა კაკუნი...**

**უცებ რკინის კარების საკეტების მჭახე ხმა გაისმა, კარები გაიღო და დაბალი ტანის „კლიუჩნიკი“ შემოვიდა ოფიცერთან ერთად. იკითხა: ვინ აკაკუნებდაო? იმ ახალგაზრდამ უპასუხა მეო. ოფიცერი კითხულობს: რატომ აკაკუნებ? ახალგაზრდა პასუხობს: ძალიან მტკივა თავი და თვალები და იქნებ ან ექიმთან გამიყვანოთ ან რამე გამაყუჩებელი წამალი მომაწოდოთ თუ ძალიან არ შეგაწუხებთო. ოფიცერმა ოდნავ მომღიმარი სახით შეხედა ახალგაზრდას და უთხრა: ეხლავე გავალ და რამეს მოგიხერხებ გპირდებიო და გავიდნენ. ახალგაზრდა იმედიანად ელოდებოდა. უცებ მართლაც იღება კარანტინის კარები და შემოდის ორი უკვე სხვა ციხის თანამშრომელი. იკითხეს: ვის აწუხებს თავი და თვალებიო? მე... უპასუხა ახალგაზრდამ.**

**ოფიცერმა უთხრა: წამო შვილო გაგიყვან ექიმთან და შევეცდებით გაგიყუჩოთ თავი და თვალებიო... მე კი მივხვდი რასაც ეუბნებოდა, მაგრამ ახალგაზრდამ მადლიერი თვალებით შეხედა ოფიცრებს და გაყვა. დაახლოებით ნახევარი საათის შემდეგ, ისევ გაისმა რკინის კარების მჭახე ხმა... გაიღო კარი და დასისხლიანებული, სრულიად გათიშული სხეული შემოაგდეს ოთახში. უცებ ერთ-ერთი დამცინავად იძახის: კიდევ ხომ არ აწუხებს ვინმეს რამეო? ნუ გერიდებათ, თქვით და უცებ გიმკურნალებთო... ხმას არავინ იღებდა... გავიდნენ სიცილით და დედის გინებით... ჩვენ როგორც შეგვეძლო მივხედეთ ახალგაზრდა პატიმარს, მაგრამ საღამოსკენ ისე ცუდად იყო რომ ყველამ ერთად ავტეხეთ ბრახუნი კარებზე ყვირილით: კვდება კაცი! უშველეთ! მორიგე!**

**შემოვიდნენ და სასწრაფოდ გაიყვანეს შეშინებულებმა და ისე გადმოგვხედეს ყველას, თითქოს ჩვენს გამო კვდებოდა კაცი. გაიყვანეს და იმის მერე არც მინახავს...**

**საკნებში რომ გადაგვანაწილეს ცემა-ცემით, იქ პატარა სალოცავი გვქონდა კარადაში გაკეთებული და ბევრჯერ შევთხოვე უფალს გადაერჩინა ის ახალგაზრდა კაცი...**

**ეს რაც გავიხსენე, ზღვაში წვეთია იმასთან შედარებით რაც იქ ხდებოდა..."**

ახლა კი ვიღაცეები ცდილობენ ფილმი მხატვრული ღირებულება მიწასთან გაასწორონ, მაგრამ იმაზე საუბარი რატომღაც არ სურთ, რომ იგი შექმნილია კონკრეტულ მასალებზე დაყრდნობით.

**იცით, ვინ არ უყურებს „ჰეროკრატიას“ და ვინ აპროტესტებს?**

**ის, ვინც 9 წელი ამათ მხეცობას არ იმჩნევდა! ვისაც არ შეუძრა სული ირინა ენუქიძის, ია მეტრეველის, ვაზაგაშვილის მშობლების უბედურებამ! ვინც მოერგო, არ დაინახა, არ შეიმჩნია!!!**

**ფილმის მთავარი გმირის სახე შექმნილია ალექსანდრე ახალკაცის რომანიდან – „გამოცდა ხელბორკილებით“ და ეს ყველაფერი, რასაც ფილმში ნახავთ, უშუალოდ ამ ადამიანს გადახდა“,** – ამბობს ფილმის **„ჰეროკრატია“** მთავარი როლის შემსრულებელი ლუკა თარხან-მოურავი.

**“მას გაუმართლა, რომ გადარჩა და მოახერხა, ციხეში დაწერილი ნაწერები სახალხოდ გამოეტანა. ფილმის გადაღება მძიმე იყო, რადგან მატროსოვის ციხეში, სადაც ფილმს იღებდნენ, ძალიან მძიმე აურა იყო. ამ ციხეში ადგილი არ არის ისეთი, რომ სადმე დაჯდე, დამშვიდდე, რაც გვეხმარებოდა, მიახლოებით მაინც გვეგრძნო ის ყველაფერი, რაც ამ ადამიანებმა რეალურად განიცადეს“,** – განაცხადა მთავარი როლის შემსრულებელმა.

როგორც მან აღნიშნა, მისთვის ფილმში თამაში ძალიან დიდი პასუხისმგებლობა იყო იმ 360.000 ადამიანის მიმართ, რომლებმაც ეს ყველაფერი განიცადეს.

**„ეს არ იყო პროექტი, სადაც თამაშის პროცესით უნდა მესიამოვნა. ეს იყო ძალიან დიდი პასუხისმგებლობა იმ 360.000 ადამიანის მიმართ, რომლებმაც ეს ყველაფერი განიცადეს და რომლებსაც, ამ ტკივილის გადმოცემის შესაძლებლობა არ მიეცათ. ბევრმა ადამიანმა, ვინც ამ ფილმში თამაშობს, ეს სისასტიკე თავად გამოიარა“,** – განაცხადა მსახიობმა.

ცნობილი კინოკრიტიკოსების აზრით ფილმი **„ჰეროკრატია“** ისტორიული დოკუმენტია, რომელიც იმას ასახავს, რაც ქვეყანამ გამოიარა.

ეს არ არის ფილმი, რომელსაც ვერ დაჯდები და უყურებ, როგორც მხოლოდ მხატვრულ ფილმს. ეს ისტორიული დოკუმენტია, რომელიც იმას ასახავს, რაც გამოვიარეთ. ჩვენს საზოგადოებას ეს უნდა ახსოვდეს და სტკიოდეს. თუ ეს შეცდომა კარგად არ ვისწავლეთ, დიდი შანსია, მეორედაც გავიმეოროთ, რადგან ის ადამიანები, რომლებმაც ეს სისასტიკე ჩაიდინეს, დღეს თავისუფალი არიან და ამბიციებიც გააჩნიათ. ამის დასტური გახლავთ თუნდაც ის, რომ ჯოჯოხეთური სიბნელიდან გამოძვრა და დეპუტატობა მოისურვა ამ არაადამიანური ინდუსტრიის ერთ-ერთი თანაავტორმა, ადამიანის ორგანოებით მოვაჭრე საზიზღარმა არსებამ სანდრა რულოვსმა!

საზოგადოებამ ვერ ნახა **„ნაციონალური მოძრაობის“** გულწრფელი მონანიება. მონანიება იქნება მაშინ, როცა ისინი აღიარებენ კონკრეტულ დანაშაულებს. ხალხს მათგან ამგვარი აღიარებები არ მოუსმენია. სანდრა რულოვსმაც ზოგადად განაცხადა, რომ ისინი შეცდომებს აღარ გაიმეორებდნენ. რომელ გადაცდომებზე და შეცდომებზეა საუბარი, ახალგაზრდა ბიჭები რომ ჩახოცეს? პატიმრებს რომ იჭერდნენ და უდანაშაულო ხალხს აწამებდნენ? ჯერ უნდა აღიარონ დანაშაული, ბოდიში მოიხადონ და მერე უნდა თქვან, აღარ გავაკეთებთ მეტსო. ახალაიას და მერაბიშვილს ისევ რომ პოლიტპატიმრებად მოიხსენიებენ, ეს ხალხი აღიარებს დანაშაულს? გამოვიდეს ქალბატონი სანდრა და თქვას, პოლიტპატიმრები არიან ისინი თუ მათ დანაშაული ჩაიდინეს ქვეყნის წინაშე. აღიარონ, რომ ახალაია სამართლიანად არის დაპატიმრებული, მერაბიშვილი სწორად ზის ციხეში, რომ 26 მაისს ასეთი დარღვევები არ უნდა ყოფილიყო, 7 ნოემბერი ასეთი არ უნდა ყოფილიყო. კიდევ ერთხელ გავიმეორებ, არცერთი აღიარება მათი მხრიდან დღეს არ გაგვიგია, ისევ ძალადობენ და ისევ სიცრუეზე არის მათი იდეოლოგია დაფუძნებული.

ფილმის მთავარი გმირის პროტოტიპის ალექსანდრე ახალკაცის ისტორია დაიწყო მაშინ, როცა ჯავახიშვილის უნივერსიტეტში მოხვდა, ეს იყო 2006 წელი. იგი ჩაირიცხა საერთაშორისო ურთიერთობებზე 100%-იანი სახელმწიფო დაფინანსებით, მაგრამ აღმოჩნდა აბსოლუტურად სხვა რეალობაში – მაშინდელი უნივერსიტეტის თვითმმართველობა იყო **„ნაციონალების“** მიერ ხელდასხმული ჯგუფი, რომლებიც სტუდენტებს ფიზიკურად უსწორდებოდნენ. თვითმმართველობის წარმომადგენელი 10 ლარს უხდიდა სტუდენტებს, რომ წასულიყვნენ და აქციაზე **„მიშა-მიშა“** ეყვირათ. თუ არ მიდიოდნენ, კაბინეტში შეჰყავდათ და სცემდნენ, ეს იყო საშინელება. ამ ყველაფერზე სტუდენტებმა ხმა ამოიღეს.

ამ ყველაფრის გამო ალექსანდრე ახალკაცი ძარცვის ბრალდებით საპატიმროში აღმოჩნდა, რომ თითქოს გოგონას მობილური ტელეფონი წაართვა. ამ საქმეში აბსურდი იყო ის და ფილმშიც მშვენივრად არის ყველაფერი ნაჩვენები, რომ იმ დღეს, როდესაც თქვეს, გოგონას ტელეფონი წაართვა და გაყიდა, სწორედ იმ დროს მარჯანიშვილის თეატრში, წლის საუკეთესო მოთხრობისთვის განათლების მინისტრი პირადად აჯილდოვებდა. ამ დღიდან იწყება ალექსანდრე ახალკაცის **“შავი”** ისტორია და ფილმშიც ასეა.

ფილმში „heroკრატია“ რატომღაც სულ არის ლაპარაკი პოლიტიკურ კონტექსტში და ეს ასე არ არის. ეს არის უპრეცედენტო მასშტაბის კინოპროექტი ქართულ კინემატოგრაფიაში და ამ მასშტაბმა აბსოლუტურად სხვა საფეხურზე აიყვანა ქართული კინო, მისი ორგანიზმი, იმიტომ, რომ ამ გრანდიოზულ პროექტში მონაწილეობდა უამრავი ადამიანი – ტექნიკურ ჯგუფს რომ თავი გავანებოთ, ფილმში დასაქმებული იყო 120 მსახიობზე მეტი, რომლებიც მთელი საქართველოს მასშტაბით შეირჩა.

ახლა, როცა რამდენიმე დღეში გაიმართება საპარლამენტო არჩევნები, ნებისმიერმა ქართველმა საკუთარ თავს ერთი რამ უნდა შეაგონოს: შეიძლება ბევრი მიზეზი არსებობდეს, რომ **“ქართულ ოცნებას”** არ მისცეთ ხმა, მაგრამ არცერთი მიზეზი არ არსებობს საიმისოდ, რომ ავადსახსენებელ **“ნაცებს”** მისცეთ ხმა!.

აი, წერილიც გასრულდა და მხოლოდ ახლა ვიგრძენი, რომ მკითხველს ბოდიში უნდა მოვუხადო, იმიტომ, რომ მოვატყუე – მინდოდა ფილმის მხატვრულ ღირსებებზე მესაუბრა, მაგრამ პოლიტიკური სიტუაციური ანალიზი კი გამომივიდა. მაგრამ ჩემი ბრალი არაა, რადგან „heroკრატია“ არის არა მხატვრული ნაწარმოები, არამედ დოკუმენტური ფილმი, რომელიც მის შექმნამდე ბევრად უფრო ადრე ნახა იმ 360 ათასმა ადამიანმა, ვინც სადისტი ცვედანი სააკიანცის და მკვლელი ახალაიების ციხის ჯოჯოხეთი გამოიარა!

დანარჩენზე თავად იფიქრეთ!

პატივისცემით,

**როლანდ ჯალაღანია,**
**გაზეთ “ილორის” მთავარი რედაქტორი**

# ისპანახისგან ბურნუთი არ გამოვა, ანუ... ვინ არის ალექსი გაბისონია

*გაგრძელება. დასაწყისი იხ. №370, 372, 374, 376*

მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აუგიან, საზოგადოებაში არგამოსაჩენ, საქვეყნოდ მხილებულ-შეურაცხყოფილ თავმჯდომარეზე, ძვირფას მკითხველს, რომელიც ჩემს წერილს გაზეთ **„ილორის“** ფურცლებზე დღემდე გაცნობია, ასე თუ ისე, გარკვეული წარმოდგენა უკვე შეექმნა, მაგრამ ეს საკმარისი როდია.

დამბადებლისგან გაჩენის დღიდან თავმსუბუქობით დასჯილი, თავით ფეხებამდის სინდის-ნამუსს განქორწინებული და რჯულზე ხელაღებული ალექსი გაბისონიას **„საქმენი საგმირონი“** იმდენად უხვი და მრავალფეროვანი ინფორმაციის შემცველია, იმდენად შოკისმომგვრელია, რომ საშინელ გაოცებასთან ერთად ჩემს აღშფოთებას საზღვარი არა აქვს!

**„ქართული ოცნების“** მესვეურთა მიერ პოლიტიკურ სანეხვეზე ნაპოვნი ეს ზერელე ჭკუის პატრონი თავის ქერქში ვეღარ ეტევა, რადგან საფლავის მოაჯირისფერი კანი ვიწროა მისი უზარმაზარი სხეულისა და მჭლე სულის მოსათავსებლად. მიკვირს, ეს ყოველივე წესიერების უარმყოფელი, უსირცხვილო, უკდემელი, თავზე ბანდაქცეული და მწვირედასხმული ადამიანი ასეთი გასაოცარი ოსტატობით როგორ ახერხებს იმას, რომ გახრწნილ სულსა და სხეულში ერთბაშად თავი მოუყაროს, ულვთოდ და უხვად დააგროვოს შური, ამპარტავნება, ქვებუდანობა, გაიძვერობა, სიცრუე, კადნიერება, ცუდმედიდობა, თავხედობა, თავხელება, მდაბიოობა, გულქვაობა, ფლიდობა, ორპირობა, ღალატი, ორგულობა, პურმარილ-უწამებლობა, გესლი და ბალღამი... გამომრჩა კიდევ რაიმე ამ სიტყვების ჩამონათვალში, რაც დაგვეხმარებოდა ამ სიდარბაისლეზე ხელაღებული სულიერი არსების პორტრეტის სრულყოფილად წარმოსახვაში?!.. თუკი გამომრჩა, შენ დაამატე, ძვირფასო მკითხველო!..

ხომ ყველასათვის ცნობილია – ამ თერგდალეულ ბოლშევიკს, 1995-1999 წლებში, რუსეთში, მოსკოვის ოლქის სერპუხოვის რაიონის შპს **„მეურნეობა ბოლშევიკის“** მთავარ სპეციალისტად რომ მუშაობდა, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარედ არჩევამდე დუქანში თაგვები უთამაშებდა და ოჯახში თვალებზე მისაკრავი ოცთეთრიანიც აღარ გააჩნდა.

ეს ერდოში ბოლგაწყვეტილი, სული ფეხის ფრჩხილებში რომ გაჰპარვია, მარტვილელებს საკრებულოს თავმჯდომარედ ისე შემოესაღა, როგორც ჰარამხანიდან გამოყვანილი კახპა ქალი – პატიოსან ოჯახში აღზრდილ, პატიოსან და კეთილშობილ სიძეს...

მანამდე კი, 2001-2006 წლებში ალექსი გაბისონიას ვაჭრულ ბიოგრაფიაში იყო საეკლესიო ნივთების მაღაზია **„მადლი“**, სადაც ეს ზნეობრივად ტანჯული არსება, დირექტორის მოადგილედ დანიშნული, თელეთში დღეობაზე საშოვრად ამოსული უკანასკნელი მათხოვარივით ყელგამოწვდილი ეხვეწ-ეღრიჯებოდა მყიდველს საეკლესიო სიწმინდეების შეძენას.

მადლი წყალობაა, სიკეთეა... **„მადლი ესე არს რომელმან არცა ნაცულის გებისათვის, არცა მოყურობისათვის, არცა შიშისათვის, არცა სიყუარულისათვის კეთილი და ქველის-საქმე ქნას; კვალად მადლი არს ყოელივე კეთილი და რაიც ცოდვა არა არს“,** – განმარტავს სულხან-საბა **„სიტყვის კონაში“**, მაგრამ არაერთი სააუგო საქმის, უხამსობის, ბრალეულობის ჩამდენ ალექსი გაბისონიას არც სულხან-საბაზე სმენია რაიმე, რასაკვირველია, არც მისი **„სიტყვის კონა“** გადაუფურცლავს და ღმერთს არც სიკეთის თესვა, სამადლო საქმის კეთების ნიჭი მიუმადლებია მისთვის...

მგლის ქურქში გახვეული ალექსი გაბისონია მხიარული და მეგობრული სახის ჩვენებით ცდილობს, სიმართლე სიცრუედ, ხოლო სიცრუე სიმართლედ შემოგვასაღოს. უბედურება ისაა, რომ ამ ცოდვიშვილს ბოროტების, ავკაცობის, შეუნდობარი დანაშაულის ჩადენა, სახელმწიფო ბიუჯეტის ყვლეფა და უდანაშაულო ადამიანთა – პედაგოგების სამსახურიდან გაძევება, სამწუხაროდ, მადლი ჰგონია...

ახლა შევეცდები, საკრებულოს თავმჯდომარე კიდევ ერთხელ გამოვაბა ცხენის კუდზე და თრევით ზურგზე ბოლი ავადინო. ამჟამად მკითხველის ყურადღებას შევაჩერებ სამსახურებრივ ავტომანქანებზე. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის №121 დადგენილება **(„სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის ან ჩანაცვლების წესის დამტკიცების შესახებ“)** საბიუჯეტო ორგანიზაციებისთვის საშტატო რიცხოვნობის მიხედვით განსაზღვრავს ავტოსატრანსპორტო საშუალებების ზღვრულ ოდენობებს. აღნიშნული სამართლებრივი აქტის მოთხოვნათა დაცვა თვითმმართველი ერთეულებისათვის სარეკომენდაციო ხასიათისაა.

ზემოთთქმულის გათვალისწინებით მარტვილის მუნიციპალიტეტში თანამშრომელთა სამსახურებრივი მიმოსვლისათვის 2014 წელს გამოყენებული უნდა ყოფილიყო 5 ერთეული, ხოლო 2015 წელს – 6 ერთეული ავტომანქანა. ალ. გაბისონიას გაუმაძღრობის, მუცელღმერთობისა და სახელმწიფო ბიუჯეტთან მიმართებაში ხელგაშლილობა-უშურველობის, ბიუჯეტიდან პრემიების, დანამატებისა თუ საწვავის უხვად გაცემის, ხელფურჩობის წყალობით სახელმწიფო აუდიტის თანამშრომელთა მიერ შემდეგი გარემოება გამოვლინდა: საკრებულოსა და გამგეობას 2014-2015 წლებში ემსახურებოდა 8 ერთეული ავტომანქანა.

მოსახლეობის მიერ მარტვილის ბოქაულად მონათლული გაბისონია ისეთი ურცხვი და უტიფარია, რომ საქართველოს მთავრობის რეკომენდაციას ყურად არ იღებს. ამის დასტურია ის ფაქტი, რომ 2014 წელს მუნიციპალიტეტი განკარგავდა დასაშვებზე 3, ხოლო 2015 წელს – 2 ერთეულით მეტ ავტომანქანას.

ხარჯის გაწევის ზღვრული ოდენობები, მათ შორის საწვავის ხარჯვის ლიმიტები, არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე, შეიძლება დამტკიცებულ იქნას საკრებულოს მიერ. როგორც წესი, საწვავი გაიცემა თვითმმართველობის ბალანსზე რიცხულ ავტომანქანებზე, საკრებულოსა და გამგეობის თანამდებობის პირებზე, სამსახურების უფროსებზე. ლიმიტები და იმ პირთა რაოდენობა, რომლებზეც გაიცემა საწვავი, უნდა განისაზღვროს ობიექტური საჭიროებიდან გამომდინარე და უნდა ეფუძნებოდეს შესაბამის გაანგარიშებას. 2014-2015 წლებში მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტიცებულია თანამშრომლებზე გასაცემი საწვავის ყოველთვიური ზღვრული ოდენობები (საკრებულოს 2013 წლის 30 დეკემბრის №44 და 2014 წლის 25 დეკემბრის №68 განკარგულებები). დამტკიცებული ლიმიტის მეშვეობით, 2014-15 წლებში, გარდა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ავტომანქანებისა, საწვავი გაცემულია საკრებულოს ანაზღაურებად და არაანაზღაურებად წევრებზე, სამსახურისა და განყოფილების უფროსებზე და ა. შ., სულ 76 პირზე.

2014 წელს გაცემულია 79, 6 ათასი ლარის, ხოლო 2015 წელს – 63, 2 ათასი ლარის ღირებულების საწვავი. სულ ამ პერიოდში საწვავის ხარჯმა 142, 8 ათასი ლარი შეადგინა. ამასთანავე, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ საწვავის ხარჯვის ლიმიტი დამტკიცებულია შესაბამისი დასაბუთების გარეშე. არ არის არგუმენტირებული იმ პირთა რაოდენობა, რომლებზეც დადგენილია საწვავის ხარჯვის ლიმიტები.

ამასწინათ მარტვილის ბოქაულს წერილობით მივმართე და მოვითხოვე საჯარო ინფორმაცია საკრებულოს თანამშრომლების სამსახურებრივი მიმოსვლისათვის ბიუჯეტიდან გამოყოფილი საწვავის თანხის ოდენობის შესახებ, მაგრამ მერე რა – ბოლოკი და ხბოს თავი... ჩვენს ბოქაულს იმდენი თავხედობა ყოფნის, რომ კანონი უხეშად დაარღვიოს და პასუხის გასაცემად ყურებიც არ გააპარტყუნოს!..

სადა სცალია პასუხის გასაცემად – ბინდით ცისკრამდის ცხოველურ ცხოვრებას შეჩვეული უძღები შვილი და უძირო ქვაბი ბოზბაშსა და ჩიხირთმაზე ზრუნავს, პრემიებისა და დანამატების მითვისებაზე ფიქრობს!..

**იგორ კეკელია,**

*(გაგრძელება იქნება)*

# რესპუბლიკელებს რამხელა ამბიცია ჰქონიათ?!.

საქართველოში უმადურ კაცზე იტყვიან: **“მაგას გინდა წინ მოუსაქმე, გინდა უკან, მადლობას მაინც არ გეტყვისო”**. სწორედაც რომ ასეა ნულპროცენტიანი პოლიტიკური რეიტინგის მქონე **“რესპუბლიკელების”** საქმე, რომლებიც 2012 წელს რის ვაივაგლახით გაათრია ბიძინა ივანიშვილმა პარლამენტში, ახლა კი მომდგარან და დორბლმორეულები ლანძღავენ უშვერი სიტყვებით მათ პოლიტიკურ ლოკომოტივს – ივანიშვილს.

ჯერ კიდევ კომუნისტურ ეპოქაში, როცა საქართველოს შევარდნაძე მართავდა, ერთი ანეკდოტი დადიოდა ხალხში. **“თუ გინდა გახდე მილიონერი, იყიდე გურული თავის ფასში და გაყიდე იმ ფასად, რა წარმოდგენაც გააჩნია საკუთარ თავზე”**. ამ ანეკდოტის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ივანიშვილმა **“თავის ფასად”** შეიძინა **“რესპუბლიკელები”**, მაგრამ იმ ფასად გაყიდვა ვეღარ მოასწრო, რა წარმოდგენაც საკუთარ თავზე გააჩნდათ, რისი მიზეზითაც კიდევ რამდენიმე მილიარდის აქტივი ვეღარ შემატა საკუთარ ქონებას..

**„ლეგენდაა, თითქოს „რესპუბლიკელებს“ დავპირდი მთავარი პარტია უნდა გამხდარიყო, „ქართული ოცნება“ ჩამეწია და „რესპუბლიკელები“ გამხდარიყვნენ ძირითადი ძალა, უსუფაშვილი კი – პრემიერ-მინისტრი,“** – ამის შესახებ ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა სამცხე-ჯავახეთში, ადგილობრივ ჟურნალისტებთან შეხვედრაზე განაცხადა.

ივანიშვილის თქმით, ამ ლეგენდის აღიარებას **„რესპუბლიკელები“** მისგან ითხოვენ.

**„თუ არ ვაღიარებ, იმითაც იმუქრებიან, დააბრუნე მაშინ 2012 წელიო და იქ ჩვენ მარტო შევებრძოლებით „ნაციონალურ მოძრაობასო“, ეს პრეტენზია აქვთ. რამხელა ამბიცია აქვთ! მათ მე წყევლის ნაცვლად დავლოცავდი და შევახსენებდი „კავკასიელ ტყვე ქალს“, სადაც ამბობენ, მოთხოვნილებები და შესაძლებლობები ახლოს უნდა ჰქონდეს დაბალანსებულ პიროვნებას. იმ სადღეგრძელოს შევახსენებდი „რესპუბლიკელებს“ და მათი წყევლის ნაცვლად, დავლოცავდი, რომ მათ მოეხერხებინოთ საკუთარი შესაძლებლობები და მოთხოვნილებები დაეახლოვებინოთ ჩემი გამოყენების გარეშე. რატომ მაგინებენ, რატომ მლანძღავენ „რესპუბლიკელები“. მათ აქვთ დიდი განსხვავება მოთხოვნილებასა და შესაძლებლობას შორის. იმხელა სხვაობაა მათ მოთხოვნილებებსა და შესაძლებლობებს შორის, სასწაული უნდა მოახდინო, რომ ისინი ერთმანეთს დაუახლოვო. ამ სასწაულის მოხდენას ჩემგან ითხოვენ, თუ ნახავთ მათ გამონათქვამებს“,** – განაცხადა ივანიშვილმა.

რა ქნან რესპებმა, თუ საზოგადოებამ არ ირწმუნა მათი **“ყოვლისშემძლეობისა”** და თავადაც გრძნობენ, რომ თანდათან დაბლა მოგორავენ პოლიტიკური ოლიმპიდან. უფრო მეტიც, მათ თავად მოახდინეს იმის ლუსტრაცია, რომ არჩევნების გამყალბებლები და არც თუ კეთილსინდისიერი პოლიტიკოსები არიან.

ამის თვალსაჩინო მაგალითი გახლავთ რესპუბლიკელი დეპუტატის თამარ ხიდაშელის პოლიტიკური წიაღსვლები. ამას წინათ საგარეჯოში გამართულ შუალედურ საპარლამენტო არჩევნებში **“გაიმარჯვა”** თამარ ხიდაშელმა, თუმცა მისი კონკურენტი **“პატრიოტთა ალიანსიდან”** ირმა ინაშვილი და სხვა ბევრიც ამტკიცებდნენ, რომ არჩევნები გაყალბდა თავდაცვის მაშინდელი მინისტრის თინა ხიდაშელის კანონსაწინააღმდეგო ქმედებების წყალობით, რომელმაც სასურველი შედეგების მისაღებად გამოიყენა უჯარმაში დისლოცირებული სამხედრო ნაწილის შემადგენლობა. არჩევნების გაყალბების ვერსია იმითაც დასტურდება, რომ მიმდინარე არჩევნებში თამარ ხიდაშელმა თავისი კანდიდატურა დააყენა არა საგარეჯოში, სადაც მას **“უეჭველი გამარჯვება”** ელოდა, შუალედური არჩევნების შედეგებიდან გამომდინარე, არამედ თბილისში, საბურთალოს რაიონში. თავის მიუკერძოებელ გამარჯვებაში დარწმუნებული ადამიანი, რა თქმა უნდა, საკუთარ კანდიდატურას კვლავ საგარეჯოს რაიონში დააყენებდა, მაგრამ თამარ ხიდაშელმა კარგად იცის, რომ რეალურ არჩევნებში იგი ხმების 10 პროცენტზე მეტს ვერ მოაგროვებს და ამიტომაც მიაშურა საბურთალოს. რა თქმა უნდა, იგი საბურთალოზეც დამარცხდება, მაგრამ იმის თქმის საშუალება მაინც ექნება, რომ შეცდა, როცა საბურთალოს საარჩევნო უბანში დააყენა საკუთარი კანდიდატურა.

აი, ასეთი ვირეშმაკული მეთოდებით მოქმედებდნენ და დღესაც მოქმედებენ სოროსის ძუძუთი გამოკვებილი რესპუბლიკელები, რომლებმაც კარგად იციან, რომ მალე დადგება მათი პოლიტიკური გარდაცვალების ჟამი. მაგრამ არ იმჩნევენ და მათი სისხლისმიერი ტყუპისცალის **“ნაციონალების”** მსგავსად უტიფრად ამტკიცებენ, რომ საქართველოში ძირითად პოლიტიკურ ძალას წარმოადგენენ.

მაგრამ, ხიდაშელი **“ბანოვანების”** ეს საარჩევნო სიყალბე შეიძლება **“უწყინარ ცელქობად”** მოგვეჩვენოს იმასთან შედარებით, რაც შეიძლებოდა საქართველოს დასტეხოდა თავს თურქეთში სახელმწიფო გადატრიალების მოხდენის შემთხვევაში.

ახლახანს გაირკვა, რომ ნატოს ხელმძღვანელობით ავღანეთში ოპერაციების განმახორციელებელი საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ძალების (ISAF) ყოფილი მეთაური, გენერალი ჯონ ფ. კემპბელი ძირითადი ფიგურაა, რომელიც თურქეთში გადატრიალების მცდელობის უკან დგას, ამტკიცებენ თურქული გამოცემა Yeni Şafak-ის დამოუკიდებელი გამოძიების ავტორები.

წყაროების მონაცემებით, სწორედ მას ეკისრება პასუხისმგებლობა 15-16 ივლისის მოვლენებში მონაწილე ჯარისკაცების კოორდინაციასა და საერთო ხელმძღვანელობაზე, ანუ, ფაქტობრივად, გადატრიალების ორგანიზაციაზე. კემპბელი რვა თვენახევრის განმავლობაში ემზადებოდა და ატარებდა მოლაპარაკებას თურქეთში. მისი მმართველობის ქვეშ იმთავითვე იმყოფებოდა **“ცეერუს”** აგენტთა დაახლოებით 80-კაციანი ჯგუფი, რომლებიც ფეთჰულაჰ გიულენის ტერორისტული ორგანიზაციის (FETU) მეშვეობით არმიაში დივერსიულ ჯგუფებს ნერგავდნენ და თურქეთის სამხედრო ხელმძღვანელობას პუტჩის მოწყობისაკენ უბიძგებდნენ. ამერიკელი გენერალი რეგულარულად ატარებდა საიდუმლო შეხვედრებს თურქეთის სამხედრო ბაზებზე – **„ერზრუმსა“** და **„ინჯირლიკზე“**, არმიაში არსებული წყაროები ვარაუდობენ, რომ მხოლოდ ის წყვეტდა ამ ბაზებზე ოფიცრების დაწინაურების და ჩამოქვეითების საქმეს. გიულენის მიმდევრები სწრაფად მიიწევდნენ ზევით კარიერულ კიბეზე, უფრო დიდ ხელფასს იღებდნენ და სხვა პრეფერენციებით სარგებლობდნენ. ინჯირლიკზე ჩხრეკისას აღმოჩენილი იქნა გიულენისტების არქივები, რომლებშიც აგენტურული ქსელის ყველა წევრის და მათი ოჯახების წევრების ვრცელი დოსიეები ინახებოდა.

წარუმატებელი გადატრიალების შემდეგ დუბაის აეროპორტში დააკავეს თურქი გენერლები ჯაჰიტ ბაკირი (Cahit Bakır) და შენერ თოფჩუ (Şener Topchu). კემპბელი ორივეს ავღანეთში გაიცნო, სადაც ისინი ნატოს ძალების შემადგენლობაში თურქულ კონტინგენტს ხელმძღვანელობდნენ. იქვე გაიცნო კემპბელი საქართველოს მაშინდელმა თავდაცვის მინისტრმა თინა ხიდაშელმა.

ნუ ვიმკითხავებთ ყავის ნალექზე, მაგრამ ქართული საგამოძიებო ორგანოები აუცილებლად უნდა დაინტერესდნენ, ეს გაცნობა შემთხვევითი იყო თუ კანონზომიერი, და რაც მთავარია, რა საკითხებს განიხილავდნენ ისინი შეხვედრებისას.

უკვე თვალნათელი ხდება, რომ ნაციონალები და რესპუბლიკელები ყოველ საძრახის საქციელზე მიდიან იმისათვის, რომ ხელისუფლების სათავეებთან დარჩნენ. ამიტომ, კარგად უნდა გავისიგრძეგანოთ, რომ ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, ყოველგვარი სიყალბე დაუშვებელია და იგი განხილული უნდა იქნეს არა როგორც უწყინარი პოლიტიკური გადაცდომა, არამედ, როგორც მძიმე სისხლის სამართლის დანაშაული!

**რ. შალამბერიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ გიორგი ჯალაღანიას

# საქართველოს ნაკრები. ნატურალიზებულები: მაიკლ დიქსონი – ჩვენი მეშვიდე მოქალაქე




საქართველოს ნაკრების ამერიკელმა ახალწვეულმა მაიკლ დიქსონმა ჩვენი ქვეყნის პასპორტი ლიუბლიანაში მიიღო და წლეულს, ევრობასკეტის შესარჩევ ეტაპზე ეროვნული ნაკრების ფორმასაც მოირგებს.

უამრავი შეკითხვა გაჩნდა: როგორი კალათბურთელია, სად თამაშობდა, როგორი პიროვნებაა, გამოგვადგება?

დღეს ერთმნიშვნელოვანი პასუხის გაცემა ძალიან რთულია, თუმცა ფაქტი ფაქტად რჩება: ევროპული დონის კალათბურთელია და გუნდს უთუოდ გაუწევს სამსახურს... შემონდ უილიამსივით დაგვეხმარება, ტაირონ ელისივით, ჯეიკობ პულენივით, მარკიზ ჰეინსივით, ტორინ გრინივით თუ მაიკლ დიქსონივით, ამას შესარჩევი ეტაპის მსვლელობისას ვნახავთ... და როგორ გვეხმარებოდნენ შემონდი, ტაირონი და სხვა ნატურალიზებულები? მოდით ერთად გავიხსენოთ და ბოლოს დიქსონსაც მივადგებით.

2004 წელს საქართველოს ნაკრებისთვის ახალი ერა დაიწყო, უცხოელი მწვრთნელებისა და ნატურალიზებული ამერიკელების დახმარებით ზაზა ფაჩულიას თაობამ თავი მეორე დივიზიონს დააღწია და უკვე მესამედ მოიპოვა ევროპის ჩემპიონატის საგზური.

ბოლო 11-დან განსხვავებული იყო 2014 წელი. 2004 წლის შემდეგ პირველად ვითამაშეთ ამერიკელის გარეშე. შესარჩევ ჯგუფში ყველას ვაჯობეთ (ასევე პირველად) და მშრალ სტატისტიკაზე დაყრდნობით, შესაძლოა ვინმემ მიიჩნიოს, რომ სულაც არ გვჭირდებოდა ნატურალიზებული. თუმცა თამაშებს თუ გავიხსენებთ, ამის თქმა გაგვიჭირდება.

ამიტომაც დაგვიბრუნდა ევროპის 2015 წლის ჩემპიონატისთვის ლეგიონერი (ჯეიკობ პულენი). არც წლევანდელი შესარჩევია იოლი დასაძლევი, თამაშები და ფრენა ერთმანეთს ენაცვლება, ასეთ დროს კი ნაკრების მწვრთნელმა ორი მიზანი უნდა დაისახოს: კონკრეტული მატჩის მოგება და მომდევნო შეხვედრისთვის ძალების დაზოგვა.

ასე რომ, აუცილებელია მინიმუმ ორი მეტ-ნაკლებად თანაბარი ხუთეული, ჰოდა მაღალი დონის ამერიკელი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. აბა, გასოლების პატრონი ესპანელები გიჟები არიან, გუნდში ნატურალიზებულ სერჟ იბაკას რომ იწვევდნენ?

შემონდი – საქართველოს ნაკრებში: 5 მატჩი, 197 წუთი (39.4), 100 ქულა (20.0), 19 მოხსნა (3.8), 37 პასი (7.4).

ნატურალიზებულთაგან **„პირველი მერცხალი“** შემონდ უილიამსი იყო. მის ხასიათზე წარმოდგენას შეგვიქმნის ერთი სახალისო ამბავი: სან ჯორჯოს ტურნირის მსვლელობისას ერთ-ერთ ვარჯიშზე კალათბურთელები ტაქსებით წავიდნენ.

აღმოჩნდა, რომ ერთი კაცი ზედმეტი იყო და მისთვის ცალკე მანქანა უნდა დაექირავებინათ.

უილიამსმა დამატებითი ტაქსი არ გამოაძახებინა, კუდიანი მანქანის საბარგული ახადა და შიგ მოექცა, აქაც კარგად მოვთავსდებიო...

შემონდის პირველ ბლიც-ინტერვიუ: – **„სიეტლში“** სტეფანიასთან ვთამაშობდი, **„ორლანდოში“** – ფაჩულიასთან, ხოლო **„დენვერში“** – ცქიტიშვილთან. ნიკასა და ზაზასგან ვიცოდი, რომ კარგი ნაკრები გყავთ და სერიოზულ მიზნებს ისახავთ. როცა სტეფანიამ დამირეკა და ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში დახმარება მთხოვა, სიამოვნებით დავთანხმდი. ამასთან, ძალიან მაინტერესებდა თქვენი ქვეყნის გაცნობა.

ტაირონი –საქართველოს ნაკრებში: 18 მატჩი, 576 წუთი (32.0), 266 ქულა (14.8), 59 მოხსნა (3.3), 54 პასი (3.0). 2006 წლის 6 აგვისტოს ნაკრების თავკაცმა გორდონ ჰერბერტმა პრესკონფერენციაზე ახალწვეული გაგვაცნო:

– ტაირონ ელისთან გერმანულ **„სკაილაინერსში“** ვმუშაობდი. იგი ძლიერი კალათბურთელი და კარგი პიროვნებაა. გაგვიმართლა, რომ ასეთი მოთამაშე ჩამოვიყვანეთ.

უილიამსი 2005-ში **„ბარსელონაში“** გადავიდა და ნაკრებში კლუბის ხელმძღვანელობამ დიდი ვაი-ვაგლახით გამოუშვა. მომდევნო წელს იგი ტაირონ ელისმა შეცვალა. წყალნი წავლენ და წამოვლენ, ქვიშანი დარჩებიანო... მას შემდეგ ეროვნულიდან არაერთი მწვრთნელი წავიდა, ელისი კი ნაკრების ღირსი აღმოჩნდა – სამი წლის განმავლობაში ატარებდა საქართველოსდროშიან მაისურს.

– ჰერბერტმა იმიტომ ჩამომიყვანა, რომ გუნდის ინტერესებს მუდამ პირადულზე წინ ვაყენებ, – ამით დაიწყო ელისმა და 2009 წელს ასე დაასრულა:

– საქართველოს ნაკრებში პასპორტის გულისთვის ვთამაშობდი? არა, ვთამაშობ იმიტომ, რომ კალათბურთი მიყვარს და იმიტომაც, რომ ერთი დიდი ოჯახის, საქართველოს ნაკრების წევრი ვარ.

ელიტის საგზური რომ მოვიპოვეთ, ტაირონმა სიამაყით თქვა – ელისაშვილი ვარო. ზოგიერთი ამერიკელისგან ეს ფრაზა შესაძლოა ირონიულ ნათქვამად მოგვჩვენებოდა, მაგრამ არა ტაირონისგან...

ტორინი – საქართველოს ნაკრებში: 8 მატჩი, 227 წუთი (28.4), 88 ქულა (11.0), 19 მოხსნა (2.4), 20 პასი (2.5)

როგორც გითხარით, ელისი ჩვენთან 2009 წლის ჩათვლით თამაშობდა. მომდევნო სეზონში კალათბურთის ფედერაციას ბოდიში შემოუთვალა – მეუღლე ბავშვს ელოდება და ზაფხულში მის გვერდით უნდა ვიყოო.

სწორედ ამიტომ 2010-ში ჩვენი გუნდის ღირსება ტორინ გრინმა დაიცვა. თუმცა მანამდე იყო ორი ამერიკელი: მელვინ სენდერსი და ქუინტონ ჰოსლი.

პირველს საქართველოს მოქალაქეობა 2007 წელს მისცეს, თუმცა ჩვენს ქვეყანაში არც ჩამოსულა.

ჰოსლიმ გრინთან ერთად 2010 წელს მიიღო საქართველოს მოქალაქის პასპორტი. მაშინ გუნდს ვლადიმერ ბოისა დააკლდა და სწორედ ქუინტონს უნდა შეეცვალა ვოვა.

ამხანაგურ მატჩებშიც მიიღო მონაწილეობა, თუმცა ოფიციალური შეხვედრებისთვის იგორ კოკოშკოვმა უპირატესობა გამთამაშებელ გრინს მიანიჭა და ჰოსლიც დაგვემშვიდობა.

მარკიზი – საქართველოს ნაკრებში: 8 მატჩი, 165 წუთი (20.6), 64 ქულა (8.0), 13 მოხსნა (1.6), 10 პასი (1.2)

ევროპის 2011 წლის ჩემპიონატზე მარკიზ ჰეინსი დაგვეხმარა. იგი დღესაც თბილად იხსენებს საქართველოს ნაკრებში გატარებულ ორ თვეს:

– საინტერესო იყო ევროპის ჩემპიონატზე გამოსვლა. საქართველოს ნაკრებში ძლიერი შემადგენლობაა შეკრებილი, კალათბურთელები წლების განმავლობაში ერთმანეთის გვერდით არიან და კარგადაა შეთამაშებული.

ვცდილობდი, მეც ნაკრების ნაწილი გავმხდარიყავი, თამაშის საკუთარ თავზე აღებით გუნდისთვის არ მევნო.

მარკიზი 2011 წლის 6 სექტემბერს საქართველოს დროშით ხელში სხვებთან ერთად ხარობდა ევრობასკეტის მეორე ეტაპზე გასვლას. თუმცა მასთან თანამშრომლობაც ერთწლიანი გამოდგა.

ჯეიკობი – საქართველოს ნაკრებში: 14 მატჩი, 332 წუთი (23.7), 174 ქულა (12.4), 23 მოხსნა (1.6), 33 პასი (2.4).

წინა წლების მაგალითი რომ ვიცოდით, ბევრი ქართველი სკეპტიკურად შეხვდა ევროპაში გამოუცდელი ჯეიკობ პულენის ნაკრებში გამოჩენას.

თუმცა მაინც მადლობელნი უნდა ვიყოთ, რომ ნაკრებს 2012 წელს პულენი შერჩა და არა კორი ფიშერი. გრინი-ჰოსლის შემთხვევის მსგავსად 2012 წელსაც ორი ამერიკელი ჩამოიყვანეს. რომელიც საკონტროლო მატჩებში გაამართლებდა, შესარჩევშიც ის იასპარეზებდა.

...პულენი დარჩა. საშუალოდ 16.4 ქულას აგროვებდა. სამქულიანებით გაგვანებივრა.

ჯეიკობი სამი წლის შემდეგ, ევრობასკეტი 2015-სთვისაც დაბრუნდა საქართველოს ნაკრებში. ვერ ვიტყვით, ურიგოდ ითამაშა, მაგრამ ვერც იმას დავამატებთ - რასაც ველოდით, ის მოგვცაო... საშუალოდ მატჩში 7,2 ქულას აგროვებდა.

რიკი – საქართველოს ნაკრებში: 5 მატჩი, 135 წუთი (27,0), 59 ქულა (11,8), 15 მოხსნა (3,0), 22 პასი (4,4).

2013 წელს ისევ ორი ამერიკელი ვიხილეთ სანაკრებო შეკრებაზე – ლუკ ზელერი და რიკი ჰიკმანი. კი თქვეს, ევრობასკეტზე ზაზა ფაჩულია და თორნიკე შენგელია რომ ვერ ითამაშებენ, ტანმაღალი ზელერიც იმიტომ ჩამოვიყვანეთო, მაგრამ წინასწარ ცხადი იყო – ლუკი ევრობასკეტზე ვერ ითამაშებდა.

მიზეზი? – ჰიკმანი! იგი **„მაქაბის“** შემადგენლობაში ევროლიგაზე ერთ-ერთი საუკეთესო უკანახაზელი იყო და როცა განაცხადში ერთი ნატურალიზებულის შეყვანის უფლება გაქვს, ზელერს ჰიკმანზე წინ ვერ დააყენებ.

– თორნიკე შენგელიასა და ზაზა ფაჩულიას არყოფნაში ახალგაზრდები მეტად დაიტვირთებიან და მეც მხარში დავუდგები, რომ შესაძლებლობები სრულად გამოავლინონ, – გვითხრა ჰიკმანმა ევრობასკეტი 2013-ის წინ.


## გამოვიდა სერგეი კრემლიოვის წიგნ "ლავრენტი ბერია – XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი"-ს თარგმანის მეოთხე ტომი, რითაც დასრულდა ოთხტომეულის გამოცემა




უკვე გამოვიდა I, II,III და IV ტომები სერგეი კრემლიოვის წიგნისა "ბერია – XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი" (რედაქტორი ალექსანდრე შენგელია). გამოცემა განხორციელდა სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" მხარდაჭერით. წიგნების შეძენა შეიძლება ზუგდიდში, რუსთაველის ქ.№68-ში, სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ოფისში. ტელ. 599.209.624

თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველდღე, მეტრო "მარჯანიშვილის" ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან.

ცნობისათვის დარეკეთ – 557.324.374.

**სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ხელშეწყობით, ქართულ ენაზე, გამოვიდა დიდი რუსი პუბლიცისტის, საქართველოში მე-19 საუკუნის თვალსაჩინო საზოგადოებრივი მოღვაწის ვასილ ველიჩკოს წიგნი "კავკასია", რომელიც ადრე სრულად დაიბეჭდა ჩვენს გაზეთში.**

**წინასიტყვაობის ავტორები და შემდგენელები არიან როლანდ ჯალაღანია და ნუგზარ გოგუა.**

**თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველდღე, მეტრო "მარჯანიშვილის" ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან.**

**ცნობისათვის დარეკეთ** – 557.324.374


## იუმორი

პატარა გოგო დედას ეკითხება:
– დედიკო, მამიკოს რატომ აქვს თავზე ასე ცოტა თმა?
– იმიტომ, რომ ბევრს ფიქრობს.
– შენ რომ ბევრი გაქვს?
– გაჩუმდი და ჭამე, – უწყრება დედა.

* * *

ვინ იცის რა განსხვავებაა სომეხს და აკუმულატორს შორის?
– აკუმულატორს ერთი პლიუსი მაინც აქვს!

* * *

ბაბუა უყვება შვილიშვილს:
– ომის დროს გერმანელებმა ტყვედ შეგვიპყრეს და გვითხრეს: აირჩიეთ, ან მოგკლავთ ან გაგაუპატიურებთო.
– მერე, შენ რა გიქნეს ბაბუ? – ეკითხება შვილიშვილი.
– მე მომკლეს ბაბუ! – პასუხობს ბაბუა.

* * *

ცოლ-ქმარი მაღაზიაში შედიან. ქმარი გამყიდველს მიმართავს:
– თუ შეიძლება, აი, ის ძეხვი ამიწონეთ, სამასი გრამი, ძაღლისათვის.
– კი მაგრამ, ჩვენ რომ ძაღლი არ გვყავს? – ეჩურჩულება ცოლი ქმარს.
– სუ! – აჩუმებს ქმარი, – ნუ წკმუტუნებ


## გარდაიცვალა სახალხო მკურნალი, რომელმაც მოუგო ომი მძლავრ ნაციონალურ ფარმაკომაფიას, მის დაძირვას რომ ცდილობდა.




დომენტი ზაზნიძის *მიერ შექმნილი პრეპარატი არჩენს ავთვისებიან სიმსივნურ დაავადებებს, კუჭ-ნაწლავის გაუვალობას, კოლიტს, ფისტულას, პროსტატიტს, ბუასილს, ნერვის ანთებას, ნევროზს, ფსიქიკურად დაავადებულებს, ჰკურნავს გაფანტული სკლეროზს და შიდსს, შველის ცერებრალურ დამბლას, ყურებიდან ჩირქდენას, ბოტულიზმს, ტუბერკულოზს, ცეროზს I და II სტადიებში, C-ჰეპატიტს, ნაღვლის ბუშტის დაავადებებს, ანთებით პროცესებს, სახსრების დაავადებებს, ამყარებს იმუნიტეტს, და სხვა მრავალ დაავადებას.*

*ახლა მკურნალის საქმეს აგრძელებენ მისი შვილები: ზეზვა და დოდო.*

*კოორდინატებია: თბილისი, აწყურის ქუჩა* №70 *(მეტრო "ისანთან"), ყოველდღე* – 10-დან 16 საათამდე.

ტელ: 593-22-66-51, 593-62-28-48




## მასთან სიცოცხლეზე ხელჩაქნეულები მიდიან და ჯანმრთელები ბრუნდებიან



ISSN 1987-8966 "ილორი"

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 სარეგ. №01018002930 234-32-95

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
გაზეთის მენეჯერი: 599-34-37-27 ტექრედაქტორი 568-01-21-32
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.
ორი თაბახის ფურცელზე მეტი მოცულობის ტექსტი რედაქციას უნდა გაეგზავნოს ელ.ფოსტით (ან ლაზერის დისკით).

გაზეთ "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ "საქინფორმის" ვებგვერდზე WWW.saqinform.ge